


ღიბერატურული გაზეთი


№14 (222) 13 - 26 ივლისი 2018

ბამოღის ორ კვირაში ერთხელ, პარასკეობით

ფასი 80 თეთრი




პოეზია
რატი ამალღობელი
ნინი ელიაშვილი
ნენე გიორგაძე
ვახო ვახტანგაძე
თორნიკე რობაქიძე



პროზა
ზაალ სამაღაშვილი
მაია ციციშვილი
მირიან რჩეულიშვილი

რეცენზია
თამარ ჭყოიძე
ოღღოს ჰაქსლიზე



კრისტიან კარლსონი
თარგმნა პაატა შამუგიაძე
ემილი დიკინსონი
თარგმნა ოთარ ცისკაძემ

თარგმანი

ვლადას ბრაზიუნასი
თარგმნეს მარიაძე ნიკლაურმა
და ნანა დევიძემ

იოსიფ ბროდსკი
თარგმნა იკა ქაღაგიძემ

ვლადიმირ მაიაკოვსკი
თარგმნეს ზაალ ებანოიძემ
და კონსტანტინე კიკნაძემ

ინტერვიუ

ანი კოპალიანი



**რატი
ამაღლობელი**

სხეული

ყველაფერს სხეული აქვს.
ყველაფერს სხეული აქვს.
კბილის პასტასაც სხეული აქვს.
ფულს საფულე აქვს,
საფულეს ჯიბე აქვს,
ჯიბეს შარვალი, ან პალატო,
რომელიც სხეულზეა და თავადაც
სხეულია.
შარვალი სხეულია,
შარვალი შვეულია.
თუ დახეულია —
გადახვეული აქვს,
ნაიარევები.

ყველაფერს სხეული აქვს.
თუთუნს თუ თამბაქოს —
ჯერ თხელ და გამჭვირვალე
ქალაქში
მკვრივდება,
მერე კი სუნთქვაში,
ფილტვებში ხშირდება,
ჰაერში ვლინდება კვამლად
და მიწაზე
ფერფლად ნახშირდება.

ცეცხლსაც სხეული აქვს —
თავის ხის ჯარისკაცებს,
ასანთის კოლოფებში
მწყობრად განალაგებს,
მისი ზღვა თხევადი
ლეღავს მოქცეული
ფერად გარსში
სანთებელათა.

ენას ანბანი აქვს,
ანბანს სიტყვები,
სიტყვებს წიგნები,
წიგნებს უჯრები, თაროები,
როგორც ხსოვნაში,
ისე კედელზე ოთახებში,
შენობებში, საცავებში,
ბიბლიოთეკებში.

ღვინოს ბოთლები და ჭიქები აქვს,
ბოთლებს და ჭიქებს და
ნივთებს სხვადასხვაგვარს —
კარადები, საკუჭნაოები,
გრილი სარდაფები,
ცხელი მანსარდები.

ყველაფერს სხეული აქვს.
სუნამოს — ფლაკონი,
ქიმბას — კოლბები,
ქილები, შუშები,
რომლებშიც
ცურავენ ტაბულები,
ცხრილები.
ყვავილებს იშვიათს —
ჰერბარიუმი.
პეპლებს —
კოლექცია ენტომოლოგის.

ართემეტიკას რიცხვები,
დროს — წამი, წუთი, საათი.
სივრცეს — მეტრაჟი,
წონას — გრამაჟი,
ამინდს,
გრადუსი — ცელსიუსით,
ფარენჰაიტით.

ძალაუფლებას — ორი ტყუპისცალი:
სახელაპლაპა ბიზნესმენი და პოლიტიკოსი.
მათი ზომავს საკუთარ უძღურებას,
ქუჩაში მათი პლაკატებით
გამოაქვს სტატიკა შინაგანი
და ამ ქალაქის სკულპტურებში
სუნთქავს შეძლებისდაგვარად.

პულის კი ტელე-სიგნალში უცემს.

ყველაფერს სხეული აქვს.
ყველაფერს სხეული აქვს.
ყველაფერს სხეული აქვს.

მათ შორის მეც —
თუნდაც ეს ლექსი.

ფინჯანი

მე ბავშვობაში ფაიფურის
ფინჯანი მქონდა,
ჩაის ყოველდღე
ვსვამდი იქიდან,
ჩემი ჭიქიდან.

ეს უცებ მოხდა —
როცა გამიტყდა
ფინჯანი და
ნამსხვრევებს დედამ
ცოცხით და ლურჯი აქანდაზით
დაუნყო ხვეტა.

მე დედას ფეხზე მოვეხვიე,
როგორც მცენარე
ეხვევა დიდ ხეს,
ასე დიდხანს
ვიყავით ერთად,
დედა ძლიერი, ახალგაზრდა
და მოცინარე,
ჩემთვის ძვირფასი
ჩაის ჭიქის ნამსხვრევებს ხვეტდა.

როდესაც ბავშვი შეუქცევად ამბავს ჩაიდენს —
დგება ამგვარი დაშტერებით და სინანულით.
სამზარეულოს კერამიკას, ლარნაკს, ჩაიდანს
სხივი ფარულად ფარდებიდან შემოპარული

დასციმციმებდა
და ფარდისვე მაქმანის ჩრდილებს
ბუფეტზე შლიდა.

სად არის ჩემი ფაიფურის ფინჯანი ახლა,
სად არის ის დღე, რომ გადატყდა და გაიბზარა,
სად არის დედა, ანდა, ღმერთო, რა იქნა მამა,
რომელმა ბინდმა შეიტყუა, ან რა სიზმარმა...

ღრუბლები

სოფელში,
მშობლები რომ მენატრებოდა —
ერთ საღამოს ცას შევხედე,
ღრუბლები რომ იქითკენ გადასდიოდა,
საიდანაც ჩემებს მოველოდი.
ერთერთ მსუქან, გაბერილ ღრუბელს
ქალაქისაკენ
ჩემი ასეთივე მონატრება
გავატანე.
ქარიან საღამოს სწრაფად მიჰქონდა ღრუბლები,
მაშინ მეგონა მშობლებისაკენ, ქალაქისაკენ —

თურმე პირიქით,
ისინი ფიქრში შემოცურდნენ
და მას მერე
დღესაც შიგნით —
ჩემში ცურავენ.

თვალთვალი

ეზოში ჩემ შვილს ვუთვალთვალე, როგორ ერთობა —
მზეში საკუთარ ჩრდილს ზომავს და ეთამაშება,
ასე მარტო დგას, არ მიიღეს ეზოს ბავშვებმა
და ჩრდილთან ეძებს მთლიანობას, ანუ ერთობას.

ის თან დაყვება, ყველა სურვილს უსრულებს უხმოდ,
მეც ამ თვალთვალში ვფიქრობ — სანამ მოსალამოვდა,
სანამ ეს ჩრდილი არ გაზრდილა, რომ სამყაროთა
დაფაროს კიდე — დროა, ავდგე და სახლში ვუხმო:
— „დადამ, ამოდი...“

კატაბი

ქალაქის კატები, თვალში აქატებით,
ზოგი უზოლებო, ზოგი კი ზოლებით,
ჩრდილებში მწოლები წელვით და ზმორებით
დგებიან ეგვიპტურ ღმერთის ქანდაკებად.

სახლის თუ მანქანის სხვენზე მორაული
ქალაქის კატებით — ამ მცირე ვეფხვებით —
თითქოსდა უწყვეტად ხსოვნაში გვეხება
სული ამ ქალაქის და ცოდნა ფარული.

ტარაკანი

შავი, ჯავშნიანი გარეკანით,
ფრთებით, ექვსი ფეხით ტანის ირგვლივ
მოდის, მოაბიჯებს ტარაკანი,
გამძღარ კაცისავით, სტალინივით.

მანას მიჯაჭვული, ბინადარი
ბნელი ხვრელების და კუნჭულების,
იჭერს ულვაშებით — წინანდელი
რასაც ურჩხულები ჩურჩულებენ.

ასე ბნელმეტყველი მიზანს მისდევს
ყველა ლეგიონით, ასისთავით
ჰპოვოს დიდება და სისასტიკე,
ციხე-სიმაგრე და კაცის ტანი.

ოდასუსისადმი

სახელს ხშირად იცვლის — აბრევიატურას,
შიგნიდან უცვლელი რჩება თემატურად.

შიშით შუშის თვალებს აცეცებს ცარიელს,
სრულად ფლობს მაგიას — საკანცელარიოს.

კედლებს რომ ტუსაღის საფეთქლებს მიახლის —
სათუთად გაინმენდს ტაბელურ იარაღს.

ფერმკრთალ და უმწიფარ ხელებით პედანტი
ჟურნალში შეავსებს ცხრილს ბოლო გვერდამდე.

არ ითხოვს დიდ პატივს, ან სულის შებერვას,
იგი დაიბადა ოცდახუთ თებერვალს.

ობოლი, უმწეო, სუსტი და შიშველი
სისტიმამ დანომრა, აღრიცხა, იშვილა.

რკინის ძუძუებით ჟანგის რძე ანოვა,
ასწავლა ლითონის სანოლში ჩანოლა.

ძერჟინსკის, აგოდას, ეჟოვის, ბერიას,
ბახჩო ქობულოვის, რაფავას გერია.

და როცა ფაზობრივ პიკს აღწევს სისტიმა —
პედანტი მკვრივდება, სუქდება, იზრდება.

თუმც ბევრჯერ ცვლილების სიახლე გვეხარა,
დღემდე მის „შრომაზე“ დგას „ჩემი ქვეყანა“.

შტაუფენბერგისადმი

ხანდახან ლექსიც აფეთქებს კლაუს
მგლის ხროვის ბუნაგს, „Wolfschanze-Haus“-ს.

პოეტში მუდამ მშვიდობა ელავს,
ვერ გუობს ომის ბომონს და ბელადს.

თუ პოეტია, ამ ელვას ულევს,
ამ ელვას მღელვარს აგროვებს, ურევს

სიტყვებში დენთად და მერე ერთად
აფეთქებს ყველა ბელადს და ფიურერს.

გამოფანაზა
შამთხვევით მოხვდა

ქუჩაში მყოფს თავსხმა წვიმამ მო-
უსწრო და ერთიანად გალუმპულმა გრძე-
ლი, ორსართულიანი სახლის სადარბაზო-
ში შერგო თავი. ბიჭმა არ იცოდა, რომ ამ
შენობაში ოდესღაც უმდიდრესი სომეხი
მენავეთობე ცხოვრობდა და არც ის, რომ
ახლა აქაურობა „ხელოვნების მუშაკთა
სახლად“ მოიხსენიებოდა. ჩვეულებრივი
სადარბაზოსთვის უჩვეულოდ ვრცელი,
მარმარილოს შავ-თეთრი ფილებით
მოპირკეთებული ფოიე განიერი, ბრინ-
ჯაოს მოაჯირებიანი ხის კიბით უკავშირდ-
ებოდა მეორე სართულს, საიდანაც ყრუდ
ისმოდა მიკროფონთან მოლაპარაკე ქა-
ლის ხმა. ცნობისმოყვარეობამ სძლია და
კიბე აიარა. მარცხენა მხარეს, ღია კარში
დარბაზი დაინახა — კედლებზე დაკიდე-
ბული ნახატებით. სველი თმა ცხვირსახოც-
ით შეიმშრალა და შეძლებისდაგვარად შე-
უმჩნევლად შევიდა დარბაზში.

იქ შეკრებილ ხალხს მისთვის არ ეცა-
ლა, სიტყვით გამომსვლელს უსმენდნენ,
მისკენ ჰქონდათ მიპყრობილი მზერა... ნახ-
ატები ეუცხოვა ბიჭს — ოდნავადაც არ
ჰგავდნენ იმ ნამუშევრებს, რომლებსაც
ყოველ ფეხის ნაბიჯზე, კინოთეატრებისა
და „კულტურის სახლების“, „უნივერსიტე-
ტისა“ და რესტორნების ინტერიერებში
ნააწყდებოდა კაცი. ამ კედლებიდან მქრქა-
ლი ფერებით შესრულებული ადამიანების,
სახლებისა და ქუჩების ოდნავ დეფორ-
მირებული სილუეტები იყურებოდნენ. თვა-
ლი რომ შეაჩვია, მოეჩვენა, მიუხედავად
პროპორციების უგულვებლყოფისა და
ფერების უკიდურესი სიძუნწისა, ეს ნახატე-
ბი უფრო ზუსტად, უფრო მძაფრად ასახ-
ავდნენ რეალობას. ასე რომ არ ყოფილიყო,
რატომ გაახსენდებოდა მათი თვალიერე-
ბისას ნაცნობი სურათები — მშობლიური
ქუჩა და ძველი სახლი ქუჩის ბოლოში, რომ-
ლის ერთ-ერთ ფანჯარაში ხშირად ხედავ-
და ქოთნის ყვავილებზე დახრილ ახალ-
გაზრდას, ლამაზ ქალს...

ამასობაში მისასალმებელი თუ წარ-
სადგენი სიტყვა დასრულდა და შეჯგუფუ-
ლი ხალხი გაიფანტა. ზოგმა ნახატებისკენ
გადაინაცვლა, ზოგმა — მაგიდისკენ, სა-
დაც ღვინით სავსე ჭიქები გაემწკრივებინ-
ათ რამდენიმე რიგად. ბიჭმა უხერხულო-
ბა იგრძნო და დარბაზიდან გასვლა დაა-
პირა. თუ ყველა არა, დამსწრეთა დიდი
ნაწილი ერთმანეთს იცნობდა, მხოლოდ ის
იყო უცხო და თანაც სისველისგან დამბა-
ლი, ლანჩებდახვერტილი ფეხსაცმელების
„წყალობით“ წყლიან კვალს ტოვებდა
ყველგან, სადაც მცირე ხნით შეჩერდებო-
და... უკვე კართან იყო მისული, ვიღაცამ
რომ დაუძახა — მეგობარო... მოიხედა და
ლამის მამისტოლა, უფროსი კაცი შერჩა
ხელთ... არ გახლდათ მიჩვეული ამ ასაკის
ადამიანებისგან ასეთ მიმართვას, ახალ-
გაზრდას, თუ მაინც და მაინც, როცა მას-
თან გამოლაპარაკება სურდათ. ორ-
მოცდასხუთად წლის კაცი ჩვეულებრივი
„უფროსი კაცივით“ არ გამოიყურებოდა,
მზერითაც და საუბრის წარმართვითაც
ისეთ ვინმეს ჰგავდა, ვინც ასაკობრივ სხ-
ვაობას არად დაგვიდევთ და თანასწორო-
ბის გამოძღვლებით ნდობას აღძრავს.
ჯერ იყო და ღვინო გაუნოდა, მოგხდებო-
და წვიმაში ნასიარულევსო... მერე ის კი არ
ჰკითხა, მოგეწონა თუ არა გამოფენა —
უთხრა, კარგია, რომ ამ ნახატებმა
როგორც იქნა გამოაღწიეს სახელოსნო-
დან... არც ის უკითხავს, სად სწავლობს,
ან რას აკეთებ, ღვინო მოსვა და თქვა, ეს
ჩვენი მხატვარი წერს კიდევ და არცთუ
ურიგოდო... ბიჭს კითხვა უყვარდა, ბავშ-
ვობაში უფრო მეტს კითხულობდა, ვიდრე
ახლა. ამას თავისი მიზეზი ჰქონდა — სათ-
ავგადასავლო წიგნების სამყაროდან „სე-
რიოზული“ წიგნების სამყაროში ინაცვ-
ლებდა და რასაც ნააწყდებოდა, ყვე-
ლაფერს არ ნიჭავდა სულმოუთქმელად —
არჩევდა, მოთხრობა ან რომანი ისეთი
უნდა ყოფილიყო, სადაც ფათერაკების
კასკადის არარსებობის მიუხედავად,
მძლავრი ვნებები იბოპოქრებდა.

უკვე ჰყავდა თავისი „ჯილბოტი“ ნაკითხ-
ულ წიგნებს შორის, რომელთა შესახებ
დიდი სიამოვნებით ილაპარაკებდა ვინ-
მესთან, გზას გაუხსნიდა, თავისუფლებას
მიანიჭებდა დაგულებულ შთაბეჭდილებებს,
მაგრამ ირგვლივ არავინ ეგულებოდა
ყურისდამგდები. სულ ისეთ ხალხთან ჰქონ-

და საქმე, საკუთარი ინტერესების მუშტი-
თა და დანით დაცვის გარდა, ბევრი რომ
არაფერი აღელვებდა... მის წინ მდგომი
კაცი იმ „ხალხს“ არ ჰგავდა, მოგძო
ნაოჭებით დაღარული სახე და გამჭრიახი
მზერა სულ სხვანაირ ძალას ასხივებდა —
სიმშვიდის მომგვრელს, გამამხნეველს...
ამის მიუხედავად, ბიჭმა მორცხვობას ვერ
სძლია, სიტყვა ვერ დაძრა საქართველოს
მთებში მოხეტიალე გერმანელ მწერალზე,
კონტრბანდისტად ქცეულ ამერიკელ
სკიპერზე და საბუთების გადამწერ ლოთ
ირლანდიელზე... თუმცა, გამოფენიდან
მაინც კარგ ხასიათზე წამოვიდა, რომე-
ნადაც კინოფილმიდან გამოყოფილი
მელოდიის სტვენით დაუყვა ნაწვიმარ,
მოყვითალო-მოყავისფრო ფოთლებით

გზაზე მიეჭრია. ბიჭები უკან ვსხედ-
ვართ, ქერა კაცი მძლოლის გვერდით ზის.
ცა ხან რუხი ღრუბლებით იფარება, ხან
კიდით კიდემდე გადაკრიალებულია... კიბე
მარმარილოსია, ძველი — საფეხურებზე
მონითალო ფარდაგია დაფენილი.
თავდახრილი ავდივარ, საკუთარ ფეხსაც-
მელებს დავცქერი. „ბათინკები“ მაცვია,
მრგვალცხვირიანები. ბიჭებსაც ჩალუნუ-
ლი აქვთ თავები, ქერა კაცს — არა... კიბის
მერე კორიდორია — უგრძესი, ორივე მხ-
არეს ათულობით კარით. იატაკზე, იქაც
ფარდაგია დაგებული, ისიც ნითელი,
ორივე კიდზე მწვანე ზოლგზაყობლებუ-
ლი. უხმაუროდ მივბიჯებ... ქერა კაცი
ერთ-ერთ კარს ალბებს და შედის... სასტუმ-
როს ნომერია ერთმანეთში გამავალი მის-

ზაალ სამადაშვილი
ოსტატთან შეხვედრა



მოფენილ ვინო ქუჩას... რამდენიმე თვის
შემდეგ ბიჭი კვლავ გადააწყდა
გამოფენაზე გაცნობილ კაცს, უფრო სწო-
რად, მის ფოტოს, დაბეჭდილ სქელი,
ხუთასგვერდიანი წიგნის თავფურცელზე.
ის მწერალი აღმოჩნდა, ამ წიგნის ავტორი.
გრძელსათაურიანი რომანი ასე იწყებოდა:
„ეს იმდროინდელი ამბავია, როცა ვანი
ზღვისპირა ქალაქი იყო...“

სიზმრები

ისე მექცევინან, რომ მათი თანატოლი
უნდა ვიყო, ოცი-ოცდაორი წლისა. ეს ორი
ბიჭი, მე და შუახნის ქერა, გამხდარი კაცი
მთის ფერდობზე, ლოდიანებზე ვსხედ-
ვართ. კაცი ვერცხლისფერ ქალაღს
აქლის შოკოლადის ფილას, ამტვრევს და
ნატებებს გვანჯდის. რა არის გასაკვირი
შოკოლადით გამასპინძლებაში, მაგრამ
ჩვენ გაკვირვებულები შევცქერით კაცს.
ეტყობა, მანამდე რაღაც მოხდა, რაღაც
ისეთი, რაც ასე არ უნდა გავრძელებუ-
ლიყო... გამწკრივებულები მივუყვებით
თავდაღმართში ვაკაკინილ ბილიკს, ცხ-
ენებზე ჩაგვყავს, ლაგამებით გვიჭირავს,
წინ მივუძღვებით... გზადაგზა ხალხი გვხ-
ვდება, მათ თვალელები წუხილი და თანა-
გრძნობა იკითხება ქერა კაცის მიმართ...
ბილიკიდან სამხედრო ყადის თავლია მან-
ქანაში ვინაცვლებთ. მოასფალტებულ

ალებით და საძინებლით. მისალებში სარკე
დგას, რომელშიც საძინებელი ოთახიც
ირეკლება და ვხედავ ქერა კაცს, რომელ-
იც სანოლზე გადაფენილ კაბას დასცქე-
რის. ჯერ გამეშვებულვით დგას, მერე ხე-
ლები სახესთან მიაქვს, თვალელები იფარებს
და აცახცახებული მხრებით ვხედები, რომ
— ქვითინებს... ის დასტირის სხეულს,
რომელიც აღარასოდეს შეავსებს და
მოიხდენს ამ კაბას... რომელიც სამშობ-
ლოდან შორს, უცხო ქვეყნის მთიანეთში
მიაბარა მინას იქაური მეგზურების დახ-
მარებით... სარკეს თვალს ვამორებ და ფან-
ჯრისკენ ვინაცვლებ. იქ ვიღაც კაცი დგას,
მისი ნაოჭებით დაღარული სახე და გამ-
ჭრიახი მზერა ძალიან მეცნობა...

ზღვა უნდა იყოს სადღაც შორიახლოს,
რადგან ხმაური, რომელიც ყრუდ ჩამეს-
მის, სანაპიროს ჯებირებს შეხეთქებული
უზარმაზარი ტალღების ზათქისა და თო-
ლიების ჭყვივლის ნაზავს ჰგავს... დანჯ-
რეული „პიკაპის“ ბრეზენტით გადახურუ-
ლი საბარგულიდან ყინულის ბრიკეტებით
სავსე მუყაოს ყუთებს ვეზიდები, კაფემი
შემაქვს და დახლის უკან, ღრმა და გრილ
სარდაფში ჩამავალ კიბესთან ვანყო...
კაფე თითქმის ცარიელია, მხოლოდ ერთი
მაგიდაა დაკავებული...

ორნი სხედან, ორი კაცი... ერთნაირად
ღარბულად, პორტის მუშებრივად სწავლით
— გაცრეცილ-გამოხუნებული, ერთ დროს
რუხი ჯვალის შარვლები, მუცლამდე ჩაღე-
ლილი ტილოს პერანგები და სანდლები შიმ-
ველ ფეხებზე... მორიგი ყუთის შემოტანი-
სას ვხედავ, ამ ორ კაცს სამნი დადგომიან
თავზე და რაღაცას უხსნიან თუ უმტკიცე-
ბენ ხელების ქნევით. ესენი, ეს სამნი, მათზე
ახალგაზრდები და მდიდრულად ჩაც-
მულები არიან, სამხრეთელებს რომ უყ-
ვართ, ისე — თეთრ შარვლებზე ჭრელი
ხალათები აქვთ გადმოშვებული, თითებზე
გიშრისთვლიანი მსხვილი ბეჭდები უკეთი-
ათ და საგულდაგულად დავნაცხნილი
ყორნისფერი თმები ბრიოლინით უპრი-
ალებთ... ნაწყვეტ-ნაწყვეტ მესმის მათი
ლაპარაკი; უფრო სწორად — სიტყვები:
„ნავი“, „ათასი დოლარი“, „ვერ ნაგოყვანთ“,
„სამი ათასი დოლარი“, „ლაყობა“, „ჩვენ
ვილაყვებთ?“, „მეტი არაფერი გამაჩნია...“
მერე, კიდევ ერთი ყუთის სიმძიმით წელში
მოხრილი დახლისკენ რომ მივდივარ, სი-
ტყვების მაგივრად სროლის ხმა მესმის.
გარეთ, მზით გაჩახჩახებულ მოედანზე, იმ
სამს ესვრიან, წელან კაფემი რომ იყვენ...
რამდენიმე მხრიდან ესვრიან, სხვადასხვა
იარაღით... ესენიც პასუხობენ ქანრებიდან
გაძრობილი პისტოლეტებით... კაფეს შიდა
კედელს ვეფარები, ვაითუ ბრმა ტყვია
შემოზუზუნდეს ორმხრივი სროლიდან. ჩემ
გვერდით ვიღაც დგას, ვიღაც კი არა, კარ-
გად ნაცნობი კაცი დაღარული სახითა და
გამჭრიახი მზერით...

საფეთქებზე ხელებმიდებული, წარწ-
ერებით აჭრელებულ ვიტრინას ვეყრდნო-
ბი მუბლით და ლუფხანაში ვიხედები... არც
ისე კარგად განათებული, გვარინანად გაბუ-
ღული დარბაზი ტვიდის კუპონი კაცებით
არის სავსე. ერთ-ორს ქვაბურა ქუდიც ახ-
ურავს, წვრილი მოხელის გარდერობის
აუცილებელი ატრიბუტი, ტანზე მომდგარ
მოკლე პიჯაკთან ერთად... რატომ, არ ვიცი
და სწორედ ასე გამოწყობილ კაცს
ვაკვირდები — მაღალს, ბრგეს, ნითლად
აფორჯებული სახე რომ აქვს და მსხვილი,
შეშუპებული ნაკვთები... რაღაცას უყვება
სხვა კაცებს, მხოლოდ სიტყვებით არა, გა-
რეთ, ჩემამდე რომ ვერ გამოაღწევინ — ხე-
ლებით, გამომეტყველების ნამდაუნუმ ცვ-
ლით, გადაადგილებითაც კი — თანამეინ-
ახები რომ უსხედან, იმ მაგიდისგან რამ-
დენიმე ნაბიჯით გაშორებით და რაღაც
ფრაზების წარმოთქმის შემდეგ, უკან მი-
ბრუნებით... მსგავსი ხერხით ორ სხვადასხ-
ვა ადამიანს განსახიერებენ ხოლმე ეშში
შესული ხატოვნად თხრობის მოყ-
ვარულნი... დეკლამატორიცა და მსმე-
ნელებიც სვამენ. ვინ ქაფმოკიდებულ ლუ-
დის კათხას იყუდებს, ვინ ვისკით სავსე
ჭიქას იმბობს პირში... თვრებიან, მაგიდას
ასუფთავებენ ზედმეტი ნივთებისგან და
მკლავის გადანევაში ეჯიბრებიან ერთმან-
ეთს... ხელებგადაჭდობილებს კისრის
ძარღვები ებერებათ, სასმელისგან აჭარხ-
ლებული სახეები ლამის მწიფე შვინდისფერ-
ები უხდებთ... დამარცხებულები კბილებ-
ის ღრჭიალით, დანანებით აქნევენ თავებს,
გამარჯვებულები მუშტებს იბაგუნებენ
მკერდზე... თუმცა, გამარჯვებულები კი არა
— გამარჯვებული, რადგან სულ ერთი და
იგივე კაცი ახერხებს ყველას ძღვევას... ქე-
აბურა ქუდიანი ბრგე კაციც მარცხდება
მასთან, არადა, ყველაზე მედგარ წინააღმ-
დეგობას ის უწევს, ყველაზე დიდხანს მისი
ჭიდილი გრძელდება ახალგაზრდა, დაკუნ-
თულ, ბომასავით ატლასის ჟილეტში გამოწ-
ყობილ მეტოქესთან, ყველაზე მწარედ ის
განიცდის მარცხს... ოფიცინანტს, თავზე
რომ ადგათ მსაჯივით, მრისხანედ უყურებს
და რაღაც მკვახეს, დამამცირებელს ეუბ-
ნება... ბრახვი გასაქარვებლად სასმელს
უსხამენ სათითურითი პატარა ჭიქაში...
ეგრევე ყლურწავს და ჯიბეების მოჩერეკას
იწყებს, ეტყობა არ ეყო, კიდევ უნდა... ვე-
რაფერს პოულობს, წელმონყვეტილივით
დგება და გასასვლელისკენ, ჩემი მიმა-
რთულებით მოდის... ვიტრინას ვმორდები,
გვერდით კაცი ამომდგომია, სახედლარუ-
ლი, ნაცნობი... ჩემსავით ისიც აყოლო-
თვალს ლუფხანადან გამოსულ მარცხ-
ნაწვენე, ნალოთავებ ახმასს — ის მხრებანუ-
რული მიძუნძულებს ტრამპაის მკრთალად
განათებულ გაჩერებისკენ...



ცვალებადა

რამდენი დღეა, ბედს მინდობილს ღმერთიც შელავათს მიკეთებს ყველა ქარიშხლისას და მიმადინებს ხოლმე, რომ ვიგრძნო ტანი როგორ გადამელალა ამ უძრაობით. ნარმოვიდგენ გამქრალ მანძილებს და შენთანა ვარ. ვერაფერი ვერ მელობება. და შენს ხელებში კანგადაცლილ, ცისფერ მძივებად ვარ გაბნეული, შენს ჟაკეტზე — ფერად კობლებად. დღეს ჩემი დარდი რომ აღიქვა, გაგეცინება, იმდენად ვდარდობ და იმდენად ვცდილობ, გადავრჩე და დარდმა ბოლო არ მომიღოს, არ შემისრუტოს, რომ ერთი დღეც გავიგრძელო

ჩვენს ვრცელ ზღაპარში, თითქოს პირველად, მეათასედ რომ შემისრულდი, მნიფე ცრემლებით გაუწყებ და ქარზე დაყრდნობილს, რომ არ ვამხელდე ჩემს ტკივილებს, ვერც შემატყობდი.

არ საუბრობენ ჩემი მხრები. ჩემი თვალები. ჩემში არავინ არ საუბრობს, გარდა ღიმილის. და რა აზრი აქვს, სად ვიქნები, სად მეყვარები, სად ჩამოვჯდები ან სულელი გოგონასავით თუ სად დავუთვლი

გაფითრებულ ფურცლებს გვირილებს. რაც მთავარია, სიყვარული უკვე მასწავლე.

მე არ მქონია სურვილები რთული, მარტივი. არ მომდიოდა გაზაფხული გაზაფხულივით. ჩემში არავინ არ საუბრობს და მოზარდვით ჩემი უნაკლო დუმილებით ვმანიპულირებ.

სად დავმთავრდები, არ ვკითხულობ, სად დამივინყვებს ღმერთი. ან იქნებ? ან ვინ იცის? ანდა პირიქით. როგორ მანაზებს მონატრება, მაშინ მეტად ვგრძნობ, როგორ უღლებება ნაპირები ჩემს ყალბ სიფიცხეს და მზად ვარ, შენკენ ნამოვიდე ყველა ბილიკით.

ყველა ბილიკით შენ გახარო ჩემი ლოცვების ასრულებები. რას დავეძებ ქვეს და ეკლების ბუჩქებს. ან სადმე ქარიშხლები შემისხორცებენ და, როგორც ქარი, ბოლოს ისევე შენ მოგეკვრები.

შენც ხომ ადევნებ ჩემს ცხოვრებას თვალ-ყურს, ღმერთი რომ უმალ მისრულებს, რასაც არც ვთხოვ და მიფრთხილდება. ლამის ავჩვილდე მის ზრუნვაზე და ამეტიროს. მაინც მგონია, ერთხელ დამსჯის ასე უმადურს და ყველაფერი შენი სახით გამიფრინდება.

მე არ მგონია, რომ შემეძლოს რამის ატანა, რაც, ალბათ, ზოგს ზრდის, შეიძლება, უკეთესსაც ხდის. ისიც მეყოფა, ჩამოსვლიდან რასაც ვატარებ გულით, და ყველა შენი მოსვლა, ნახე, მანდ არი, ან სხვაგან უფრო საიმედოდ სად ჩავთესავდი.

წარმოიდგინე, თითქოს, გული არის ღრუბელი, რომელიც ინოვს სუყველაფერს და იფლინდება. მე ვუფრთხილდები მას. ხანდახან სულსაც ვუბერავ ჩვენ კარგად ვიცით მისი მოვლა, ჩვენ — თალღითებმა. გვაქვს საიდუმლო დუმილებიც და საუბრებიც.


ღრუბელი არის გული. და რომ მოვიღრუბლები, ვგრძნობ შიგნით რაღაც მზის მაგვარი როგორ ინთება.

შემდეგი დღე კი, რა ვიცოდი, რას მიმზადებდა... ცხადად ვიხილე აქყოფნისთვის ის სიცოტავე, რომელიც ჩემში დაბადების დღიდან იზრდება. შენც შენი მოსვლით კიდევ უფრო გამიზარდე და,

ახლა არ ვიცი, ეს ხელები სად შესცოდავენ, სად მოყვებიან სისუსტეებს, შენგან შერჩენილს. სანამ ბოლომდე გაგიმეგებ და გადაგეჩვენე.

თითქმის არ დამრჩა არაფერი, რითაც უშენო დღეებში ჩემს თავს ვუშველიდი, დავიმშვიდებდი. ან რატომ ვთვლი, რომ უეჭველად უნდა ვუშველო, უნდა ვიზრუნო მასზე, თვითონ მუდამ მწირავდა. იმ სიმშვიდეებს, შენს თბილ გულზე თავის მიდებით რომ ვიგროვებდი, ახლა დროა ვუნანილებდე დღეებს, რომლებშიც არ იქნები. და შესაძლოა, ამ სიცივეში მოვახერხო თავის დაძრომა.

დღეებს, რომლებშიც არ იქნები, არ ემუქრებათ სისხარულები, უნებლიე ამჩატებები. მივიდვარ. იქნებ, ასეც ჯობდა და ხელუხლებლად ვტოვებ ყველაფერს. არც ვაკლებდი, არც ვამეტებდი, რასაც გიძღვნიდი, რასაც გწერდი, რასაც ვწირავდი, მაგრამ ვიცი, რომ ვერ ჩაგტყე დაწერილიდან დასაწერამდე.



ნინი ელიაშვილი

თითქოს, დამთავრდა. ყველაფერი, თითქოს, გითხარი. მაინც ვბრუნდები ყოველ ჯერზე, როცა მეშვება ხელი, იმედით — ამ წერილის კვლავ ნამკითხავი ხარ მაშინაც კი, როცა ვილაღ გეუხეშება ჩემიდან. ვილაღ, ვინც ფეთქდება, ვინც ვერ იგუებს უშენოდ ყოფნებს. ხელით თვითონ იხსნის ჭრილობებს. ვისაც მხოლოდ ის შეუძლია, რომ ცინიკური სიტყვების მიღმა მომაკვდავი გულით ტიროდეს.

და რაც დრო გადის, უფრო ვხვდები, როგორ მაძიძიებს დრო და ვცდილობ, რომ მოვახერხო ისე შენახვა ყველაფრის, როგორც შენ დატოვე. ვინმე დამცინებს, მაგრამ ეს ერთი შანსი მრჩება გადასარჩენად — გამოგიგონო. გვრჩება ერთი გადარჩენა, თუ ნავედით და ვერაფერმა ვერ შეგვაჩერა.

სისულელეა. მხოლოდ ფურცელს თუ ეხსომება სიტყვები მაშინ, როცა უკვე ამინდებივით გამოცვლილია განწყობები, როცა გვაცხლებს. მე შემიძლია ვიმეორო მთელი ცხოვრება ის, რამაც უკვე, მგონი, თვითონ დამიზეპირა. გასარკვევია მე — მას თუ ის მე გამაგრძელებს.

ხან ვიკარგები არაფერში. არაფერია, რაც ღიმილს შემსხნის და გაყინულ ცრემლებს გამიღვობს. ვჩუმდები. ვკვდები. ვიბადები. და უთარილო ქვეს ვუსმენ. შენზე, შენს ყოფნაზე როგორ მღერია, როგორ კარგავენ ქვის სახეს და როგორ იმსხვრევენ გულს, რომ აღარ გავართულო, როგორ გიხსენებ...

აღარც დგომაა. აღარც სვლაა. აღარც ვარდნები. ახლა რაღაცა ჩვენთვის უცნობ მდგომარეობას ვეჩვენებ. და დღეს, რომელშიც არ შემეყვარდები ახალი სუნთქვით, ახალი ხმით, როგორც ბზარიდან, ისე ჩამომცლის წვეთ-წვეთობით უიმედობა, ჩემივე თავის უამრავი თანამგზავრი და შველა ვიქნები და ჩემსავე თავში შევტოპავ.

გზას ვერ დავშორდი. შემეშინდა ჩემი სისხარტის. ვერ დაგიმშვიდე გული ასე მკვეთრი კადრებით. წარმოვიდგინე, ხე ვიყავი. შენ წყალს მისხამდი. და უსაშველოდ ვიზრდებოდი. და ჩემს ძარღვებში ჩქეფდა სიცოცხლე. სიგჟემდე მომენატრები... მაგრამ უთუოდ უნდა გამეშვი.

უნდა გამეშვი. ჩემს სიკვდილებს ვერ მოგახვევდი. შენც ხომ არ გსურდა ჩემი გული მკედარი გეხილა. მე გავიხსენებ საბოლოოდ როგორ გახვედი... მთელი ცხოვრება მეყოფა, რომ ვგრძნობდე, მიდიან. მკერდთან რომ დიდი მონდომებით ჩამოტეხილა, თუ გინდა, სწორედ იმ ხევიდან გადაგახედებ, რომ დაინახო რა სიმშვიდეა.

რა სიმშვიდეა. რა სიკვდილი. რა უდაბური არის ადგილი, შენ რომ ტოვებ. მხოლოდ ნაცრისფერ ლანდს დაინახავ. მუდამ მშვიდს და მუდამ მარტომყოფს. ვერაფერს შევცვლით და ვერაფერს ვერ დავაბრუნებთ. რახან მიდიხარ. რახან ნასვლებს ასე ამწიფებ, ნება მიეცი, უშენობა იავადმყოფოს.

ნება მიეცი, ისე მოკვდეს, როგორც ისურვებს. ყველა სიკვდილი ნანახი აქვს. ჯვრებით. ლურსმნებით.

სიზმარი იყო. რადგან ძილი ვერ დავისრულეთ, ნება მიეცი. აგრძნობინე, როგორ უშვებენ...


ბოლომდე როგორ იმეტებენ... და არასოდეს არ გაიხსენო. ოღონდ ერთი. ნება მიეცი იავადმყოფოს. არ იყო და მუდამ ახსოვდე.

დრო აღარ გადის. დრო გროვდება. დრო ინურება. ვინ შეგვიბრალებს, თუ პირიქით არ დაგვაბრალა რაიმე მკაცრი. თუ არ შეძრა ჩვენმა ამბავმა. თავშესაფრებად. ციხეებად. და მიწურებად რომ მოვევლინეთ ერთმანეთს. რომ ძალა არ გვყოფნის. რომ ხან მიდიხარ. ყოველ ჯერზე ამ უარყოფის ორმოში ვხვდები და ორმოდან გინყებ ყურებას.

ირგვლივ სიბნელე. არაფერი. ირგვლივ მინაა. და უღმერთობა. და ყველაზე ეჭვის მიტანა. და შენ მაღლა ხარ. იბუხები. და მალღიდანვე მიწყებ შველას. და ველარ ვხვდებით ბოლოს ვინ წავა. ვის არ ეყოფა გამძლეობა. ვინ უღალატებს ამ ზღაპარს. ამ ქვეს. ამ ორმოებს. ცრემლის ბარათებს. ვინ იტყვის: „ჩვენი სიყვარული გარდაიცვალა!“.

ჩვენი საბრალო სიყვარული. ჩვენი ათასჯერ უარყოფილი სიყვარული და ვერავისგან შეყვარებული. ნუთუ ერთ დღეს შევძლებთ გარისკვას და მის სიკვდილზე ვისაუბრებთ. იქნებ, გადარჩეს... იქნებ, გადარჩეს. ვჯიუტდები მაინც, ბავშვივით. და ყველა ბგერა ამ ბავშვივით მაფრთხობს. მაშინებს.

ჩვენი საბრალო სიყვარული. როგორ დავტანჯეთ.



ნენე
გიორგაძე

ფოტოქალაქი

პრიალა და ხაოიან ფოტო-ქალაქებს
ერთმანეთი შეუყვარდებათ.
საერთო მათ არაფერი აქვთ, უფრო მეტიც,
ყველაფერი — სქესიც მათ შორის — საპირისპირო.
მდედრი ქალაქი შეისრუტავს სინათლის სხივებს.
მამრი ქალაქი პრიალა კანზე შუქს აირეკლავს.
ერთმანეთთან არასოდეს იკვეთებიან,
საოჯახო ალბომებში მათ გვერდი-გვერდ
ვერასდროს ნახავთ,
რადგან ყველამ, ვინც კი უკვეთავს ფოტო-ქალაქს,
კარგად იცის, თუ რომელზე უნდა დაბეჭდოს
და პრიალა არასოდეს აერევა ხაოიანში.
ამ ყველაფერში სანუგეშო მათთვის თითქოს არაფერია,
და მაინც უყვართ ერთმანეთი ფოტოქალაქებს,
და ფიქრებით ერთმანეთის სამყაროში
განუწყვეტლივ მიდი-მოდიან.
„თქვენი მირაჟით ამოვსებულ სამყაროში
ჩვენ ერთადერთი გადარჩენილი რეალობა ვართ,“ —
ჰო, სწორედ ასე გვპასუხობენ შეცბუნებულებს.

ბოქლომი

დიდი სატვირთო მანქანები ძირითადად
ლამით მოძრაობენ.
რა ჯურის ტვირთი აღარ გადააქვთ: პროდუქტები,
სამშენებლო მასალები, საყოფაცხოვრებო ტექნიკა.
როცა გზაში არ არიან, მათი მძღოლები
სახლში რჩებიან და
შეძლებისდაგვარად იკმაყოფილებენ
სექსუალურ თუ სხვა მოთხოვნილებებს.
სვამენ ვისკის, იგინებიან,
და ნაკლებად ფიქრობენ ცოლების საყვარლებზე.
მათ მზეზე გარუჯულ დაბერილ კუნთებს
მდუღარე წყალივით ასდის
ოფლის სუნში შეზავებული ოხშივარი.
ისინი სხვა მძღოლებისგან არაფრით გამოირჩეოდნენ,
რომ არა უხილავი ბოქლომის ტატუ სახეზე —
მათ არასოდეს ეუბნებიან რა ტვირთი მიაქვთ.

ბიუსტპალტერები

ქალის მკერდის კოლექციას აგროვებდა.
ერთი და იგივე ტუფების ფერება როცა ბეზრდებოდა,
სამახსოვროდ ქალის ლიფს იტოვებდა
და მერე სურათივით კიდებდა კედელზე.
სახლში ბიუსტპალტერების გამოფენა ქონდა.
ბამბით გამოტენილი სხვადასხვა ზომის,
ფორმისა და ფერის
ლიფების ქვეშ წვრილი ასობით სახელები ეწერა.
მაგრამ კერტები არ ქონდათ ლიფებს,
არც — მაგიური ვარდისფერი წრეები
კერტების გარშემო.
ფოტოების გადაღება უნდოდა,
მაგრამ ქალები იშვიათად აძლევდნენ ამის უფლებას.
ერთხელ დაესიზმრა, რომ ბიუსტპალტერზე იქორწინა.
ქუჩაში ერთად დადიოდნენ,
მანქანაში გვერდიგვერდ ისხდნენ,
ლოგინში ერთმანეთთან ჩახუტებულებს ეძინათ.
გაღვიძებულს გაახსენდა, თავდავიწყებამდე როგორ
ულოკავდა მკერდს ერთ ახალგაზრდა ქალს, რომელიც
ეს-ესაა დედა გამხდარიყო, როცა ენის წვერზე იგრძნო
ტუფიდან გადმოღვრილი რძის სიტკბო.
კაცმა პირველად გაუსინჯა დედის რძეს გემო.

ფირფლი

როგორც ანდერძში დაიბარა,
კაცის ფერფლი ზღვაში ჩაყარეს.
ცოლი მუხლამდე წყალში იდგა და

თვალს ადევნებდა, როგორ გამოყვა
ფერფლი ტალღებს ნაპირისაკენ.

„სიცოცხლეში სხვა ქალებთან
მიყავდათ ფეხებს. იმას ვფიქრობდი,
საფლავი მაინც მე დამრჩებოდა,
იქ მოვუვლიდი მცენარედ ქცეულს.
მან კი ფერფლად ქცევა არჩია,
რომ ჩემთან თავად მოსულიყო,
და ფერხითი გართხმულს
მოეთხოვა ჩემგან შენდობა“.

ღუმელი

სახლის ყველაზე ხმაურიან ნაწილში დგას
რკინის დიდი შავი ღუმელი — ცხელი წერტილი
ტერიტორიის. დღესასწაულზე ათმაგდება
მასზე დარტყმები. გარშემო მყოფნი დაბერილი
ნესტოებით ისრუტავენ ღუმელიდან გამოსულ
სუნს, და მოსვენებადაკარგულები, ნერწყვის
ყლაპვით წამდაუნუნ მის სიღრმეში იმზირებიან.
ღუმელი ამ დროს სიმწრისაგან ისე ხურდება,
რომ თვითმკვლეელი ტერორისტივით მზადაა
თავი აიფეთქოს ამ ხალხთან ერთად. აი, ეს ხელი,
ეს ნატიფი მაჯა, რომელმაც უნდა გამოაღოს
კარი მისი ჯოჯოხეთის, ერთხელ მაინც უნდა
დათუთქოს, კანის ფორები ამოუნვას — სწორედ
ასეთი ბასრი კვილი უნდა გაისმას, თითქოს გვენამ
ღუმელივით გაალო პირი — გაფრინდეს ხელი.

კამათელი

მას ყოველთვის კამათელივით
ხელიდან უსხლტება და ეკარგება
პასუხები თავისი კითხვებზე.
კამათელი კი ხან ცალით და
ხან ექვსი თვალით ამოჰყურებს
და აუტანელი სიმშვიდით ღუმს.
იგი ფიქრობს, რომ ეს სხმარტალა
კამათელია თავად პასუხი,
რომ ჭეშმარიტად ის ეძიებს,
ვინც მუდამ კარგავს.

პარიცინები თეაზა

- *
სიყვარული განმეორებადი კადრია
ტუჩთან მიტანილი
გამჭვირვალე ბოკალის მსხვერვის
და ამ კადრის
მუდმივად უკან გადახვევაა
ნამსხვერველის
ისევ ბოკალად გადასაქცევაად
- *
სიყვარული
სიგარეტის ღრმა ნაფაზია
რომელმაც სწრაფად შეაღწია
ფილტვების ყრუ და ბრმა სამოთხეში
და იგივე გზა გამოიარა
საპირისპირო მიმართულებით
- *
სიყვარული
მალალი ატმოსფერული წნევის
ტურბულენტური გვირაბია ცაზე
რომელმაც შედის თვითმფრინავი
მინიდან კი ჩანს მხოლოდ
თეთრი
სწორი
ბილიკი

ჯიჯა

ყოველ ღამით, დაძინებამდე,
გულის ჯიბეში ვამონებ ქვებს —
სხვადასხვა ზომის, ფორმის და წონის —
შენთვის სასროლად რომ მოვაგროვე.
მთელი ღამე ქვებს გიმიზნებ და
გაღვიძებული, ისევ გულის ჯიბეს ვეხები,
ამ საოცარ ჯიბეს, რომელშიაც
სისხლის გიჟი ბურთულაქები
სხვადასხვა ზომის, ფორმის და წონის
ქვებად იქცევა.

ღამალული თაიგული

როცა სიგარეტის წვეისას
ჩვეულებრივზე მკვეთრად გითრთის მაჯა
და შიშისაგან ისე პატარავდება,
რომ ოთახის კუთხეში დაგდებული
ნაჭრის დათუნიაც კი გადაგყლაპავს,

იფიქრე, რომ ვილაცის უხილავი ხელი
მინდვრის ყვავილებივით აგროვებს ბგერებს
და სიტყვებს ჩუქნის;
სიტყვები თაიგულვით ზურგსუკან მალავენ,
მერე შენს ირგვლივ ბავშვებივით წრეში დგებიან
და მღერაინ: ზი-ლი-ნააააა, ზი-ლი-ნააააა...

ხომ არ აჯობებდა, დაკარგულიყო,
არ ეპოვათ იმ ღამეს შეშლილი?
„მკვდარს“ როგორმე გამოიტყობ,
ხსოვნაში მაინც მოეფერები.
ახლა კი არის და არც არის,
გაიცრიცა მნიფე ფორთოხლისფერი,
უსახელო ფერი გახდა,
როგორც ჭუჭყიან ტილოზე პორტრეტი,
სადაც აქა-იქ ჩანან ნაკვეთები
და სახეს ვერაფრით ვაკონინებ.

სანიშნი

ახალი ჩაილი. ძველი ლებტობი.
თეთრი ასობები. შავი კლავიატურა.
სადღაც აქვე იღო სანიშნი
უცნაური სიმბოლოებით.
აღარ მახსოვს ციფრული თუ ქალაქის.
არც სიმბოლოები მახსოვს.
რაც ზუსტად ვიცი — სანიშნი იყო
გაურკვეველი ფორმატის ტექსტში
ბანალური სათაურით:
„დრო.“

გასტარბაიტი

არაფერი შეიცვლებოდა, გასტარბაიტერს უზადოდ რომ
არ გაენმინდა კაფე „ხალის“ შემინული ექსტერიერი.
დილაობით, როცა ქალაქს ისევ ეძინა, „ხალის“ გვერდით
უნდა ჩამეველო. შუშის წმენდისას ეს წვრილთვალე
გასტარბაიტი უცნაური ღიმილით მეგებებოდა.
არავინ იცოდა მისი სახელი, მუწუხაო, კაფეში მითხრეს.
რალაც გროშებზე მუშაობდა. იდეალურად. თითქოს
კედელი არც არსებობდა — გამჭვირვალე შუშა
სინათლეს აორმაგებდა — ის ადგილი, სადაც ვიჯექი
„ხალის“ სიღრმეში, ქუჩიდანაც მშვენივრად ჩანდა.

იმ დღეს კაფეში დიდხანს ველოდი საცობში გაჭედული
ნატალიას, რომელიც სიმწრის მესიჯებით ბომბავდა
ტელეფონს. ესემესების შუალედებში ქუჩაში ვხედავდი
უცნობ მამაკაცს, სიგარეტს რომ სიგარეტზე ეწეოდა
მობილურზე საუბრისას. ნატას მორიგი ესემესი: „200
მეტრით წინ წავინიეთ“. მამაკაცის ღრმა ნაფაზი. „300
მეტრით წინ წავინიეთ“. სანთებელას ალი ქუჩაში.
ესემესის მჭახე სიგნალი: „100 მეტრი!!!“. ისევ მორიგი
სიგარეტი .. და შემთხვევით (მიყვარს ეს სიტყვა) ჩვენი
მზერები გადაიკვეთა ... ამის შემდეგ ერთმანეთისთვის
ბევრჯერ დავენერეთ წერილები ქალაქის ფურცლებზე
— თითქოს ვილაცის მოქნილმა ხელმა სიტყვებიდან
ოსტატურად გადაწმინდა ციფრული მტვერი.

ამის შემდეგ, გასტარბაიტი გაუჩინარდა. ერთხელ,
კაფე „ხალთან“ შევჩერდი და დამტვერილ შუშას
დავაკვირდი. ინტერიერს აღარ ქონდა ძველი
სიმკვეთრე. შუშის კედლის ზედა კუთხეში შევამჩნიე
სარეკლამო პატარა სტიკერი მინების წმენდის
კომპანიის ლოგოთი და ტელეფონით. (გამახსენდა, რომ
გასტარბაიტერს ჟილეტი ეცვა ამ ლოგოთი). ვერც
ინტერნეტში, ვერც ქალაქის სატელეფონო ცნობარში
— ვერსად მოვიძიე რეკლამაზე მითითებული
კომპანიის სახელი ანდა ტელეფონი.



მაია ციციშვილი

სიცილის განრიგი



— მადლობა მინდა, გადაგიხადოთ ჩვენს პროგრამაში მონაწილეობის მიღებისათვის. მოგეხსენებათ, ყველა დრო, და ამ მხრივ არც ჩვენი საუკუნეა გამონაკლისი, თავისი სირთულეებითა და გამოწვევებით არის სავსე. დღევანდელი ტექნოლოგიები საშუალებას ქმნიან, ინფორმაცია ელვისებური სისწრაფით გავრცელდეს დედამიწის ნებისმიერ წერტილში, სამწუხაროდ, ხშირ შემთხვევაში უსიამოვნო და შემამფოთებელი. დაძაბული, სტრესული გარემო, ყოველდღიური პასუხისმგებლობების, ვალდებულებების, საზრუნავების გათვალისწინებით, უარყოფით გავლენას ახდენს ჩვენს ცხოვრებაზე. სულ უფრო და უფრო მეტი ადამიანი უჩივს ქრონიკულ გადაღლას, უგუნებობას, მოსვენებას არ აძლევს შიშები, ხშირად უსაფუძვლოც. ამ დამთრგუნველი ფიქრების თავიდან მოსაშორებლად, ბევრი დამოკიდებული ხდება ალკოჰოლსა და ნარკოტიკებზე, რაც, თავის მხრივ, კიდევ უფრო მანკიერ წრეს ქმნის. ნერვიულობა, უგუნებობა, გაბრაზება — ბუნებრივი ემოციებია, მაგრამ როცა უარყოფითი ემოციები დიდხანს გრძელდება, სტრესი ნეგატიურად მოქმედებს ჩვენს ჯანმრთელობაზე. სიცილი ადამიანის თავდაცვითი რეაქციაა და, ამავ დროს, უგუნებობის საუკეთესო ნამალიც. სახალისო, სასაცილო ამბებზე ყურადღების კონცენტრირება უსიამოვნო ფიქრების ლიკვიდაციას ახდენს და პოზიტიური აზროვნებისკენ გვიბიძგებს. ჩვენი ორკვირიანი პროგრამაც სწორედ სიცილით თერაპიაა. თქვენთან ყოველდღიურად გამოცდილი ფსიქოლოგი იმუშავებს. სამწუხაროდ, ვერ შეგპირდებით, რომ სტრესთან გამკლავებისა და დაძვების რაიმე უნიკალურ სტრატეგიას შემოგთავაზებთ. ასევე, მინდა, ხაზი გავუსვა, რომ სიცილი არ არის ჩვენი პროგრამის მიზანი, ის საშუალებაა, რომელსაც შეუძლია დაძაბულობის მოხსნა. მოდუნება და გუნება-განწყობის შეცვლა კი ბევრად უკეთ გავაგრძობინებს თავს. ამ პროგრამის მიზანია სწორედ ესაა. ჩვენი დევიზია: ვიცინოთ ერთად, ვიცინოთ გულიანად, ვიცინოთ ცრემლებამდის!

შესავალი სიტყვის შემდეგ პროგრამის ხელმძღვანელმა მონაწილე სპიკერი, ექიმი-გელოტოლოგი ნარმოგვიდგინა, რომელმაც თავის ლექციაში სამედიცინო ერთ დავისაზეთა პროგრამის ვარგისიანობა.

— ბიოქიმიის კუთხით თუ მივუდგებით, — აგვიხსნა მან, — სიცილი ხელს უშლის კორტიზონის წარმოქმნას, რომელიც უარყოფითად მოქმედებს იმუნურ სისტემაზე. სიცილის დროს სისხლში უამრავი საჭირო ჰორმონი გამოიყოფა. ადამიანთა საკმაოდ მოზრდილ ჯგუფში ექსპერიმენტი ჩაატარეს: დასაწყისში აჩვენეს ფრაგმენტები ფილმიდან, რომელიც დიდ გონებრივ დაძაბვას მოითხოვდა, 48 საათის შემდეგ კი (ამ ორი ცდის ერთმანეთზე რაიმე ზეგავლენის შესაძლებლობა რომ გამოერიცხათ) — ფრაგმენტები კომედიიდან. აღმოჩნდა, რომ მძიმე, სერიოზულმა ფილმმა სისხლძარღვებში მიმოქცევის შეფერხება გამოიწვია, ხოლო კომედიით პროვოცირებულმა სიცილმა კი პირიქით, სისხლის მიმოქცევა გააუმჯობესა.

ექიმის ლექციის დამთავრების შემდეგ კინოდარბაზში გადავინაცვლეთ, სადაც გვიჩვენეს ნაწყვეტები პოპულარული კინოკომედიებიდან. ფრაგმენტები კარგად იყო შერჩეული და ბევრი ვიცინეთ. პირველმა დღემ სასიამოვნოდ ჩაიარა...

მეორე დღეც საინტერესოდ და მხიარულად ჩატარდა.

— სარკისებური ნეირონები ტვინის უნიკალური უჯრედებია; ეს ნეირონი, როგორც სარკე, ავტომატურად ირეკლავს ჩვენს გონებაში ადამიანების ქცევას, — აგვიხსნა ფსიქოლოგმა და მეტი დამაჯერებლობისათვის სლაიდები გვანახა. თავდაპირველად ეკრანზე ექსპერიმენტის მონაწილე, რომელსაც ხელზე ჩაქუჩით ურტყამდნენ, ტკივილისაგან სახეს წმუხნიდა. ამის შემდეგ კი ეკრანზე გაბადრული სახე გამოჩნდა.

— ხომ ხედავთ, — გვითხრა ფსიქოლოგმა, — პირველი ფოტოპირის ჩვენებისას თქვენც უსიამოვნოდ შეიჭმუნეთ, გაბადრული სახის ყურებისას კი ავტომატურად გაგელიმათ, ემოციები გადამდებია. სარკისებური ნეირონები გვაძლვებენ, მომხდარი ისე შევიგრძნოთ,

თითქოს ეს ყველაფერი ჩვენ შეგვემთხვრა. არის ასეთი გამოთქმა: „თუ ყოველდღე ბევრს ვიცინებთ, ექიმი აღარ დაგვჭირდება“. ასე რომ, ექიმის მოვალეობა ერთ მშვენიერ დღეს შეიძლება მასხარამაც განიოს. ეს, რა თქმა უნდა, ხუმრობაა, — გაციონა ფსიქოლოგმა, — მაგრამ, როგორც ამბობენ, ყველა ხუმრობაში სიმართლის მარცვალია!

პროგრამის მეორე ნახევარი მსოფლიო ლიდერების, ცნობილი პოლიტიკოსების სასაცილო გამონათქვამებსა და კურიოზებს დაეთმო...

შესამე დღიდან კურსი უფრო ინტერაქტიული გახდა. წრეში დაგვსვეს და ჩვენს თავს გადამხდარი რაიმე სასაცილო ამბის გახსენება და აუდიტორიისთვის გაზიარება გვთხოვეს. სიცილის „იდეალურ გარემოში“, ყველასათვის მოულოდნელად, პროგრამის ერთ-ერთმა მონაწილემ პროტესტი გამოთქვა:

— მაპატიეთ, მაგრამ ასეთი სიცილი არაბუნებრივად მეჩვენება, თუმცა, იძულებული ვხდები, მეც ვაეცი. ყველა ცდილობს, რაღაც სასაცილოს იხსენებს, უხერხულია, ურეაქციოდ რომ ვიჯდ, არადა, ამგვარ შეკვეთილ სიცილში სარგებელს ვერ ვხედავ, „ძალად ცხონების“ იდეისავითაა: „ჩვენ გაიძულეთ, იცინოთ“.

— მესმის თქვენი, — არ დაიბნა ხელმძღვანელი, — ძალიან კარგ, დახვეწილ ხუმრობაზეც კი ადამიანები განსხვავებულად რეაგირებენ. თუ არ გეცინებათ, ეს არავისთვის შეურაცხყოფელი არ უნდა იყოს. ზრდასრული ადამიანის ემოციური რეაქციის დადგენა რთულია.

— ერთი ცნობილი ფილოსოფოსი ხალხს ეკითხებოდა: ისურვებდნენ თუ არა, ყოფილიყვნენ მუდმივად კარგ ხასიათზე, ბედნიერი, ოღონდ ჭკუიდან შეშლილი. ყველა უარყოფითად პასუხობდა, რადგანაც ადამიანისათვის მნიშვნელოვანია არა ემოცია თავისთავად, არამედ მისი წყარო, — განაგრძობდა თავისას „სიცილის პროტესტანტი“.

კამათში ფსიქოლოგი ჩაერთო:

— საქმე ისაა, როცა იცინით, თუნდაც უმიზეზოდ, თქვენი სხეულის „ბედნიერი ჰორმონები“ სტრესს განმუხტავს. თუ თქვენ მხიარულ გარემოში იმყოფებით, უყურებთ ადამიანებს, რომლებიც იცინიან, ტვინი ბრძანებას გაძლევთ: გაიუმჯობესე განწყობილება! ეს ჯაკომო რიზოლატის სიტყვებია, მეცნიერის, რომელმაც სარკისებური ნეირონების აღმოჩენით გადატრიალება მოახდინა ტვინის სფეროს კვლევებში.

პროგრამის მონაწილე გაჩუმდა, მიხვდა, კამათის გაგრძელებას აზრი არ ჰქონდა, რადგან ამ შემთხვევაში გაბრძოლება მოუწევდა უკვე არამარტო პროგრამის ხელმძღვანელისა და ფსიქოლოგის, არამედ მსოფლიო მეცნიერის — ჯაკომო რიზოლატის — შეხედულებათა წინააღმდეგობა გაჩუმდა და „იძულებით სიცილს“ დანებდა...

შემდეგი დღისთვის საშინაო დავალება მოგვცეს: ძილის წინ უნდა გავიხსენოთ და ფურცელზე ჩამოვწეროთ დღის განმავლობაში რაც კი რამ სასაცილო მოხდება. დილითაც, თვალს გავახელთ თუ არა,

უნდა ვიცინოთ, ავტოტრენინგია, დღე იწყება სიცილ-ხარხარით.

დილით, ბინიდან გამოსვლისას, დერეფანში ლიფტის წინ ჩამოკიდებულ სარკეში რომ ჩავიხედე, მხოლოდ მაშინ გამახსენდა, დავალება რომ არ შემისრულებია, დილის სიცილი გამოვტოვე. ჩვენი ფსიქოლოგის აზრით, სარკეს დიდი მნიშვნელობა ენიჭება სიბრაზის განეიტრალებაში. მისი თქმით, როცა ადამიანები თავიანთ ულამაზო გამოსახულებას სარკეში დაინახავენ, შეეცდებიან, ნაკლებად გაბრაზდნენ, მაგრამ ცხარე კამათის დროს როგორ უნდა მოახერხო სარკით შეტევითი მანევრის განხორციელება, ეს უკვე აღარ უთქვამს. ასეა თუ ისე, ჩვენი პროგრამის მიხედვით სარკეს სტრატეგიული მნიშვნელობა ენიჭება და სიცილთან ერთად მთავარ კომპოზიციურ როლს ასრულებს უგუნებობის ინტრიგებთან ბრძოლაში.

ვდგავარ და საკუთარ გამოსახულებას ვუცინი. სარკეში მოჩანს, მოპირდაპირე ბინის კარიდან მეზობლის პატარა ბიჭმა თავი როგორ გამოყო, მერე გარეთ გამოვიდა.

— ვის უცინი? — მეკითხება გაკვირვებული.

— არავის, უნდა ვიცინო. სასარგებლოა, შენც გაიცინე!

— არ მეცინება! — აჩეჩა მხრები ბიჭმა.

კარში დედამისი გამოჩნდა:

— ითონ, ხომ შევთანხმდით, რომ დერეფანში ჩემი ნებართვის გარეშე გასვლა არ შეიძლება! — მერე მე შემომიტრიალდა, — გაუთავებელი წვიმების შემდეგ მშვენიერი ამინდი გამოვიდა, ისიამოვნეთ მზიანი დღით, — მითხრა ღიმილით და შვილის ბინაში შევეყვანა შეცხადა.

ბიჭი არ გაჰყვა, იდგა და მიყურებდა.

— ეს ქალი სულელია, — თქვა ხმაიანულად.

დედა მოულოდნელობისგან დაიბნა.

— დილიდან უგუნებოდ არის, გალიზიანებულია. ასეთი რაღაცა როგორ თქვა, აუცილებლად დავეღაპარაკები ამის შესახებ, — მომიბოდიშა შენუხებულმა.

— ნუ ნერვიულობთ, ალბათ ჰქონდა ამის საფუძველი, — გავუხუმრე მე.

ჩემთვის კი გამიკვირდა — ზოგჯერ ბავშვებს მოვლენების შეფასება უფროსებზე სწორად შეუძლიათ.

კურსებზე მისვლა ცოტა შემაგვიანდა.

სენსები დღიდან ფასიანი ხდება. სამი დღე უფასოდ გვაციენს, გადაწყვეტილების მისაღებად დაფიქრების დრო მოგვცეს.

ერთის მხრივ, საფუძველი არ მაქვს, ეჭვი შევიტანო ექიმსა და ფსიქოლოგში, რომელმაც ბევრი საჭირო რამ გაგვაგებინა და საინტერესოდ აგვიხსნა; ატმოსფეროც სასიამოვნოა, თანაც არც ისეთი ძვირია, გაგაკოტროს ადამიანი; მეორე მხრივ, რთულია განრიგით, საათების მიხედვით გადანაწილებული სიცილის განსაზღვრა.

როცა მონოდების ფორმა ლამაზადაა შეფუთული, ხშირად შინაარსზე მთავარი ხდება. მარკეტერ-ანალიტიკოსებმა იციან, სარეკლამო კომუნიკაციის საშუალებით, როგორ წარმოაჩინონ იდეა ეფექტურად. სიცილის რეკლამის უზრუნველყოფა სწორედ იმ ემოციას იწვევს, რაც ყველას ესაჩირობა. როცა საქმე ამ ტიპის შემოთავაზებებს ეხება, არ არსებობს ნორმა, ფორმულა, რომელიც დაგეხმარება სწორი გადაწყვეტილების მიღებაში.

ფსიქოლოგმა სენსების დროს აგვიხსნა, რომ ადამიანის ტვინში რაიმე არჩევნის შეგნებულად გადაწყვეტის პროცესში ორი მეტოქე ნეირონთა სისტემა მონაწილეობს, რომლებიც კონფლიქტის ზღვარზე მოქმედებს. ერთი — ემოციური სფეროს ნეირონები — ხანმოკლე სარგებლით ხელმძღვანელობს, მეორე — ლოგიკური სფეროს კი — ხანგრძლივი. ფსიქოლოგმა მათ პირობითად „სულელი“ და „ჭკვიანი“ ნეირონები უწოდა. ისინი ერთმანეთთან მუდმივ ომს აწარმოებენ, ჩვენი საქციელები კი თურმე მათი ორთაბრძოლის შედეგია და იმაზე დამოკიდებული, თუ რომელი ნეირონული სისტემა გაიმარჯვებს.

ეტყობა, ჩემს ტვინშიც ნეირონები შეეტაკნენ და დახოცეს ერთმანეთი, რის შედეგადაც გადაწყვიტე, რომ აღარ გავაგრძელო სენსები. მაგრამ იმას როგორ მივხვდე, რომელი გუნდის გამარჯვების შედეგია ეს გადაწყვეტილება, სულელების თუ ჭკვიანების? ანდა, რა აზრი აქვს ამის გარკვევას, ზოგჯერ სულელები ხომ ჭკვიანებზე უკეთეს არჩევანს აკეთებენ. რას ან ვის უნდა დაუჯერო?

„მუშაობა, საქმიანობა უგუნებობის საუკეთესო ანტიდოტია, ძვირფასო უოთსონ“, — თქვა ერთხელ შერლოკ ჰოლმსმა. სჯობს, დავუჯეროთ ბატონ ჰოლმსს, გამოცდილი კაცია. მან იცის ის, რაც სხვებმა არ იციან...

გამოვდივარ ოფისიდან. გარეთ თბილი და მზიანი ამინდია. ქუჩა თავის ჩვეულ რიტმშია: ვიღაც მონყალვას ითხოვს, ქალაღის ჭიქაში ჩაყრილ ხურდას ფულს უკმაყოფილოდ აჩხრიალებს. „Eter's Café“-ს წინ ოფიცინტები ქოლგებს შლიან, ერთმანეთს ხმამაღლა ელაპარაკებიან და იცინიან.


ახალგაზრდა ბიჭმა ხელში სარეკლამო ფურცელი შემომაჩეჩა, არც დამიხედავს, რაზეა. მოსახვედრი ველოსიპედისტმა სახიფათოდ ჩაუქროლა მანქანას, ფანჯარაში მძღოლის გაბრაზებული სახე გამოჩნდა...

ქუჩის დინამიკა და ლამაზი დღე მსიამოვნებს.

რომელიღაც მწერლის ნათქვამი მახსენდება: „წუწუნებდე უგუნებობაზე, იგივეა, რაც ფერმერი გაუთავებლად ამინდს უჩიოდეს. ამინდს შენს სურვილზე ვერ შეცვლი, ამიტომ სჯობს, ალლო აულო და მოერგო“.

მეტროსთან მოხუცი კაცი ფლამენგოს უკრავს.

ნელა მივუყვები „მზუმი ჩაძირულ ქუჩას“ და უკან ნაცნობი მელოდია მომდევს...




ნარკოტიკი თანამედროვე პრობლემური საწყაროა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევაა და ძალიან ჰგავს უზარმაზარ ყინულოვან ოკეანეში მცურავ აისბერგს, რომლის გარშემოც ან შიშით დაცურავენ ადამიანთა ჯგუფები და ახლოსაც არ ეკარებიან ან ექსტრემალური სისწრაფით მიიწევენ მის სანახავად და ავინყდებთ, რომ აისბერგის მოცულობის 90% წყლის ქვეშაა, რაც კატასტროფულ შედეგს იწვევს. მაშასადამე, ნეიტრალური მდგომარეობა ნარკოტიკთან მიმართებით გამოირჩევა: ან მოიხმარენ ან გაურბიან. ორივე შემთხვევაში ფიქსირდება მიმდებლობა/არ მიმდებლობის გაუაზრებელი, დაუფიქრებელი პოზიცია, რაც საბოლოოდ ახშობს კომუნიკაციას ნარკოტიკის მომხმარებელ ჯგუფსა და არამომხმარებელ ჯგუფს შორის და თავის მხრივ მარგინალიზაციის პოტენციურ საფრთხეს ქმნის...

არავისთვის არ არის უცხო დღევანდელი გარემო და დამქანცველი ყოფა, სადაც იმდენად მონოტონურად და სტრესულად მიედინება ურბანულ-ინდუსტრიული ცხოვრება, რომ გაქცევის სურვილი არა მხოლოდ სასურველი, ხშირ შემთხვევაში გარდაუვალი და აუცილებელიც კი არის. თუმცა ეს აუცილებლობა, საკუთარი თავის ტრანსცენდირების მოთხოვნილება, მხოლოდ ოცდამეერთე საუკუნის პოსტულატი არ გახლავთ, ის ყოველთვის იყო სულის ერთ-ერთი ძირითადი მისწრაფება, რომელიც ხშირ შემთხვევაში ხელოვნებით, რელიგიით, კარნავალით, სატურნალით, ცეკვით და მსგავსი ფორმებით მიიღწეოდა, მაგრამ ამ ჩამონათვალის პარალელურად სისტემატურად და შეიძლება ითქვას, თამამადაც კი გამოიყენებდნენ ქიმიურ ინტოქსიკანტებს (რომლებშიც მოიაზრება ყველა მცენარეული დამამშვიდებელი და ნარკოტიკი, ყველა ეთიოპიკი, რომელიც ხეზე იზრდება, ყველა ჰალუცინოგენი, რომელიც კენკრაში მნიფდება ან რომლის გამოწერვა ფესვიდან არის შესაძლებელი).

სწორედ ცნობიერების ამ ბუნებრივ გარდამქმნელებზეა საუბარი დიდი ინგლისელი მწერლის ოლდოს ჰაქსლის ორი მცირე ზომის ესეიში „ალქმის კარები“ და „სამოთხე და ჯოჯოხეთი“ (რომელიც ლევან ლამბაშიძემ თარგმნა და გამოცემლობა „ინტელექტმა“ დასტამბა), სადაც ავტორი, როგორც მესკალინის მომხმარებელი, პირად გამოცდილებებს გვიზიარებს და ცდილობს, რაც შეიძლება თავისუფლად და მოურიდებლად იმსჯელოს ნარკოტიკის შესახებ არგუმენტებისა და კონტრარგუმენტების საშუალებით. არ ვიცი, რამდენად გულწრფელი პროტაგონისტი, მაგრამ ფაქტია, რომ ის აღწერს ჰალუცინაციის მომგვრელი ნარკოტიკის ექსპერიმენტს და ამ ექსპერიმენტის შედეგად დანახულ ულამაზესი, ფერადი, ძვირფასი ქვებისგან შემდგარ სხვა რეალობას, რომელსაც არავითარი კავშირი არა აქვს მატერიალურ რეალობასთან. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ აღწერილი რეალობა დროისა და სივრცის ინდიფერენტულია, რაც, საბოლოოდ, საშუალებას აძლევს მთხრობელს, მიმოიხილოს ფილოსოფიური, შემოქმედებითი თუ სულიერი პრობლემები.

ნიგნის პირველი გვერდები ეთმობა სისტემურ კვლევებს კაქტუსის — პეიოტის — შესახებ, რომელიც შეიცავს აქტიურ ნივთიერებას მესკალინს. ეს არის მიზეზი, რის გამოც მექსიკის ინდიელები თუ ამერიკის პრიმიტივები თავისებურად აღნიშნულ მცენარეს, როგორც ღვთაებას. რაც შეეხება პროტაგონისტის გადამწყვეტილების მიზეზს, თუ რატომ ირჩევს ის საგანგებოდ მესკალინს და არა სხვა ნარკოტიკულ ნივთიერებას ექსპერიმენტისთვის ან გნებავთ წერის პროცესისთვის, მდგომარეობს იმაში, რომ ამ ნივთიერებას უნიკალური ადგილი უკავია სხვა ინტოქსიკანტებს შორის. მისი უნიკალურობა, როგორც ტექსტშია მითითებული, ემყარება ერთ მარტივ მიზეზს — „შესაბამისი დოზების მიღებისას, ის სხვებზე ძლიერად ცვლის ცნობიერების ხარისხს, მაგრამ ბევრად ნაკლებტოქსიკურია, ვიდრე ფარმაკოლოგების ხელთ არსებული სხვა ნივთიერებები“. მიუხედავად იმისა, რომ მთავარი პერსონაჟის არგუმენტი გარკვეულწილად აფორმაციული ხასიათისაა, ის ერთი ხელის მოსმით არ უარყოფს



თამარ ჭყოიძე

ნარკოტიკები ქიმიური კარის შესახებ

ნარკოტიკის შესახებ არსებულ ნეგატიურ დამოკიდებულებას და მიიჩნევს, რომ, მართალია „მესკალინის ზემოქმედება ამცირებს ტვინის, როგორც ჩვენი პლანეტის ზედაპირზე ცხოვრების პრობლემებზე გონების ფოკუსირების ინსტრუმენტის ეფექტიანობას“, საშუალებას გვაძლევს დავაგროვოთ ისეთი ვიზიონერული გამოცდილება (ტრანსპორტაციის საშუალებით), რომელიც მანამდე არასდროს განგვიცდია, მაგრამ მეორე მხრივ, აღნიშნული მდგომარეობა შეუსაბამოა მოქმედებასთან, მოქმედების სურვილთან და მოქმედების შესახებ ფიქრთანაც კი, რაც პრაქტიკულად სრულიად შეუსაბამოა ადამიანური ყოფის ჩვეულებრივი, გარდაუვალი საზრუნავების განსახორციელებლად. უფრო მეტიც, ის უგულვებლყოფს ადამიანებთან ურთიერთობას იმ ნივანის ფონზე, რომელსაც მესკალინი იწვევს. მიაღწია. ყოვლისმცოდნე მთხრობელი დეტალურად და მეტაფორულად აღვწერს ნარკოტიკის ზემოქმედების პროცესში განვითარებულ განსხვავებულ ხედვას და ამბობს, რომ „თუკი ადამიანი ყოველთვის ამგვარად დაინახავდა საგნებს, მას სხვა არაფრის კეთება აღარ მოელოებოდა. მხოლოდ ცქერა, მხოლოდ ყვავილის, ნიგნის, სკამის ფლანელის ღვთაებრივ არა-მედ ყოფნა“. სწორედ აქ ხედვას პროტაგონისტი მთავარ პრობლემას და როგორც საცდელი ობიექტი, ჩანანერის მოსმენის შემდეგ განიხილავს ჰალუცინოგენის უარყოფით მხარეებს. რამდენიმე ექსპერიმენტის ჩატარების შემდეგ ამტკიცებს, რომ მესკალინის პრობლემის გადაჭრა არ შეუძლია და რომ ის მხოლოდ ნამოჭრის მას, მაგრამ მასზე უარის თქმა ნიშნავს იმას, რომ დავსხდეთ საკუთარ ოთახებში მშვიდად და ასეთი ქცევით ხელი შეუწყობს პრობლემის მხარეებს შემცირებას. რა თქმა უნდა, ამგვარი ფიქრი აბსურდულია, რადგან ადამიანებს არც ოთახში გამოკეტვა შეუძლიათ და არც ბევრი ისეთი რამის კეთებაზე უარის თქმა, რასაც ეთიკური ღირებულებები კარნახობენ. უფრო მეტიც, ხშირად სწორედ მორალია ის მაპროვოცირებელი ძალა, რომელიც იძულებულს ხდის მოკვდავ არსებას, თავი შეიკავოს ამა თუ იმ ქმედებისგან. სურვილთა ლიკვიდირება კი ნიშნავს ერთ პრობლემასზე ხელის დაფარებით მეორის ნამოჭრას, რასაც საბოლოო ჯამში მივყავართ გაქცევა/განტვირთვის სურვილთან. გაქცევა/განტვირთვის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალება კი ისევ და ისევ ნარკოტიკია.

იძულებითი ან რამე სხვა სახის ზემოქმედებით გამოწვეული გაქცევის გარდა მთხრობელი ლაბარაკობს სასურველ, ბუნებრივ მოთხოვნილებებზეც, რაშიც იგულისხმება შინაგანი სამყაროს აღმოჩენის ან უკეთ რომ ვთქვათ, ტრანსცენდენტური სამყაროს გაცნობის სურვილი. ეს, რა თქმა უნდა, ყველასთვის კარგად ნაცნობ საუკუნოვან დებატებს შეგახსენებს, რომელიც, მიუხედავად დროის სიდიდისა, დღემდე


ამოუცნობსაკითხად რჩება. ტექსტში თვით-ჩაღრმავებისა და სულიერების ერთ-ერთი პირველმადიებლები მაგალითია რელიგიური პირების ასკეტური ცხოვრების დეტალები, რაც გამოიხატება მათი სულიერი და ფიზიკური დათრგუნვის ფორმებში; კერძოდ, მარხვასა და თვითგვემში (მაგალითად, მათრახით სხეულზე ზიანის მიყენება). მოკლედ რომ ვთქვათ, სხვადასხვა კვლევებზე დაყრდნობით, მთხრობელი ამტკიცებს, რომ საკვების მიუღებლობა, რაც იწვევდა ორგანიზმში ვიტამინის ნაკლებობას, ექსტაზისა და ხილვების წყაროს წარმოადგენდა. ხოლო მათრახით ან რკინის მავთულით გვემის დროს (რის იდენტიფიკაციასაც ანესთეზიის გარეშე ჩატარებულ ოპერაციასთან ახდენს), გამოიყოფოდა უდიდესი რაოდენობით ჰისტამინი და ადრენალინი, რასაც ემატებოდა ჭრილობების დაჩირქება და, საბოლოო ჯამში, შოკითა და ჰალუცინაციით მთავრდებოდა. ამ ქიმიური ჩარევების გარდა ისინი განგებ ლოცულობდნენ ხანგრძლივი დროით, რათა გამოეწვიათ უძილობა და ფსიქოფიზიკური სიმპტომები, შიგადაშიგ კი მღეროდნენ ფსალმუნებს, რითაც ზრდიდნენ ფილტვებსა და სისხლში ნახშირორჟანგის ოდენობას. მაშასადამე, ასკეტთა უმეტესობა „სისტემატიურად მუშაობდა საკუთარი სხეულის ქიმიის ცვლილებაზე იმ განზრახვით, რომ სულიერი შემეცნებისთვის სასარგებლო შინაგანი პირობები შეექმნა“. თუმცა დღესდღეობით, ვიზიონერული და მისტიკური გამოცდილებების დატოვების მოთხოვნილება, რომელიც სულის ძირითადი ვენება ხშირ შემთხვევაში ვეღარ კმაყოფილდება რელიგიით, შრომით ან სხვა სულიერი ვარჯიშებით და მიმართავს რელიგიის ქიმიურ სუროგატებს — ალკოჰოლსა თუ გამაბრუნებელ ნარკოტიკებს ადამიანი ესწრაფვის თვითტრანსცენდირებას და მოხარული იქნებოდა, თუკი მას ეკლესიაში იპოვნიდა. მაგრამ, ვაი, რომ „მშვიდი სამწყსო აღაპყრობს მზერას ცაში, მაგრამ რჩება დაუპურებელი“. ისინი მონანილოებენ რიტუალებში, უსმენენ ნივრებს, იმერებენ ლოცვებს; მაგრამ მათი წყურვილი დაუოკებელი რჩება. იმედგაცრუებულნი ბოთლს მიმართავენ. ძალიან ცოტა ხნით, და ისიც ძალზე თავისებურად — ის მართლა ქმედითია. ეკლესიაში სიარული კვლავაც შეიძლება; თუმცა ის უკვე მხოლოდ ბატლერის ერეკონის მუსიკალური ბანკის მსგავსი რამაა და არაფერი სხვა. ღმერთის თავყვანისცემა კვლავაც შეიძლება, მაგრამ ის ღმერთია მხოლოდ სიტყვის დონეზე“.

თუ არაფერს გვაძლევს კვირის ლოცვაზე გატარებული ოთხმოცდაათ წუთიანი მოწყენილობა და თუ მივხედებით, რომ ჩვენი გონება არ არის უხვად დაჯილდოებული ხედვის მხრივ ან ვერ გამოვხატავთ ხელოვნების ქმნილებებში საკუთარ თავს და მაინც გვინდა, შუქი მოვფინოთ ჩვენი გონების აქამდე უცნობ რეგიონებს, შეიძლება ერთ მშვენიერ დღეს გადავწყვიტოთ მესკალინის მიღება. ასე დროე-

ბით მაინც მოგვეცემა დასუფთავებული თვალებით საგნების დანახვის-ძალა და როგორც ტექსტის ავტორი გვეუბნება „შეიძლება შინაგანი რეალობა არანაკლებ დიადად, მშვენივრად და მნიშვნელოვნად აღვიქვათ, ვიდრე ბლექის მიერ დანახული სამყარო“; მაგრამ ამით ჰაქსლი ან გნებავთ მის მიერ შეთხზული მთხრობლის ინსტანცია სულაც არ გვაჩვენებს თავს სულელად და არ აიგივებს ხელოვნანის ხედვის უნარსა და მესკალინის გამოცდილებას ერთმანეთთან, არც ადამიანის სიცოცხლის საბოლოო დანიშნულებას თუ რეალიზაციის ერთადერთ და განუყოფრებელ ნივთიერებად არ მიიჩნევს ჰალუცინოგენს. ერთადერთი, რასაც ამტკიცებს არის შემდეგი: ის (მესკალინი) შეიძლება ხსნისთვის აუცილებელი არ არის, მაგრამ პოტენციურად ძალზე კარგი დამხმარე გახლავთ, რომელიც, თუ ხელმისაწვდომია, აუცილებლად უნდა მივიღოთ, რათა ამოვვარდეთ ჩვეულებრივი ალქმის კალაპოტიდან, რათა მცირე უდროო პერიოდის განმავლობაში დავინახოთ გარე და შიდა სამყარო, არა ისე, როგორც ის ესახება გადარჩენაზე ორიენტირებულ ცხოველს ან ადამიანს, შეპყრობილ სიტყვებითა და ცნებებით, არამედ ისე, როგორ პირდაპირ და უპირობოდ აღიქვამს მას ზოგადი გონება — ეს არის უძვირფასესი გამოცდილება ყველასთვის“.

ზემოთ აღწერილი შემოთავაზების მიუხედავად მთხრობელი ინარჩუნებს სიფრთხილს და ცივი გონებით, ლოგიკური მსჯელობების საშუალებით გამოაქვს უმნიშვნელოვანესი და, უხეშად რომ ვთქვათ, ევოლუციური დასკვნები მომავალი თაობების სიცოცხლისუნარიანობის შესახებ. უპირველესად, ის გადაჭრით უარს ამბობს ალკოჰოლის, თამბაქოს, ნარკოტიკის და სხვა მსგავსი ნივთიერებების აკრძალვაზე იმ მიზეზით, რომ თვითტრანსცენდირების საყოველთაო და მუდმივი მოთხოვნილება ვერ გაქრება კედელში არსებული კარის უბრალო გამოჯახუნებით და ერთადერთი გონივრული გამოსავალი სხვა უკეთესი კარის გაღებაა. რაშიც მოიაზრებს კაცებისა და ქალების ნებაყოფლობით სურვილს, ცუდი ჩვევები ახალი და ნაკლებ საზიანო ჩვევებით ჩანაცვლონ. იქნება ეს სოციალური თუ ტექნოლოგიური ხასიათის კარი, რელიგიური თუ ფსიქოლოგიური, საგანმანათლებლო თუ ათლეტური, მაგრამ ეჭვი ეპარება, რომ „გამოსწორების“ მიუხედავად ქიმიური დასვენების სურვილი მაინც შენარჩუნდება (აუტანელი მე-ობისა და საზიზღარი გარემოს ფონზე); ამიტომაც გვთავაზობს ახალი ნარკოტიკის მოძიებას, რომელიც განტვირთავს და დაწყნარებს ადამიანთა მოდგმას. ამასთან, ნაკლებად საზიანო იქნება სხეულის ორგანოებისთვის და ნაკლებ არასასურველ სოციალურ შედეგებს გამოიწვევს. რაც ყველაზე უნიშვნელოვანია, ცნობიერების უფრო საინტერესო და არსობრივად ღირფულ ცვლილებებს გამოიწვევს, ვიდრე უბრალოდ დამშვიდება თუ ძილნარევობაა, ყოვლისშემძლეობის ყალბი განცდა თუ დათრგუნვისაგან გათავისუფლებაა.

მიუხედავად იმისა, რომ მესკალინი ადამიანთა უმეტესობისთვის თითქმის სრულიად უვნებელია, ის მაინც არ არის აბსოლუტურად მისაღები და იდეალური ნარკოტიკი, რადგან მისი დადებითი ზემოქმედების მაგალითებთან ერთად, სულ მცირე ერთი უარყოფითი მოგვეპოვება. ეს იმას ნიშნავს, რომ ჯერ კიდევ არსებობს აღმოუჩენელი აისბერგი, რომელიც გლობალური დათბობის დროს შეუძლია დათვური სამსახური გაგვიჩინოს სასმელი წყლის მარაგის შევსების მიზნით. ამიტომაც ღირს იმ შემოთავაზებაზე ფიქრი, რასაც ოლდოს ჰაქსლი გვთავაზობს „ალქმის კარებში“ და თუ უარს ვაკვივით მის განხორციელებაზე, სათადარიგო იდეად მაინც შევინახოთ და არ მოვისროლოთ ნაგავსაყრელზე. ვინ იცის, იქნებ მართლა დადგეს დრო ახალი სიამოვნების შექმნის აუცილებლობისა და უახლესი დისნოლენდის აშენებისა, რომელიც 1955 წლამდე არც არსებობდა, დღესდღეობით კი პოსტ-მოდერნიზმის მთავარი გამომსახველობითი ფორმის, ჰიპერრეალობის ინდიკატორად მოიაზრება, რადგან თანამედროვე ადამიანში სულ უფრო და უფრო მძაფრად კულტივირდება ვირტუალურ სამყაროში გადანაცვლების სურვილი...



ვახო ვახტანგაძე

 როცა შენ გარდაიცვალე,
 ქარი მიყვებოდა ნაცნობ ძილისპირულს,
 საბნად თოვლი მქონდა,
 ბალიშად კიდე ერთი მუჭა ქათქათა გუნდა.
 როცა შენ გარდაიცვალე,
 შუაგულ ზამთრისას,
 იანვრის მინურულს,
 ზვავმა ნაილო ჩემი სახლ-კარი...
 ქარმა მომიტაცა ქვესკნელის კიდესთან.
 ფილტვები სავსე მაქვს ნაძვების ნაფოტებით,
 ცრემლები გაყინულ ლოლოებად ჩამომეკიდა
 თვალის უპეზე.

როცა შენ გარდაიცვალე,
 ჩემი გულიც გაიხლიჩა ორ ტოლ ნაწილად.
 შენ არ მომკვდარხარ,
 ორივეს გაგვწვდება თოვლის საბანი.
 ქათქათა გუნდასაც შეგიკრავ ბალიშად...
 ქარი მოგვიყვება ნაცნობ ძილისპირულს...

 ქალაქს დავუბრუნდი.
 საკმარისია სულ ორი დღე,
 რომ გაუცხოვდეს.
 მერე თავიდან უწყობ ნაბიჯებს,
 ფილტვებში სიმყრალე იბუდებს ისევ
 და მორჩა.
 სახლში ხარ.
 სული ნაგვით და შმორით გაქვს სავსე,
 ფეხებქვეშ კი ვილაცის ოცნებებს თელავ,
 შენიც ხომ გათელეს სულ ცოტა ხნის წინ.
 ჩვენ სხვანაირი სიგჟე ვიცით,
 აქ,
 ჩვენს ქალაქში,
 ალკოჰოლითაა გაჯერებული შიზოფრენია.

ჩემი ქუჩა ოკუპირებულია თეთრხალათიანთა
 და თეთრდავთიანთა მიერ.
 ამდენი გიჟი ვერსად დაგვტყის და
 გადაკეტეს თავი და ბოლო.
 ჩვენც ცამდე ვართ კმაყოფილები.
 არაყი აკრძალეს და ყოველ დღით
 ნამლებით გვამკობენ.
 ჩვენც დაუზარელად გამოვამზეურეთ
 სარდაფებიდან სახდელი ქვაბები
 და იმ ნამლებსაც შიგნით ვყრით,
 ამბობენ, ეფექტს აორმაგებსო.
 მალე დახურავენ ამ დაწესებულებას.
 ქალაქი ისევ გააგრძელებს შიზოფრენიკთა
 კოლექციონერობის თამაშს.

ვერ ველევი.
 აქ ხომ ყველანი ჩემი ძმები და დები არიან.
 ყველა ბავშვი ჩემი შვილია,
 ყველა ქალი დედაჩემი,
 ყველა კაცი კი მამაჩემი და
 მეც მამა ვარ ვილაცისთვის.
 მეც ვაგრძელებ გზას,
 რომელსაც ბოლო არა აქვს.
 განა უსაზღვროა,
 უბრალოდ წრეზე მიდის.

საინტერესოა, რა იქნება მერე,
 სიკვდილის მერე,
 ნეტავ იქ თუ დაგვხვდება რაიმე დაწესებულება,
 რომელსაც თბილისი ჰქვია?..

 ზრდასრულობაში შებიჯებისას
 ხშირად უკითხავთ მავანთ და მავანთ,
 კიდეც თუ წერო, მეგობარო, ლექსებს...
 და იმ რაღაცეებს?..

დღემდე ვერ ვხვდები საიდუმლოს,
 „რაღაცეების“ მიღმა რომ იმალება.
 არა მგონია, პროზა ეგულისხმობთ,
 ხომ გესმით, რატომ?!

ღრმა ფიქრის შემდეგ,
 ძიების შემდეგ,
 უძილობების,
 ლოთობის შემდეგ,
 რაც მთავარია,
 სიკვდილის შემდეგ,
 იმ ნაგულისხმევ მისტიურ რაღაცეებს
 ვერლიბრი დავარქვი.

ალბათ სიტყვაა ზედმეტად რთული
 და კოდირება გახდა საჭირო.

სწორედ ამიტომ,
 რადგან ბევრისთვის მიპასუხნია,
 კიდეც ვწერ-მეთქი,
 ლექსებსაც და იმ რაღაცეებსაც-თქო,
 ბოლო დროს ხშირად
 ვზივარ ჩემთვის
 და ვერლიბრს ვწერ!

და მართალია,
 მოქნილობითა თუ ფორმით,
 სილამაზით,
 სიყვარულით თუ აღმაფრენით
 მეტად ჩამორჩება მის ნინამორბედს
 და თანამებრძოლს,
 მაგრამ
 (და სამაგიეროდ)
 მეტად ძლიერი პოეზიაა,
 სიტყვის სიმდიდრით და ხასიათით.
 და რა თქმა უნდა,
 თავისუფლებით!..

გაშლილ ხელებით,
 ნაკლები ფიქრით,
 შეგიძლია პირში ახალო, ვისაც გინდა,
 რაც გულით გინდა
 (მორალის გუნდა).

მინდა მივმართო
 იმ ხეპრე ჯეელს,
 თავით-ფეხამდე შავებში რომ გამონყობილა,
 „იაგერმეისტერს“ რომ მიირთმევს
 და ვერლიბრს ვერ იმახსოვრებს,
 შენი ბრალია!..
 ვინმემ რომ წერას დაუწყო მალვა,
 რაც ნიშნავს გვალვას
 პოეზიისას,
 თითო ოროლას თუ შეამჩნევთ,
 ვინც ხმამალა წერს
 მებრძოლი გულით!




იქნებ ერთხელაც
 თავხედობამ შემოგიტოს,
 არ იმყოფინო,
 ხალხში ხშირად,
 ვითომ ფარული შენი ცინიზმით
 რომ მეკითხები,
 კიდეც თუ ვწერ ლექსებს და იმ რაღაცეებს,
 და საზოგადოებას
 კეისარივით რომ გადასცქერი უსახურ ღიმილით
 (უბედურება ისაა, ყურმოჭრილი მონებივით,
 არაფრით კმაყოფილები,
 თავს რომ გიქნევენ.)...

იმას ვამბობდი,
 იქნებ ერთხელ,
 ზედმეტი დოზა იაგერმეისტერის გამოისობით,
 გადაგძალოს თავხედობამ
 და ისიც მკითხო,
 საერთოდ კიდეც თუ ვწერ...

გავიმეორებ!..
 შენნაირების ბრალია,
 წერა რომ სასაცილო რაიმე გახდა,
 მაგრამ კი უფრო
 იმისია დანაშაული,
 შენს უგუნურებას საფიქრალად რომ გაიხდის
 და წერას შეწყვეტს,
 ანდაც დამალავს.

დასასრულამდე ვალიარებ,
 სანამ ვინმე ხელუკუღმა მომახლიდეს,
 მეც კარგად ვიცი,
 არ გამომდის ვერლიბრის წერა.
 უბრალოდ ხინჯად მქონდა სათქმელი...
 ვაპირებ ისევ დავუბრუნდე
 უწინდელ ყოფას
 და მისტიურ ძებნას,
 კიდეც თუ ვწერ,
 ლექსებთან ერთად,
 იმ რაღაცეებს...

 გოგონა უყურებდა ქუჩას,
 ქუჩაც უყურებდა მას,
 წვიმით ისველებდა ტუჩებს,
 ქარით ისწორებდა თმას.
 გოგონას უყვარდა ფიქრი,
 ფიქრსაც უყვარდა ზეცა,
 ზეცას მოწყვეტილი ფიფქი
 ზედა ტუჩს რომ დაეცა,
 გოგონამ გაიფიქრა წამით,
 ჯერ ადრეაო თოვლი,
 მერე სხვა ქუჩის გავლით,
 ჯერ დოვინ, დოვენ, დოვლი,
 მერე უძილო ღამე,
 ღამით ვარსკვლავთა ცქერა,
 წამი წამით და წამებს
 და ბოლოს ეფემერა...
 გოგონა უყურებდა ქუჩას,
 ქუჩა ეტრფოდა მას,
 წვიმა უსველებდა ტუჩებს,
 ქარი უსწორებდა თმას.



თორნიკე რობაქიძე

მწვანე კაპტუსი
მა რობაქიძემ ჩავრგა ქოთანში

1
ბევრი ვიყავით ერთ თაროზე გამწკრივებული,
ერთმანეთს ვგავდით,
მაგრამ ყველა ჩვენთაგანს ჰქონდა

ზოგს ვარდისფერი ყვავილები ამოსვლოდა
ზოგს ვივითელი და ზოგსაც თეთრი.

ათასი თვალი გვაკვირდებოდა ყოველდღიურად
და ზოგ თვალს უკვე წაყვანა თავის რჩეული.
მუჭისოდენა ქოთნები გვქონდა
და ჩვენი ტანიც გაშლილ მტევანში ჩაეტეოდა,
მერე კი ალბათ როცა ეკლები გაგვეზრდებოდა
და სიმალეშიც წავიდოდა ჩვენი სხეული,
ახალ სახლში, ნამდვილ პატრონთან
დიდ ქოთნებში გადაგვიყვანდნენ.

2
ის დღე არაფრით განირჩეოდა სხვა დღეებისგან.
ხალხი თავს გვეხვეოდა.
თინეიჯერებს მუწუკები ჩემი ეკლებივით
ამოსვლოდათ,
ქალბატონებს უკანალები ლილიებივით გაეშალათ.
მოხუცები კი გვირილებივით
და მჭკნარ სახეებს დაატარებდნენ.

და იშვიათად თუ ჩაივლიდა
ვინმე კაცი ჩვენს სიახლოვეს,
რადგან კაცები ჩვეულებრივ
არ წყალობენ ქოთნის ყვავილებს
და ურჩევნიან თავის სატროფებს
უმეღობრე ვარდები უძღვნან.
მაგრამ ამჯერად შეტორტმანდა ყველა ყვავილი,
როცა კარებთან უცნაური ბიჭი გამოჩნდა,
გახუნებულ ტყავის ქურთუკში.
გრძელი თმებითა და საღებავით დასერილი შარავლით.
მაშინვე მივხვდი,
რომ არა ვარდებს,
არა ლილებს
და არც გვირილებს,
არამედ ქოთნის ყვავილს ეძებდა.

ვუყურებდი და ყველა ეკალი მეჭიმებოდა
და ყვავილები ჩემს თავზე უფრო და უფრო იშლებოდა.
როგორ მსურდა მას წავეყვანე თავის რჩეულთან
და შემდეგ ერთად გვეცხოვრა პატარა სახლში.
ფანჯრის რაფიდან ან თაროდან
მეყურებინა მათი ცხოვრება.
ამ ოცნებებში ვმოგზაურობდი,
როცა ჩემგან ცოტათი მოშორებით,
დიდ ბარაქის ხესთან გაჩერდა.
მე შემეშინდა და მოვიწყინე,
მინასაც ვგრძნობდი, როგორ დარბილდა
და ფესვებიც აფორიაქდნენ.
მაგრამ ჩვენი ფასი იკითხა,
შემდეგ კი ჩუმად გადათვალა ჯიბეში ფული
და მალევე მოგვიახლოვდა.
ხელი მოკიდა ჩემს გვერდით კაქტუსს და დააკვირდა.
უკანვე დადო.

მე ფერმკრთალი ვუყურებდი,
ეკლები უკვე მიკანკალებდნენ
და ყვავილები მიშრიალებდნენ, თუკი ამჩნევდა,
როცა შეეხო ჩემს ქოთანს, და ამიყვანა
(შემდეგ კი იყო პატარა ყუთი, სადაც მოვთავსდი,
შემდეგ მგზავრობა და მოლოდინი).

3
პირველად მოვხვდი ასეთ ოთახში,
სადაც კედლები ნახატებით გაცხებულყოფი.
და ყვავილები ჩემს გარდა არსად არ იყო.
ძირს ჩავიხედე და აღმოჩნდა,
რომ სხვადასხვა ფერის საღებავებში,
დიდი პალიტრის ცენტრში ვიყავი.
ბიჭი კი წინ და უკან მიმოდიოდა.
და სიგარეტს სიგარეტზე აჭკნობდა.
აშკარა იყო სწორედ იმ გოგოს ველოდებოდი,
რომლის გამოც მე აქ აღმოვჩნდი.
ნეტავ როგორი იყო მისი რჩეული?
ანკი მზად იყო ჩემი უპირობო სიყვარულისთვის?
მე ხომ არც დიდი მოვლა არ მჭირდებოდა,
მხოლოდ რომ ჩემთვის გადმოეხედა საღამოობით
და დილაობით თვალი შეეველო,
საკმარისი აღმოჩნდებოდა.
დიდხანს ველოდეთ.
და ნელ-ნელა იმედეები ღრუბლებივით გვეწურებოდა.
მაგრამ უეცრად კარი გაიღო
და დავინახე, როგორ აინთო ბიჭის თვალები
და მე მივხვდი, სწორედ ის იყო, ვისაც ველოდი.
და მეც პირველად ვნახე ასეთი გოგო.
მხრებზე ჩამოყრილი კულულებით,
საღებავით დასერილი ბათინკებით
და ყვითელი წინდებით.
ალბათ ჩემი გენეტიკური კოდის ბრალია,
მაგრამ მე მგონი,
უდაბნო იყო.
მცხუნვარე და მიმზიდველი.
ცარიელი და სავსე,
სხვადასხვა ფორმის მირაჟებით შეფენილი.


4
ვუსმენდი დიდხანს.
მაგრამ ერთი სიტყვაც კი ვერ გავიგე.
ჩაის სვამდნენ და ხანდახან ილიმებოდნენ.
ბიჭი ხშირად გადმოხედავდა დაღვრემილი,
გოგონა კი ვერც კი ამჩნევდა
ჩემს არსებობას.
მაგრამ როგორც კი წასვლის დრო დადგა,
როცა კარს უნდა მიფარებოდნენ.
თვალი მოავლო გოგონამ ოთახს
და დამინახა.
სიხარულისგან შეუერთა ტანი,
ტუჩები კი ფრთხილად გაშალა.
ვინ იფიქრებდა, რომ ასე გაიხარებდა.
ალბათ ვერც ბიჭი და ვერც მე წარმოვიდგენდი,
რარიგ მსუბუქი მტევნები ქონდა,
როცა გულზე მიმიხუტა
და მე ეკლები ოდნავ მოვხარე,
რომ მისი რბილი სხეული არ დამეჩხვლიტა.

5
აშკარა იყო.
თითქოს საერთო ენას ვერ პოულობდნენ.
ადიოდნენ აღმართზე,
ბიჭი კი ისევ სიგარეტს ეწეოდა
(რაც გავიცანი, მეთერთმეტე ღერი დავთვალე)
და ვხედავდი, თითები ოდნავ უკანკალებდა.

ისევ გოგონას გულთან ახლოს ვიყავი,
როცა ბიჭი მოულოდნელად შეჩერდა
და რაღაც თქვა,
რის შემდეგაც ქუჩა გადაჭრეს და ბაღში შევიდნენ.
მე კი ვხვდებოდი, რაც მოხდებოდა
და საშინლად ვნერვიულობდი.
ამჯერად ვგრძნობდი, რომ ჩემმა ნითელმა ყვავილებმა
ზღვასავით დაიწყეს ღელვა.
ჯერ გოგონა დაჯდა სკამზე.
შემდეგ კი ბიჭი მიუჯდა გვერდით.
მე კი მინდოდა, ამოვმხტარიყავი ჩემი ქოთნიდან
და გავქცეულიყავი,
რადგან ვხედავდი, როგორ ჭკნებოდა ბიჭის სახე
მას შემდეგ, რაც
გოგონას როგორც ქალმერთს ისე შეხედა
და რაღაც უთხრა.

ჩემმა ერთ-ერთმა ყვავილმა
ველარ გაუძლო და მიიკვალა.
მასში სიცოცხლის ნაწილაკი გაუჩინარდა.
შემდეგ წამოდგნენ,
გზა გააგრძელეს და ბიჭს სურდა,
კიდევ ეთქვა რაღაც სიტყვები,
მაგრამ ყველაფერი მზად ქონდა, გარდა ენისა.
მე კი, გოგონას მკლავებში მომწყვდეულს,
მიყვარდა და მძულდა ის,
ჩემი ახალი პატრონი,
რომელმაც ბიჭს თითქოს ჩემი ეკლები გულში ჩაასო.

P.S.
ვარ მის სახლში.
სამუშაო მაგიდაზე დევს ჩემი ქოთანი.
დილაობით დამხედავს ხოლმე
და საღამოსაც დაძინებამდე მათვალაიერებს.
ნეტავ თუ ფიქრობს ამ დროს იმ ბიჭზე?
ნეტავ ოდესმე იმ ნაეკლარს თუკი მოურჩენს.



ზაალ სამადაშვილი
ოსტატთან
შეხვედრა

უძილოებით გატანჯული ბერიკაცი

თვალზე რული რომ მოეკიდებოდა და როდის-როდის
ჩაეძინებოდა, მაშინვე უცნაური სიზმრები მოუდიოდნენ
სტუმრად. სიზმრების „უცნაურობაზე“ საუბარი ლიმილის
მომგვრელია... თავისთავად იდუმალი, ჯადოსნური მოვ-
ლენის დამატებითი, განსაკუთრებული უცნაურობისა
არაფერი ეცხო იმას, რომ წაკითხული ნიგნების ზოგიერთ
ეპიზოდს ხედავდა და თავადაც ხდებოდა მათი პერსონა-
ჟი.

დამეუღლი ხილვების უჩვეულობა გამოიხატებოდა
იმით, რომ ბერიკაცს, დროდადრო, გარკვეული ინტერ-
ვალებით, იმ ლიტერატურული ტექსტების ფრაგმენტები
ესიზმრებოდა, რომლებიც ადრეულ ახალგაზრდობაში
ჰქონდა წაკითხული და ყოველ ჯერზე, სადაც არ უნდა
აღმოჩენილიყო ზმანებათა სამყაროში გადაბარგებისას,
აუცილებლად ხვდებოდა კაცს, რომელსაც ასევე ადრეულ
ახალგაზრდობაში გადააწყდა შემთხვევით რომელიღაც
ნონკონფორმისტი მხატვრის გამოფენაზე... ბერიკაცი
მჩხიბავი არ გახლდათ, მაგრამ წარმოსახვით ლაბირინ-
თებში ხეტიალით გონებაგანაფულს მიზეზის პოვნა, პა-
სუხის გაცემა კითხვაზე, თუ რატომ ხედავდა ასეთ სიზმ-
რებს — დიდად არ გასჭირვებია. გუმინ და გუმინინი მო-
მხდარი ამბები ავიწყდებოდა თორემ, ორმოცი წლის წინან-
დელები მკაფიოდ თუ არა, ბუნდოვნად მაინც ახსოვდა.
მონადინების შემთხვევაში დეტალურად შეეძლო მათი
აღდგენა — მარტო სურათებისა კი არა, შთაბეჭდილებე-
ბისა და შეგრძნებების, ამ სურათებს სიცოცხლეს რომ ანი-
ჭებდა...

გაახსენდა — წვიმით გალუმპულს, წითელი ღვინის
ბარაქიანი ყლოვით გამთბარს, იმის გაგონების შემდეგ,
რომ მხატვარი წერდა კიდევ და არცთუ ურიგოდ, როგორ
მოუნდა ლაპარაკი ბოლო დროს წაკითხულ ორ
მოთხრობასა და რომანზე, როგორ ვერ სძლია შიშს, რაიმე
სისულელე არ წამოვროშოო და, ერთი რაა, ერთი სიტყვი
ამოღერღვაც ვერ მოახერხა... როგორ გაუბრაზდა საკუ-
თარ თავს, როცა „უფროსი კაცის“ ვინაობა შეიტყო, მისი
რომანი წაკითხა და მიხვდა, რა საინტერესო, ჭკვიანი
ფრაზების მოსმენაზე თქვა უარი სიმხდალის გამო...

ახლა, ორმოცი წლის შემდეგ, ასე აღარ ფიქრობდა,
აღარ ნანობდა მაშინდელ მორცხვობას, მეტიც, ინფანტი-
ლურ თავხედობად მიიჩნევდა ნიგნების სამეფოში ახლად-
ფეხმდგომი ბიჭის ოსტატთან „გაბაასებას“, ღმერთს
მადლობას სწირავდა, გამბედაობა რომ ვერ გამოიჩინა...
მაგრამ იმდროინდელი სურვილი, ღრმად და საფუძვლი-
ანად ჩაკირული ცნობიერებაში, დროდადრო ჩამქრალი
ვულკანივით იღვიძებდა და ზედაპირზე სიზმრებად გარ-
დასახული ამოდიოდა... ასეთი სახით, ამ გზით ხდებოდა
უკმარისობის შევსება, რომელიც ვერშემდგარ საუბარს
ჰქონდა დატოვებული...

კვლავ გაცოცხლდებოდა თუ არა განუხორციელებუ-
ლი სურვილის მიძინებული ვულკანი და ეწვეოდა თუ არა
ლიტერატურული სიზმარი ბერიკაცს, ამას ვერცერთი
მჩხიბავი ვერ იწინასწარმეტყველებდა... თუმცა, გამოირ-
იცხული არ გახლდათ, რომ ერთ მშვენიერ ღამეს მას ორ-
მოცი ჭრაჭუნა საფეხური ჩაეველო და ზღვისპირა ქალაქ
ვანის საქვეყნოდ განთქმულ ღვინის სარდაფში ამოეყო
თავი...

მასპინძლად სახელდარული ოსტატი დახვედროდა
სირაჯ ბახას ნაცვლად და ბოლოსდაბოლოს შემდგარიყო
საუბარი ჯოისის ფარინგტონზე, რჩეულიშვილის
კურელასა და ჰემინგუეის ჰარი მორგანზე...



იისფერი ჰორტენზიები... ასეთი ლამაზი ყვავილი ჯერაც არასდამინახავს. სანაპიროზე თითქმის ყველა მდიდარი ვაჭრის ეზოები და ბაღები მოვიარე. გნებავთ, დილით — გნებავთ, საღამოს. ზღვაში ჩამავალი შინდისფერი მზე ალივით მოედება ხოლმე ჰორიზონტს და მთელ სანაპიროს გადაავარდისფერებს, მაგრამ არა მგონია, იისფერი ჰორტენზიებით ლამაზი რომელიმე ყვავილი ყოფილიყო.

როცა ამ ყვავილს ვუყურებ, ყოველთვის მებადება მთლიანობის განცდა. პატარა-პატარა ყვავილები ფაფუკ გუნდასავით იკვრება წვრილ ლეროზე და ერთიანი უბრალოებით საოცარ სიმშვიდეს გვრის მნახველს. თითქოს რწმუნდები, თუ ლამაზი იქნები და ლამაზად მოიქცევი, შენსავით თავმდაბალ და უბრალო ადამიანებს მიიზიდავ, ერთად კი ლამაზ გუნდს შეკრავთ და თქვენი ცხოვრებაც ისეთივე მშვიდი და უბრალო იქნება, როგორც ჰორტენზიებისა...

ბავშვობაში ყოველთვის ადრე ვიღვიძებდი. სანამ დედა შემოვიდოდა, ფანჯრის რაფაზე შემოვსკუპდებოდი ხოლმე და ქუჩაში გამვლელ-გამომვლელს ვათვალიერებდი. ხანაც მეზობლის ქალის პატარა სახლისკენ ვაპარებდი თვალს, რომელიც, ახლა რომ მაგონდება, ქოხს უფრო ჰგავდა. სწორედ ამ უბრალო ქოხის შესასვლელში ჰქონდა გაშენებული იისფერი ჰორტენზიები ბიცოლა ედნას. გამვლელი ქალები თვალს ვერ აშორებდნენ. ყველა ერთსა და იმავეს იმეორებდა: რა სადაა! რა მშვენიერია! რა ლამაზია!

ჩვენ სოფელში სულ რამდენიმე ქუჩა იყო, თუმცა ბევრი ხალხი მიმოდოდა. ჩვენც, როგორც დანარჩენი სოფლები, უბრალო გლეხები ვიყავით. მართალია, მამაჩემის ამბავი მოგვიანებით შევიტყვე, მაგრამ მთელი ბავშვობა ჩემთვის ერთი უბრალო კაცი იყო, რომელსაც ყოველთვის თან დაჰყავებდა უცნაური ხალისი და ამასთანავე იდუმალი სევდა.

ქალაქიდან ჩამოსულ ვაჭრებს ყოველთვის ათასნაირი ახალი ნივთი ჩამოჰქონდათ, სულ სხვადასხვანაირად ეცვათ, თუმცა ჩემთვის ბიცოლა ედნას ყვავილებზე ლამაზი მაინც არაფერი იყო. დილით რომ გამოვიდოდა, ჯერ იმით მიეფერებოდა, ცოტა წყალს დაუსხამდა და მერე თავის პატარა ბოსტანში შეუდგებოდა ხოლმე საქმიანობას.

ფანჯრის რაფაზე წამოსკუპებული, ყოველთვის ვოცნებობდი, როცა დიდი გოგო გავიზრდებოდი, მეც მქონოდა ასეთი სახლი, პატარა ბოსტანი და ჩემი იისფერი ჰორტენზიები. ნასამხრალს, როცა მზე უკვე გადავიდოდა ხოლმე, ბიცოლა ედნას ეზოში გავრბოდი და ახლოდან ვათვალიერებდი — მეც ვეფერებოდი, ვაკვირდებოდი და ნაზად ვადებდი პანია ხელს ყვავილების გუნდას.

დედამ ერთხელ მკითხა — გინდა, ბიცოლა ედნას ვთხოვ და ჩვენი სახლის კართანაც დავრგოთ ასეთი ყვავილებიო. მაგრამ ცალკეად გავეცი პასუხი, ასე რომ, დღის ბოლოს დედას სულაც გადავიწყდა ნათქვამი. ასეთი ყვავილები მხოლოდ ბიცოლა ედნას და, მერე, მე უნდა მქონოდა.

პატარა ალისას სხვებისთვის არ მემეტებოდა. ცოტა რომ წამოვიზარდე, ქალაქში გადმოვედი საცხოვრებლად. მამაჩემი გლეხი აღარ იყო, ქალაქის მერიაში დაენყო მუშაობა. მანამდე დიდხანს წუნუნებდა, ჩვენი მიწა მოსავალს აღარ იძლეოდა.

ერთი ბენო სოფელში გაზრდილი გოგო, ქალაქს ადვილად ვერ შეეგუე. მთელი ზაფხული სახლიდან არც კი გავდიოდი. საძინებლის ფანჯრიდან იისფერ ჰორტენზიებს ვედარსად ვხედავდი, მხოლოდ ხით და ქვითკირით ნაშენი, ერთმანეთზე მიწყობილი შენობები ჩანდა. ქუჩები ვინო იყო, სულ გუბებები სავსე. ჩვენი ქალაქი ზღვის პირასაა გაშენებული. როგორც კი ზაფხული გავიდა, მამინვე წვიმები დაიწყო, აჭყაპდა და ატალახდა ყველაფერი. რუხი ღრუბლებიც ერთ გუნდად შეიკრა, ოღონდ მათი განზრახვა მაყურებლის სილამაზითა და უბრალოებით მოხიბვლა არასოდეს ყოფილა.

სასწავლებელში მიმიყვანეს. თავიდან ჩემი მშობლები მერყეობდნენ, ქალაქის სკოლა დიდი სანდობით არ სარგებლობდა. ჩემი არ იყოს, დედაჩემიც თითქმის არ გადიოდა სახლიდან და არავის იცნობდა. ვინ იცის, იქ რა ბავშვები, ვისი შვილები და როგორი მასწავლებლები არიანო. მაგრამ მერე მამამ მკაცრად განაცხადა: ჩვენ ამ ქალაქში ვცხოვრობთ და აქ წამოჭრილ ნებისმიერ სიტუაციას თუ არ გავუმკლავდით, მაშინ მისი მაცხოვრებლები კი არა, ტუსალები გამოვდივართო. მშობლების საუბარს რომ ვაყურადებდი, სწორედ ამ სიტყვამ, „ტუსალები“, ახადა ყველაფერს ფარდა. მამა, ახალგაზრდობაში სამეფოში მუშაობდა — კარგ თანამდებობაზე, მაგრამ თაღლითობაში ამხილეს. სანამ დაიჭერდნენ, გაქცევა მოახერხა და სანაპიროზე ჩამოვიდა. როგორც ჩანს, მისმა ტყუა-გონებამ და ფულისადმი სწრაფვამ, დიდხანს ვერ გააჩერეს სოფლის მეურნეობაში, რომელსაც შიშის გამო აფარებდა თავს.

როგორი რუხი, ნესტიანი და ჭუჭყიანიც ქალაქი იყო, სწორედ ისეთი სასწავლებელი ჰქონდა. სწორედ ისეთი ბავშვები აღმოჩნდით ყველანი. ნაცრისფერი მასწავლებლის ნაცრისფერ გაკვეთილებს გვიხსნიდა ჩვენ — ნაცრისფერ ბავშვებს.

ბავშვები ცოტა უხეში, მაგრამ მაინც გულბლები ვიყავით. ბევრი გასართობი არ გვქონდა, გარდა ქალაქის ქუჩებში ხეტიალისა და იდუმალი, მიტოვებული სახლების თვალიერებისა. ანდა, რომელიმე უბანში, საინტერესო ამბებით დახუნძლული მოხუცის მოსმენისა. ერთი ასეთი იყო პაპა ჯავადი. მართალია, ხურდას გვთხოვდა ამბის



მირიან რჩულიშვილი ალისა

მოყოლის სანაცვლოდ, მაგრამ მისი მონაყოლი ორი-სამი დღე მაინც მიგვეყვებოდა ხოლმე სალაპარაკოდ. ის ხან სანაპიროს პირველყოფილი მოსახლეებითა და მათი სულელების ძრწოლით გვაშინებდა, ხან ტყეს შეხიზნული ლეშთეთრა მხეცებით, რომლებსაც კირივით თეთრი კანი ჰქონდათ და ტყიდან მზის სინათლეზე ვერ გამოდიოდნენ; ხანაც ქალაქში მოხეტიალე კაციჭამია ფრიდრიკზე მოგვიყვებოდა ხოლმე რამეს. ჩვენც გაფაციცებით ვუსმენდით.

უკვე ცამეტი წლისა ვიყავი, როცა ჩვენს სასწავლებელში ლუთერი შემოვიდა. შავკანიანი იყო. მაშინ არც კი ვიცოდით, რომ შავკანიანი ადამიანებიც არსებობდნენ. ყველანი ხუჭუჭა თმაზე ვკიდებდით ხელს. თითქოს გალიაში შემოუშვეს და ჩვენ ზოობარკის მაყურებლები ვიყავით, ზოგი ალტაცებული, ზოგიც დაბოღმული. ვცდილობდი, განსაკუთრებული ყურადღება არ მიმექცია. მაგრამ ჩვენგან აშკარად ძალიან განსხვავდებოდა. ცოტას ლაპარაკობდა. თითქოს უწინოდა. გვიფრთხობდა. მაგრამ რა ჰქონდა საფრთხილო? რა უნდა დაგვეშავებინა მისთვის?

ასე თუ ისე, ახალ ბავშვს შევეჯუთე და დავიმეგობრეთ. მართალია, მშობლებს ეს ამბავი ძალიანაც არ ახარებდათ.

— რატომ გვიშლიან მშობლები ლუთერთან მეგობრობას? — იკითხა ერთხელ ჩემმა მეგობარმა.

— იმიტომ, რომ შავკანიანია! და ზანგია! — თვითკმაყოფილად განაცხადა მე. დანარჩენი ბავშვები თვალმდაჭყებლი მისურებდნენ.

როდესაც ჩემმა მშობლებმა შეიტყვეს, სასწავლებელში შავკანიანი ბავშვია, ცოტა შემფოთდნენ. მამაჩემი მაინც თავს იკავებდა. ბოლოს თქვა, ეს სემესტრიც დაამთავრე და მერე ახლადამებულ გიმნაზიაში გადაგიყვან, იქ უფრო საინტერესო გაკვეთილები ტარდება და უკეთეს მეგობრებსაც შეიძენო.

ქალაქში რომ გადმოვედი, ძალიან ხელმოკლედ ვცხოვრობდით, მაგრამ დროთა განმავლობაში ჩვენი მდგომარეობა აშკარად უმჯობესდებოდა. ახლაც არ ვიცი, მამაჩემს რა თანამდებობა ეკავა მერიაში, მაგრამ რაც უფრო ხშირად აცდენდა სამსახურს, მით უფრო ბევრი ახალი ნივთი ჩნდებოდა სახლში. ჩემთვის უფრო და უფრო ლამაზ კაბებსა და ტანსაცმელს ჩემივე ხელით ვაწარმოებდი, მაგრამ ცოტა არ იყოს, მეხამუშებოდა, რადგან ჩვენი ოჯახის კეთილდღეობა ჩემი მეგობრების ჩაცმულობასა და იერსახეზე აშკარად არ აისახებოდა — თითქოს ჩემი ბავშვობის მეგობრებს ვშორდებოდი...

გიმნაზიაში გადავედი, იქ ყველას ჩემსავით ლამაზად ეცვა. მაგრამ სახლში მოსული ისევ ძველ კაბას და სანდლებს ჩავიცვამდი ხოლმე და ჩემს ძველ მეგობრებთან გავრბოდი სათამაშოდ. ოღონდ თამაშმა სულ უფრო იკლო და ჭორაობამ იმატა. ჩემი მეგობარი გოგოები და ბიჭები ერთმანეთს სიყვარულს უხსნიდნენ, მერე რომელიმე ბნელ ვინობებში კოცნაობდნენ, მერე ჩხუბობდნენ, შორდებოდნენ, რიგდებოდნენ. მე კი ბიჭობა ვეზოტიკური გემოვნება აღმომაჩნდა. ვცდილობდი, დამემალა, მაგრამ ყველანი მაინც სახეზე მამჩნევდნენ, რომ აშკარად ლუთერი მომწონდა.

ლუთერი მაღალი იყო, ტანადი, განიერი მხრები ჰქონდა. მისი თანატოლები ჯერ კიდევ პატარა ბიჭუკელები იყვნენ, ერთმანეთს ახტებოდნენ და ჭყიბნიებდნენ, ის კი ბიხი ხშითა და მძიმე, მოზომილი ნაბიჯებით დაიარებო-

და. მამამისი ხელოსანი იყო — ლუთერი კი ყოველთვის გვერდში ედგა. როცა მისი მეგობრები უსაქმურად აღმაღალმა დარბოდნენ, თავისი ხელით აშენებდა ქალაქში ახალ სახლებსა და შენობებს. წმინდა ჯოვანის მოედნის მოკირწყვლაშიც კი მიიღო მონაწილეობა. ისეთი სერიოზული იყო, ისეთი ჩამოყალიბებული და მიზანიმართული, როგორც ჰორტენზიის ის პანია ყვავილი, რომლის გარშემოც დანარჩენი გუნდი უნდა შეკრულიყო. მაგრამ... არ იკვრებოდა! ბევრი მეგობარი არ ჰყავდა. საამისოდ არც კი ეცალა. რამდენჯერმე ქუჩაში გამოვიჭირე და გამიველაპარაკე. მატყობდა, რომ ძალიან მომწონდა. მაგრამ, როგორც ყოველთვის, ახლაც ძალიან ფრთხილობდა. საუბრისას, ხან ისე მომმართავდა, როგორც თანატოლსა და მეგობარს, ხან კი როგორც მასზე უფროსს, ვისთანაც განსაკუთრებული პატივისცემა და მოკრძალება მართებდა.

ერთხელ, მშობლებმა ბიჭებზე რომ ჩამოაგდეს საუბარი, მე სულელურად ვკითხე მამას: რას იზამ, შენი სიძე არათერთკანიანი რომ იყოს-მეთქი? თავზარი დაეცა. მაშინვე მიხვდა, რომ ეს ხუმრობა არ იყო და სწორედ ლუთერს ვგულისხმობდი. სახე გაუფითრდა. დასცხა. შესცვივდა. სისხლი შუბლში მოანვა. თავბრუ დაეხვა და გაშეშდა. შეეშინდა. მეც შეშეშინდა. მინდოდა, მეთქვა, გეხუმრე-მეთქი, მაგრამ ტყუილს გულახდილობა ვარჩიე.

მერე მიპასუხა: დავიჯერო, გიმნაზიაში შენი მოსაწონი არავინააო?! ძალიან გავბრაზდი. გიმნაზიას ვერ ვიტანდი. იქ ბოროტი და ქედმაღალი ბავშვები დადიოდნენ, რომლებსაც თავიანთი მშობლების წარმატება საკუთარი წარმატება ეგონათ. მამა ამდენი ხანი სწორედ ასეთი ხალხისკენ გვექაჩებოდა, დედაჩემიც იოლად აიყოლია. მათი არ ვიცი, მაგრამ მე ერთი სოფლელი გოგო ვიყავი და მთელი ცხოვრება ლამაზი კაბებითა და აპრეზიონი ცხვირით არ ვაპირებდი სიარულს. მიუხედავად მამაჩემის დიდი ძალისხმევისა, არასოდეს მდომებია, მათნაირად მეცხოვრა. უკვე ჩვიდმეტი წლისა ვიყავი და კვლავაც პატარა სახლში მინდოდა ცხოვრება, ქალაქგარეთ, რომელსაც შესასვლელთან იისფერი ჰორტენზიები ექნებოდა, და დიახ, მე შავკანიანი ქმარი მინდოდა. ყველასაგან განსხვავებული! არავინ იქნებოდა ჩემნაირი თავმდაბალი, არავის ექნებოდა ჩემნაირი პატარა სახლი, ლამაზი ყვავილები და არავის ეყოლებოდა ჩემნაირი კეთილი მეუღლე! ჩემი ოცნებები პატარა-პატარა იყო, მაგრამ მთლიანობაში ძალიან ლამაზ გუნდად იკვრებოდა.

მამაჩემისა და გიმნაზიის საზოგადოების ჯინაზე, ხშირად ვნახულობდი ლუთერს. მათზე გამწყრალი, სულ უფრო მეტ კარგ თვისებას ვხედავდი ლუთერში. ის ყველაზე კეთილშობილი, მოკრძალებული, ჭკვიანი და ჩვენს ასაკთან შეუდარებლად ბრძენი ადამიანი იყო. ყველაფრით ჩემს თავს ვამსგავსებდი, ოღონდ ლუთერი ბევრად უკეთესი მეგონა. ხანდახან, თუ ხმას ამოვადებინებდი, მხოლოდ მის ტემბრზეც კი ვდნებოდი. იმ წუთში ჩემთვის ხელი რომ მოეხვია, კაბა რომ გაეხადა და ფერება დაეწყო, წინააღმდეგობას არ გავუწევდი. თვითონაც ხედებოდა ამას, მაგრამ ეშინოდა, ისე ფრთხილობდა, თავს ჩახრიდა ხოლმე, თითქოს ჩემ მაგივრად რცხვენოდა.

ცოტა ხანში მამაჩემმა იმდენი ქონება დააგროვა, რომ ქალაქგარეთ აიშენა სახლი და სამივენი იქ გადავედით საცხოვრებლად. მაგრამ აქაურობა სოფელი არ იყო, აქ მხოლოდ მდიდარი სახლი ცხოვრობდა.

რა უცნაურია, ქალაქგარეთ მხოლოდ ღარიბები და ძალიან შეძლებულები ცხოვრობენ ხოლმე.

ზაფხული იყო. გიმნაზიაში სწავლა დავამთავრე. აქედან ქალაქში როგორ მევლო, არ ვიცი. ლუთერმა მითხრა, თქვენს სამეზობლოში ახალი სახლი უნდა აშენდეს, იქ მეც ვიმუშავებ, ზაფხულში აუცილებლად ჩამოვალ და განახავო. მაგრამ უეცრად ომი დაიწყო. ლუთერი გაიწვიეს. ყველა გაიწვიეს.

ეს იყო უმძიმესი ზაფხული ჩემს ცხოვრებაში. არაფრის კეთება აღარ მინდოდა. საერთოდაც, არაფერი მინდოდა. გულისფანცქალით ვიღვიძებდი და ვიძინებდი. მხოლოდ ერთი აზრი მიტრიალებდა თავში: ნეტავ, ლუთერი ცოცხალია?

მშობლები სხვადასხვა წვეულებაზე დამატარებდნენ. ომი, რომლისთვისაც ჩემი თანატოლები სისხლს ღვრიდნენ, საზოგადოებისთვის თითქოს არც არსებობდა. როგორ მინდოდა, მათგან შორს ვყოფილიყავი. ომის ხსენებისას მხოლოდ წუთიერი დუმილი ჩამოვარდებოდა ხოლმე და მალევე გრძელდებოდა სმა-ჭამა, ცეკვა და მხიარულება.

შემდეგ ყველაფერი გაყრუვდა. ჩემი სამყარო დაიხშო. მშობლების ხმა სადღაც გაიგუდა. სტუმრები და მასპინძლები გადანაცრისფრდნენ. თავიანთი ბრწყვილა ტანსაცმლითა და ოქროს ბეჭდებით ისევე შეერწყნენ მორთულ-მოკაზმულ სახლებს, როგორც ჩემი ნაცრისფერი მასწავლებელი ერწყმოდა თავის ნაცრისფერ დაფას. დავრჩი მარტო მე. მე — ჰორტენზიის ერთადერთი უყვავილო ღერო, რომელიც ვერავის მიიზიდავდა. მე დრომ მიმატოვა, მე მეგობრები მივატოვე, ლუთერმა კი მე მიმატოვა.

მაგრამ გამოვლივძებ და სმენადახშული სამყაროს ხმის ამოღება თავბრუდამხვევი აღმოჩნდა. ომი დამთავრდა. ჩემი ბავშვობის არაერთი მეგობარი უკან არ დაბრუნებულა. ლუთერი დაბრუნდა.

„ჩვენმა არმიამ იბრძოლა მამაცად, თავდაუზოგავად, და მიუხედავად იმისა, რომ სანაპიროს სამხრეთი ვერ დაიბრუნა, მტერს წინ წასვლის საშუალება არ მისცა და თავისი ჩადენილი დანაშაული მწარედ აზღვევინა!“ —

განაცხადა ქალაქის მერმა, როდესაც ლუთერი საპატიო ჯარისკაცის ნოდებით დაბრუნდა ქალაქში და მას დიდი ზარ-ზეიმით შეხვდნენ. იქ სანაპიროს ყველა გამოჩენილი ადამიანი იყო დაპატივებული.

ცხოვრებაში პირველად ძალა არ დამიშურებია, რომ რაც შეიძლება ლამაზი ვყოფილიყავი. გადმოვყარე დედაჩემის კოსმეტიკა და ნაირნაირი კაბა. ზეიმზე რომ მივედი, გული ამოვარდნაზე მქონდა. ლუთერი უკვე იქ იყო, ლამაზად მორთულ-მოკაზმულ დარბაზში, ყველას თვალნინ ერთმანეთს ისე შეხვდით, როგორც ძველი ნაცნობები. როცა ჩავხედავ, ხელს აღარ ვუშვებდი... არ მახსოვს, რას ვეუბნებოდი, კისრზე ჩამოვკვიდე და ერთსა და იმავეს ვუმეორებდი: „ლუთერ! ლუთერ!.. გილოცავ! გილოცავ დაბრუნებას!“

ის იყო პირველი წვეულება, სადაც მართლა გავერთე. მე და ლუთერმა ბევრი ვიცეკვეთ, ბევრი ვიცინეთ, სხვებისგან განვსხვავდებოდით, ყველა ჩვენ გვიყურებდა და აღარ გვრცხვენოდა. ის უბრალო ზანგის ბიჭი აღარ იყო, ჩვენ წინ საპატიო ჯარისკაცი იდგა. მის მაღალ სხეულსა და განიერ მხრებს წითელი სამხედრო ფორმა და ოქროსფერი სამხრები ამშვენებდა. ჩვენ ჰორტენზიის ის ორი ყვავილი ვიყავით, რომელთაც ირგვლივ მთელი გუნდი უნდა შეეკრათ.

დიდი ხანი არ გასულა და ლუთერმა ხელი მთხოვა. ის უკვე ქალაქის მთავარი ინსპექტორი იყო — გავლენიანი და შეძლებული ადამიანი. ვერც მამაჩემი და ვერც ვერაინ სხვა ვერ შეძლებდა პროტესტის გამოთქმას ჩვენს ქორწინებაზე. პირიქით, თუ ვინმეს რამე არ მოსწონდა, ისიც კი ძალით გვილიმოდა. მე და ლუთერი მთელ ქალაქს ზემოდან დავყურებდით. და მაშინ დარწმუნებული ვიყავი, რომ ჩემი დანარჩენი ოცნებების ახდენაც გარდაუვალი იყო.

ქორწინება ჩაიარა. ვნებათაღელვამ ჩაიარა. მე და ლუთერი ქალაქის მდიდრულ უბანში, მდიდრულ სახლში ვცხოვრობდით და მახსოვს, ძალიან ბედნიერი ვიყავი. მაგრამ რაღაც მოხდა. ვერ მივხვდი, რა. დრო გაიყინა. გაიწვია. შევიწროვდა. და განაცრისფრდა. ისევ ისეთივე ემოციები დამეუფლა, როგორც სასწავლებელში სიარულისას. რა იყო ეს სინაცრისფერი. რატომ არ მშორდებოდა? ლუთერი ყოველდღე მიდიოდა სამსახურში, ისევე ძველებურად დაუღალავად მუშაობდა. მაგრამ მისი მომხიბვლელი თავმდაბლობა აშკარად ქრებოდა. საოცრად ამაყად დააბიჯებდა. ვერ გამეგო, როდის ან რაწიანად მოხდა ეს ცვლილება. თითქოს თავისი ყოველი ნაბიჯით ამბობდა — ეს სახლი ჩემია, ეს ქალაქი მე მადარიაო.

ჩვენი სახლის ეზოში იისფერი ჰორტენზიების დარგვაც ვცადა — არაფრით არ გაიხარა. ჩემს სოფელშიც კი ნავედი და ბიცილა ედნას ვკითხე, როგორ უფლით-მეთქი. საგულდაგულოდ ჩავინერე ყველაფერი და ნამოვედი. ბევრს ვეცადა, მაგრამ არაფერი გამოვიდა. ჩემი ჰორტენზიები ჯერ არ იზრდებოდნენ, მერე გაიზარდნენ და დაჭკნენ, დამახინჯდნენ, ყურები ჩამოყარეს, ფოთლები გაუზუნდა. როგორც ჩანს, მე და ჩემი მეუღლე არ ვიყავით ისეთი ლამაზი პატარა ყვავილები, რომელთა გარშემოც იისფერი ჰორტენზიები გაიხარებდნენ. ვერაფრით გამეგო, რა მოხდა ჩვენ შორის.

ომმა შეცვალა ლუთერი? მახსოვს, ქორწინებისას მამამ მითხრა, ფრთხილად მოეპყარი შენს მეუღლეს, ომგამოვილილ კაცებს სიფიცხე და მრისხანება ახასიათებთ, ეცადე, არ ეკამათო. მაგრამ ჩვენ არაფერზე გვიკამათია. უბრალოდ, ლუთერი გაპირქუშდა, აღარ იცინოდა, სულ გულჩათხრობილი დადიოდა. ჩვენი ურთიერთობა საოცრად გადარბდა. სამსახურიდან მოსული, მიყვებოდა ხოლმე, როგორ იჭერდა ქალაქში გავარდნილ ბოროტ-მოქმედებს, ქურდებს, ყალბაბანდებს. როგორ ჯობნიდა ყველას ჭკუაში.

ის, რასაც ადრე მის თავმდაბლობასა და სიფრთხილეს ვანერდი, ახლა ქედმაღლობად და ჩაძინებულ ბოროტებად მეჩვენებოდა. როდესაც ლუთერი რომელიმე ყაჩაღზე ლაპარაკობდა, ჩემთვის გონებაში ვთვლიდი, ყაჩაღის თვისებებიდან რამდენი შეიძლება, მიმენერა ლუთერი-ისთვის. საკუთარი თავისთვის რომ მოესმინა, მგონი, მაშინაც ვერ მიხვდებოდა, რომ რაც სხვისი ეჯავრებოდა, ყველაფერი თვითონ სჭირდა.

მისი მოყოლილი ამბებისგან რომ შევებზრდი, ერთხელ ვეჩხუბე კიდეც. რა უქნეს ჩემს ლუთერს? როდის გადააქციეს ასეთ ღვარძლიან კაცად? ფეხსაცმელები გავიხადე და მივყარე:

— აი, ჩემი ფეხსაცმელები ღირს იმდენი, რამდენიც შენმა დაჭერილმა ქურდაცაცებმა მოიპარეს! არაფერს აღარ ჩავიცვამ ფეხზე, სანამ მათ ციხიდან არ გაათავისუფლებ! — ვუყვიროდი.

— არა... — დაიბნა ლუთერი, — ფული არაა მთავარი... მათი საქციელი... ეგ ჩემზე არაა დამოკიდებული... — ენის ბორძიკით ცდილობდა თავის გამართლებას, ვერ გაეგო, მასში რატომ ვხედავდი ბოროტმოქმედს.

— აბა, ვისზეა დამოკიდებული? ლუთერი მიხვდა, რომ ჭორები ჩემამდეც მოსულიყო. მართლაც საოცარია, როცა წაგებულნი ომიდან მხოლოდ ერთი ჯარისკაცი ბრუნდება ცოცხალი. თანაც პირდაპირ მთავარი ინსპექტორის თანამდებობაზე. საფუძვლიანი ჭორები გავრცელდა ხალხში, რომ ლუთერი სახელმწიფოს წითელ დროშას ემსახურებოდა ჩუმად და დავალებებს ასრულებდა ჩვენს ქალაქში.

პასუხი არ გაუცია. დიდხანს აღარ გვილაპარაკია. ჩემი ჰორტენზიები ისევ არ ხარობდნენ. მეც თავი დავანებე. იქნებ როგორც წარმომედგინა, ისეთი არ იყო ბედნიერება. იქნებ ჰორტენზიებს რომ გაეხარათ, ისიც ისევე ჩამხ-

ამდებოდა, როგორც ლუთერის ცოლობა. ეს ერთი ოცნება მაინც უნდა შემენახა უმანკოდ და შეულახავად. გადნაცრისფრდა ჩვენი სახლი, ჩვენი ქორწინება, ეზო — და გადავწვინდით მეც. მაგრამ, თითქოს უკვე არაუშავდა. იმდენ ხანს გავურბოდი ამას, ახლა პირველად ვცადა შეგუება და შერწყმა. ცხოვრება ერთ ადგილას დადგა. გაირინდა, როგორც ჭაობი. მეც აღარ ვიცოდი, რა მეკეთებინა, ან რა მიწოდდა. ყოველდღე უიმედოდ ვიღვიძებდი, არაფრის მოლოდინით. ჩემი საძინებლის ოთახიდან გამვლელიც კი არ ჩანდნენ, არც სოფლის ქუჩა, და არც ბიცილა ედნას იისფერი ჰორტენზიები.

ერთ დღესაც ლუთერი ძალიან გახარებული მოვიდა. ეს ჩემთვის კარგის მომასწავლებელი არ იყო და უკვე შეგუებულიც ვიყავი. ისეთი ახირებული და უცნაური ხასიათი მქონდა, რომ ეგონა, დანარჩენი სამყაროც მისი ბუნების გარშემო ტრიალებდა: თუ თვითონ ბრაზობდა — ყველას ბრალი იყო. თუ თვითონ უხაროდა — სხვას არ ჰქონდა მოწყენის უფლება. თუ თვითონ მუშაობდა — სხვები მოცლილები იყვნენ.

— ვერ წარმოიდგენ, დღეს რა მოხდა! ვერ წარმოიდგენ, რა გავაკეთე! — ყვიროდა.

მე არაფერი მიკითხავს, თვალებით ვანიშნე, რომ ვითომ მოუთმენლად ველოდი მის პასუხს.

— კოლტონ უაითი დავიჭირე! გველემას თავი მოვაჭერი! დავიჭირე ეგ შობელძალი!

გამიკვირდა, შევიშუშე. კოლტონზე კარგი და ცუდი ამბავიც ბევრი მქონდა გაგონილი. ისიც ვეტერანი იყო, იმდროინდელი ომისა, როცა მე და ლუთერი ჯერ ბავშვები ვიყავით.

— მერე? — ვკითხე მე.

— რა მერე? — გაუკვირდა ლუთერს, — ქალაქი ასჯერ უფრო უსაფრთხოა დღეს, ვიდრე ოდესმე ყოფილა! მაგრამ ეს ყველაფერი არ არის...

— ეს ყველაფერი არ არის?! — ვერ შევიკავე ბრაზი.

— რატომ ბრაზობ? — ლუთერსაც ამოუვიდა ყელში. ყველაფერი, რაც მისთვის ასეთი მნიშვნელოვანი იყო, ჩემთვის ჩალის ფასადაც არ ღირდა: მისი სამსახური, საქმიანობა, მიზნები და სხვა ყველაფერიც.

— მე ჩემს მოვალეობას ვასრულებ. კინალამ სიცოცხლის ფასად დამიჯდა ამ ქალაქის გადარჩენა და ჩვენი თავისუფლება. ვისთვის ვიბრძოდი ომში? ამ ყაჩაღებსა და ჯიბგირებს რომ ერბინათ არხენად?! ჩემს ქალაქში ამის უფლებას არავის არ მივცემ!

— შენს ქალაქში? — შევიცხადე მე. ახლა უკვე ეჭვი მეპარებოდა, ომში წასული და იქიდან დაბრუნებული ლუთერი ერთი და იგივე ადამიანი იყო თუ არა, — შენს ქალაქში?!

— დიახ, ჩემს ქალაქში! მე უფრო მეტი უფლება მაქვს ამ ქალაქს ჩემი ვუნოდო, ვიდრე შენ, თაღლით მამაშენს ან ამ ქალაქის უქნარა მერს! მე ჯერ ჩემი ხელით ვაშენე აქაურობა, მერე კი სისხლი დავღვარე მის დასაცავად! თქვენ რა აკეთეთ?! სანამ თქვენ მშვიდად გძინავთ, მე ვდგავარ სადარაჯოზე, მე ვარ თქვენი მფარველი! მთელი წელი კოლტონ უაითს დავდევი, მთელი წელი კვალდაკვალ დავყვებოდი და, როგორც იქნა, დავიჭირე! ასე მილოცავ?! —

— მთელი წელი... კოლტონს დასდევდი? მთელი წელი ვიღაც კოლტონ უაითზე ფიქრობდი?! შენი მეუღლე არ გაგხსენებია?! მთელი წელი მე მარტო ვარ ამ სახლში და მხოლოდ შენს ამპარტავნებას ვისმენ! მფარველი კი არა, გინდა გითხრა, ვინ ხარ?! შენ უბრალოდ ერთი ზანგი ხარ, ვინც თეთრი ქალი გაჟიმა და იფიქრა, მთელი სამყარო ჩემიაო.

აღბათ, ეს არ უნდა მეთქვა. ლუთერი გაქვავდა, გახევდა, ჭკუიდან შეიშალა, გული ეტკინა, ყველაფერი ეტკინა. რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ გადაიფიქრა. გაბრუნდა და ოთახიდან გავიდა.

დიდხანს აღარ გავიცვია ხმა ერთმანეთისთვის. მე ისედაც, დიდი ხანი, ცალკე ოთახში მეძინა. ლუთერი ხშირად შუალამემდე არ მოდიოდა, ან დილადაც უკვე აღარც მაინტერესებდა, მართლა მუშაობდა თუ არა, ან სად დადიოდა. მაგრამ ჩვენი ბოლო ჩხუბის შემდეგ ასე ყოფნა აღარ შემძლო. მის დანახვაზე ისეთი შეგრძნება მეუფლებოდა, თითქოს თავის ქალას მხდიდნენ. შუბლი და საფეთქლები უნებლიედ მიმოირაკვებდა, ყურები კეფაზე გადამდიოდა. მრცხვენოდა. მწარე სირცხვილი მანუხებდა. ეს ხომ ჩემი მეუღლე იყო, რომელიც ისე მიდი-მოდიოდა და ცხოვრობდა, რომ მე არაფრად მაგდებდა.

— ასე გავრძელები აღარ შეიძლება! ასე არ გავრძელები! — ვუთხარი ერთ დღესაც, — რამდენი ხანი გაძლებ? უჩემოდ ამდენი ხანი თუ შეგიძლია გაძლება, გამოდის, რომ მე არც არასდროს გჭირდებოდი. ასეა? არ გჭირდებოდა?

— ყოველთვის მჭირდებოდი, მაგრამ ხანდახან თითი უნდა მოიჭრა, რომ ხელი გადაირჩინო, — მიპასუხა მან.

ჩემთვის ყველაფერი გასაგები გახდა, ლუთერი მხოლოდ იმიტომ არ ითხოვდა ჩემგან განქორწინებას, რომ საკუთარ პრესტიჟს უფრთხილდებოდა. მითუმეტეს, ჩემი სიტყვების შემდეგ. მერე რას იტყოდნენ, ეს ქალი ზანგმა მეუღლემ გამოაგდო?! მაშინ ყველას დაავინყებოდა ლუთერის დამსახურება, გმობდა და სხვა ყველაფერიც. როცა დროს იხელთებდნენ, ის ისევ უბრალო ზანგად გადაიქცეოდა ყველასათვის.

მე ისე მიწოდდა, ყველასგან განსხვავებული ვყოფილიყავი... ან იქნებ, პატარა ოცნებებიდან ყველაზე მთავარი — პატარა სახლი დამავინყდა? იქნებ პატარა სახლი იქნებოდა ის თავმდაბალი და ლამაზი ყვავილი, რომელიც თავის გარშემო ბედნიერების გუნდს შემოიკრავდა.



კრისტიან კარლსონი თანამედროვე შვედი პოეტი და ვიდეოარტისტი. მისი ფრონტის ხაზი უშუალოდ ენა-შია გაშლილი, ამიტომაც მისი იდიომების, კალამბურებისა თუ ფილოსოფიურ-ფილოლოგიური კომპოზიციების თარგმნა მთარგმნელს სამუშაოს უორმავეს. მიუხედავად ამისა, მის სრულ წიგნს მალე ქართულ ენაზე კულტურის სამინისტრო და წიგნის ეროვნული ცენტრი გამოსცემს, რაც კარგი შენაძენი იქნება თანამედროვე ლექსწერით დაინტერესებული მკითხველისთვის. ამასთან ერთად, კრისტიან კარლსონი გამოცემულია და მან უკვე გააცნო შვედებს არჩილ ქიქოძისა და ლია ლიქოკელის წიგნები. სულ ახლახანს კი კარლსონმა შეადგინა და გამოსცა ქართული პოეზიის ანთოლოგია შვედურად.

მთარგმნელი

კრისტიან კარლსონი

სომხური ლექსი (ონოიზმი)

ა) დახუჭე თვალები და უკან დაიხიე და შედი ამ წიგნში. არ გაახილო თვალი, სანამ ამ გვერდზე ხარ.

ბ) ისევ დახუჭე თვალები და შედი ყველა შენს წიგნში ანბანური რიგით. ისევ არ გაახილო თვალები, სანამ წიგნებს არ გადააღებ გვერდების გადაშლისას დაძრული ხმის მიხედვით. ასეთი თანმიმდევრობით ნაიკითხე.

გ) დახუჭე შენი საყვარელი წიგნი იმ გვერდზე, სადაც ხმას გაიღებს.

უსმინე მის ექოს. შედი ექოში. შეაგროვე ექოები და ხმების მიხედვით განათავსე ისინი შესაბამის ადგილას წიგნის თაროზე, როცა განზავდები ექოებში.

ბზული სიტყვების ნაცვლად: ეს მძაფრი სუნი, თითქმის ფოიერვერკის ნარჩენით; მაგრამ უფრო ხუმრობის ტონალობაში ნათქვამი, ჰო, ისევ იმ ძველი ხუმრობის ტონალობაში, არასდროს რომ მოგვისმენია, მაგრამ ყოველთვის ვიცოდით.

მუდამ ავხორციელები არიან ენები. სიტყვების გუნებაც მუდამ ასაკობრივია. ასეობს შორის არის ვარიაციები პოეტური პროდუქციის გამოსაჩვენად; რემბოს შეფერადებულ ხმოვნებს ისევ აქვთ დრო განავითარონ საკუთარი სტრუქტურების ზედაპირი.

როგორც ორგანოს ღონორი

ყიფლიბანდი როგორც ხმოვანი. თანხმოვნების გენიტალიები. სასვენი ნიშნების გულები.



მთარგმნელი

ანი კოპალიანი

ანი კოპალიანი ბევრი საინტერესო ავტორი გააცნო ქართულენოვან მკითხველს. „პროზის თარგმანს ჩემთვის ისეთი საქმიანობაა, რომელიც პიროვნულად მზრდის. თარგმანის ცნობილი თეორეტიკოსი ლანა კასტელანო წერს, პროზის მთარგმნელი ოცდაათი წლიდან ხდება გამოსადეგი, ხოლო თავისი პროფესიონალიზმის პიკს ორმოცდაათი წლის შემდეგ აღწევსო. პროზის თარგმანს მხოლოდ ნიჭიერების გამოხატულება არ არის, პოეზიისაგან განსხვავებით, ეს რთული და დამძლეული შრომაა და უზარმაზარი, გამსრესი პასუხისმგებლობა“ — ეს ამონარიდია ანი კოპალიანის ინტერვიუდან, „ლიტერატურულ გახეთში“ რომ დაიბეჭდა. ჩვენ დაახლოებით ორი წლის წინ შევხვდით ერთმანეთს და ვისაუბრეთ იმ პერიოდის თარგმანებზე, მათ შორის, მარგარეტ ეტვუდის „მხეველის წიგნზე“, რომელიც გამოცემილია — „წიგნები ბათუმში“ — გამოსცა და ლიტერატურულ პრემია „საბაზე“ წლის ერთ-ერთ საუკეთესო თარგმანად დასახელდა, ასევე — ედიტ უორტონის „უმანკოების ხანაზე“, სერია „დიოგენეს ბიბლიოთეკიდან“ რომ გაიცნო მკითხველმა.

ის პროზასაც თარგმნის და პოეზიასაც. პროზით ვინყვებით.

— მაინტერესებს, რა შთაბეჭდილებები დაგიგროვდათ იმ ავტორებისგან, რომლებიც ბოლო დროს თარგმნეთ. პირველი, ალბათ, ნათანიელ ჰოთორნი და მისი „ალისფერი დამლა“ ახლახან რომ გამოსცა „ინტელექტი“. თუმცა დედნის სათაური ოდნავ განსხვავებულია.

— ორიგინალში რომანს „ალისფერი ასო“ ჰქვია, სიტყვასიტყვით ასე ითარგმნება. იგულისხმება მთავრული — ადოლფტერის „საწყისი ასო, რომელიც მოლაღატე ცოლებს სამოსზე ალისფერად ამოქარგული, დამლასავით, სიცოცხლის ბოლომდე უნდა ეტარებინათ. მაგრამ მედრედაქტორმა ვარჩიეთ — შესაძლოა, ჩვენი გადწყვეტილება საკამათოა — სათაურად ყოფილიყო „ალისფერი დამლა“, რადგან ვფიქრობდით, რომ „ასოს“ ქართულად ორპირობაში დატვირთვა აქვს, ხოლო სათაური კი მეტად ფაქიზი რამაა, მკითხველის ქვეცნობიერი ნდობა უნდა მოიპოვოს. გარდა ამისა, ემოციური დამოკიდებულება უნდა გააჩინოს წიგნის მიმართ; „დამლა“ მძაფრი კონოტაციის სიტყვაა და მკაფიოდ აღიბეჭდება ადამიანის გონებაში, რაც არის კიდევ, ჩემი აზრით, სათაურის მთავარი დანიშნულება. თუმცა, აჯობებს, მაინც არაფერს მივანებოთ ზედმეტი მნიშვნელობა, რადგან, თუ მკითხველი წიგნს მიიღებს, თუმცა ახალ ენობრივ გარემოში დამკვიდრება უნერია, მიიღებს იმ სათაურითაც, რომელსაც მთარგმნელი შესთავაზებს. მართალია, სათაური აღძრავს ინტერესს წიგნის მიმართ, მაგრამ საბოლოო ჯამში, მაინც წიგნი ამკვიდრებს სათაურს — თავისი ისტორიით, თარგმანით, რედაქტირებით, დიზაინით და ასე შემდეგ. თავის დროზე „მხეველის წიგნის“ სახელწოდებაც ბევრის ყურს მოხვდა ცუდად, მაგრამ მგონია, რომ, საერთო ჯამში, ჩემი ჩანაფიქრი გამართლდა.

— „ალისფერი დამლა“ „აკრძალული წიგნების თარგმანზე“ ბოლოს შემოიღო. როდის დაიწყეთ მასზე მუშაობა?

— ეს ამ სერიისთვის ჩემ მიერ თარგმნილი მეორე რომანია. პირველ წიგნზე მუშაობის განმავლობაში იმდენად ჰარმონიული ურთიერთობა ჩამომიყალიბდა გამომცემლობა „ინტელექტი“-ს გუნდთან, რომ როცა პროექტის მენეჯერმა, გვანცა ჯობავამ, ამ წიგნზე მუშაობა შემომთავაზა, დაუფიქრებლად დავთანხმდი. შეიძლება ითქვას, ეს ჩემი მხრიდან არცთუ რაციონალური გადაწყვეტილება იყო.

— რას გულისხმობ?

— რთულად სათარგმნელი წიგნი გამოდგა, დაახლოებით ისეთი, ალექსანდრე ჭავჭავაძის ან გრიგოლ ორბელიანის ნაწარმოები რომ იქნებოდა თანამედროვე უცხოელი მთარგმნელისთვის. ჰოთორნის ენა მე-19 საუკუნის რომანტიკოსი ავტორის ენაა. მწერალი მაღალფარდოვანი, ძალიან ჩახლართული, ღვლარჭილი სტილით წერს, რთული ქვეწყობილი წინადადებებით, სადაც ერთ მთავარ წინადადებას რამდენიმე დამოკიდებული ახლავს და მათი ურთიერთკავშირი რთული გასარკვევია, რადგან ინგლისურ ენას, ქართულისაგან განსხვავებით, ქვეწყობისას წევრებს შორის მკაფიო ურთიერთმიმართება არ ახასიათებს; ამიტომ სამუშაოდ ძალიან რთული იყო და არ ვარ დარწმუნებული, რომ ბოლომდე გამომივიდა, თუმცა ის კი ვიცი, რომ ჩემი ძალების მაქსიმუმი გავიღე, ამაზე მეტი ამ ეტაპზე არ შემიძლო. ათი თვე ვიმუშავე, მაგრამ მუშაობაც არის და მუშაობაც. იმას ვგულისხმობ, რომ ვთქვით, მთარგმნელი საღამოობით იხვენებს, ან — იმავდროულად მეორე საქმეს აკეთებს. მე კი ბოლო სამი თვის განმავლობაში, დღეში 14 საათი ვმუშაობდი ტექსტზე. იმ ჯარისკაცს ვგავდი, რომელსაც მთავარსარდალმა უკან



დასახევი ყველა გზა მოუჭრა: ან მარცხი უნდა მელიარებინა, ანდა საკუთარი თავისთვის მეჯობნა. მგონი, ამ წიგნის თარგმნის მერე უფრო გამოცდილი ადამიანი ვარ.

— ჩვენს წინა ინტერვიუს გადახედვით, ლაპარაკობდით იმაზე, თუ რა დრო სჭირდება მთარგმნელს, სრულყოფილად რომ თარგმნოს ნაწარმოები: სამი თვე ტექსტის ფილოლოგიური დამუშავების, კონტექსტის შესწავლისა და ლექსიკურ-სემანტიკური ერთეულების დაზუსტებისთვის, სამი — ორიგინალთან შედარებისთვის, რედაქტირებისა და საბოლოო დახვეწისთვის. ბოლოს თქვით, თარგმნის პროცესისთვის საჭირო ვადებზე აღარაფერს ვამბობო. თუმცა დღეისთვის ეს ფუფუნებაა, ამდენი დრო შეუძლებელია მთარგმნელს ჰქონდეს, იმიტომ, რომ გამოცემული ყოველთვის ჩქარობს. იმას თუ ახერხებთ, რომ ჯერ წაიკითხოთ ტექსტი, გაიაზროთ და მერე შეუდგეთ მუშაობას?

— ამდენი დრო მხოლოდ მაშინ აქვს მთარგმნელს, როცა ის გამომცემლობის შეკვეთაზე კი არა, საკუთარი სიამოვნებისთვის მუშაობს. რაც შეეხება ნათანიელ ჰოთორნის რომანს, ერთადერთი ის მოვახერხე, რომ ჯერ წაიკითხა თითოეული თავი, მერე კი იმ თავის შესახებ არსებულ ფილოლოგიურ კვლევებს გავცნობოდი. მიმოხილვა და პუბლიკაცია კი ამ ნაწარმოების შესახებ თავზესაყრელად მოიპოვება. მოგეხსენებათ, „ალისფერი დამლა“ კლასიკაა და უამრავმა კრიტიკოსმა, ლიტერატორმა დაამუშავა. ეს იყო ის ერთადერთი გარემოება, რომელიც ძალიან დამეხმარა თარგმნის პროცესში. აი, მაგალითად, შემხვდებოდა მეტაფორა, მის

გადმოტანას, გადმოქართულებას აუცილებლად სჭირდებოდა ფორული ცოდნა, კონტექსტის გათვალისწინება, ამ კონტექსტებს კი სწორედ იმ ფოლოლოგიურ ანალიზებში ვეძებდი და ასე, ნელ-ნელა მივიწვედი წინ.

— საკითხავად როგორი წიგნია?

— გამოცდილი, ინტელექტუალური მკითხველი სჭირდება. ეს ნაწარმოები განუზომლად მეტია, ვიდრე მორიგი მელოდრამა, როგორც მან შეიძლება იფიქროს, ვინც მხოლოდ ეკრანული ადაპტაციებიდან იცნობს ამ თხზულებას. გამოცდილი მკითხველი სჭირდება არა მხოლოდ მისი შინაარსის, ენობრივი ქსოვილის სათანადო აღქმასაც. ვეცადე, მეტ-ნაკლებად შე-

ტერესო ამბავია მოთხრობილი, მაგრამ დამეთანხმებით, უფრო საინტერესოა, თუ როგორ მიდის თითოეული პერსონაჟი ამა თუ იმ გადაწყვეტილებამდე, რასაც შემდეგ მოსდევს კონკრეტული ამბავი. თომას მანს ახასიათებს იგივე — ცოტა მოქმედება და ბევრი ანალიზი. ამ ტიპის წიგნია ესეც. ძალიან მიყვარს ასეთი წიგნები — შეიძლება, ძველმოდური ვარ. თანამედროვე მკითხველს კი, მგონი, სხვაგვარი საკითხავი ურჩევნია.

გარდა ამისა, აუცილებლად აღსანიშნავია „ალისფერი დამლის“ საკამოდ ვრცელი შესავალი, „საბაჟო“, რომელიც უფრო, ალბათ, პუბლიცისტურ ჟანრს ეკუთვნის და არაჩვეულებრივად მახვილგონივრულადაა დაწერილი. დარწმუნებული ვარ, ყველაზე გურმან მკითხველებს სწორედ შესავალი მოეწონებათ განსაკუთრებით.

— სერიაში — „აკრძალული წიგნების თარგმანები“ — ეს თქვენი მეორე წიგნია. მანამდე ამერიკელ მწერალ მაია ენჯელოუს „ვიცი, რად გალობს გალიის ჩიტი“ თარგმნეთ. მახსოვს, ფისბუქვერდზე სტატუსი გამოაქვეყნეთ — ამ წიგნის თარგმანს მინდა და ვინმეს ხომ არ აქვს სურვილი მისი გამოცემისო.

— ფისბუქზე იმ განცხადების გამოქვეყნებიდან ხუთ წუთში დამირეკა გვანცა ჯობავამ. თუმცა მისი ხარი მეორე იყო. მაინც „ინტელექტი“ ავირჩიე, იმიტომ, რომ ძალიან კარგად დაემთხვა — გვანცა აპირებდა, მუშაობა დაეწყო აკრძალული წიგნების სერიაზე, ჩამოწერილიც ჰქონდა ამ პროექტისთვის სასურველი ნაწარმოებების სია. და უცებ წააწყდა ჩემს პოსტს, სადაც მისი სიიდან ერთ-ერთი წიგნის თარგმნას ვთავაზობდი. ძალიან კარგად ჩაიარა მუშაობის პროცესმა. „ვიცი, რად გალობს გალიის ჩიტი“ ერთადერთი რომანია, რომლის თარგმანითაც კმაყოფილი ვარ. შეიძლება ითქვას, ბედნიერი წიგნია ჩემთვის — წყნარად, გულდამშვიდებით ვიმუშავე მასზე. ჩემი ერთ-ერთი საყვარელ ავტორს ეკუთვნის, პოეტის დაწერილია. ყველაფერი მომწონს მისი, სათაურის გარდა, ძალიან გრძელი სათაური აქვს.

— თქვენ თარგმანებს რომ ვაკვირდებით, ძირითადად, თქვენ და ამერიკელები ხართ: ამერიკელი ქალი ავტორები, მათი ტექსტები ქალების უფლებებზე, ამერიკული პროზა, პოეზია. ასეთი შთაბეჭდილებაა, რომ ათვისებული გაქვთ იქაური ლიტერატურა ძირფესვიანად.

— ძალიან კარგი ლიტერატურა აქვთ, განსხვავებული ევროპელებისგან, მათი ფსიქოლოგია, სამყაროს ხედვაც აბსოლუტურად განსხვავებულია. ავანტიურისტებად, სიხლის მაძიებლებად დარჩენენ, ბოლომდე შეინარჩუნეს ის სული, რაც ახალ კონტინენტზე ჩასულ მათ წინაპრებს ჰქონდათ. ევროპელებისგან განსხვავებით, ისინი სიხლისადმი ძალზე გახსნილები არიან, ამიტომაც გამორჩეული ლიტერატურა შექმნეს და დღემდე აოცებენ მსოფლიოს. ამერიკული კულტურის მეორეხარისხოვნობაზე რომ ლაპარაკობენ ხოლმე, მეცინება, რადგან დარწმუნებული ვარ, ვინც ამას ამბობს, ის არ იცნობს ამერიკას.

— ბოლო ორი წლის განმავლობაში კიდევ რაზე იმუშავებთ?

— „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობისთვის“ საბავშო წიგნები ვთარგმნე, რაც ძალიან მახარებს. ერთ-ერთია ქეთრინ ერსკინის „ჯაფარა“, მეორე კი სარა პენი-

ვპირდავი, რომ დავუახლოვდე

მენარჩუნებინა ჰოთორნის თხრობის სტილი და ქართული ტექსტი ზომიერად მაღალფარდოვანიც ყოფილიყო და შიგადაშიგ — არქაულიც. ბევრი ვიფიქრე, როგორი ენობრივი გასაღები მომერგო მისთვის. მიუხედავად იმისა, რომ ფილოლოგი ვარ, ნამდვილად ვერ მოვახერხებდი იმ პერიოდის ლიტერატურული სტილის სრულ რეაბილიტაციას, ძალიან არაპროფესიონალურად გამომივიდოდა, ამიტომ ეს იმთავითვე გამოირიცხა. თანაც, მწერლების უმრავლესობა ხომ თანამედროვეებისთვის წერს და მთარგმნელმაც, ალბათ, თანამედროვე მკითხველისთვის უნდა თარგმნოს. მეც ვეცადე, ალაგ-ალაგ შემომეტანა არქაული ლექსიკა და სინტაქსი; ცოტა გამემარტივებინა, გამეთანამედროვეებინა კიდევ სტილი, თუმცა არა იმის ხარჯზე, რომ რთული ქვეწყობილი წინადადებები დამეშალა; პრინციპში ყველაზე მეტი პრობლემა არა რთულმა ქვეწყობილმა წინადადებებმა, არამედ მათ შორის ჩართულმა და დეფისებით გამოყოფილმა ახსნა-განმარტებებმა თუ კომენტარებმა შემიქმნა, რომლებიც ვეცადე, ზუსტად ისე დამეტოვებინა, როგორც ტექსტში იყო.


— სიუჟეტი საინტერესოა, როგორც ვხვდები.

— სიუჟეტი ძალიან საინტერესოა. მაგრამ ეს ის შემთხვევაა, როდესაც სიუჟეტს გადაფარავს ხოლმე ავტორისეული ანალიზი, დიდოსტატურად აღწერილი და გამოძერწილი პერსონაჟები. ამ რომანშიც სიუჟეტი არ არის იმდენად ღირებული, რამდენადაც მწერლის მიერ მთავარი გმირების პორტრეტების არაჩვეულებრივი ფსიქოლოგიური გახსნა. მაგალითად, „ანა კარენინაში“ ხომ ძალიან საინ-

ალისფერი დამლა. ნათანიელ ჰოთორნი. გამომცემლობა ინტელექტი.

მარგარეტ ეტვუდი. მხეველის წიგნი. გამომცემლობა ინტელექტი.

ვიცი, რად გალობს გალიის ჩიტი. მაია ენჯელოუს. გამომცემლობა ინტელექტი.



პეკერის „პაქსი“, რომელიც ძალიან მიყვარს და მინდა, პოპულარული იყოს ბავშვებში, იმიტომ, რომ ერთ-ერთი ყველაზე კეთილი წიგნია და მხატვრული თვალსაზრისითაც კარგია. ეს წიგნები არის პაციფიზმზე. ერთადერთი „იზმი“ კი, რომელთანაც საკუთარ თავს უყოყმანოდ ვაკავშირებ, სწორედ პაციფიზმია. ამ იდეოლოგიის ერთგული მიმდევარი ვარ.

— **ეს წიგნი უცებ ძალიან პოპულარული გახდა სკოლებში და, როგორც მისი მთარგმნელი, ბავშვებს ხშირად ხვდებით. ეს ალბათ მნიშვნელოვანია თქვენთვის, როგორც ყოფილი მასწავლებლისთვის.**

— დიახ, მე სკოლის მასწავლებელი ვიყავი და ალბათ სწორედ ამ გამოცდილების გამო ძალიან მეშინია ბავშვებთან შეხვედრის, ეს არ არის იოლი საქმე — ზედაპირული ურთიერთობით ბავშვებს ვერ მოხიბლავ, არ გაგივა მათთან თამაში. ამიტომ მაქსიმალურად ვცდილობ, თავიდან ავირიდო შეხვედრა ან ძალიან მომზადებული ნავიდე, თუმცა მომზადებასაც არ აქვს მნიშვნელობა — იქ ისეთი გარემო გხვდება, რომ უცბად უნდა განიცადო ადაპტაცია. რაც უნდა იყოს, ძალიან მიხარია, რომ ბავშვები ამ წიგნს კითხულობენ და ჩემი შვილიც ნაიკითხავს, როცა გაიზრდება. კიდევ ორი საბავშვო წიგნი ვთარგმნე „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობისთვის“. ეს არის ინგლისელი ავტორის ენიდ ბლაიტონის „ცნობილი ხუთეული“ — ძალიან ტრადიციული სათავგადასავლო სერია, რომელიც ოცზე მეტ წიგნს აერთიანებს, პირველი ორი წიგნი ძალიან გამოვად ვისაც თავგადასავლები უყვარს, სწორედ მათთვისაა.

— **პოეზიაზე გადავიდეთ. თქვენ პოეზიის მთარგმნელად უფრო მიგაჩნიათ თავი. მიუხედავად იმისა, რომ ლექსი არასდროს დაგინერიათ, ამბობთ, პოეზია ჩემი აზროვნების ყაიდა არისო — თქვენი საყვარელი ავტორებიც პოეტები არიან?**

— პოეტური ყაიდის ადამიანი ანალიტიკურად არ აზროვნებს, ლოგიკურს კი არა, ასოციაციურ ჯაჭვს მიჰყვება, შეუძლია სრულიად ცხოვრებისეულ, ყოფით ამბავს მეტაფორული მნიშვნელობა მიანიჭოს, აბსოლუტურად განსხვავებულ მოვლენას დაუკავშიროს. რაც შეეხება საყვარელ ავტორებს: მაია ენჯელოუ, ემილი დიკინსონი, ენ სექსტონი, სილვია პლათი ის ავტორებია, რომლებზეც სიამოვნებით ვმუშაობ, საყვარელი ავტორები კი სწორედ პროზაიკოსები მყავს — უპირველესად, თომას მანი, ფოლკნერი...

— **ენ სექსტონის 30-მდე ლექსი თარგმნეთ, მისი კრებული გამოცემა გასურდათ — ამბობდით დროა, თავიანთი გზა იპოვონ და მე გამათავისუფლონო. გათავისუფლდით?**

— პოეტური კრებული დღემდე არ გამოვიცა და ეს ძალიან ლოგიკურიცაა, რადგან ჩვენთან ნათარგმნი პოეზია არ იყიდება; შესაბამისად, არც გამომცემელს აინტერესებს მსგავსი კრებულები. მგონი, არც ერთი გამომცემლობა, იშვიათი გამონაკლისის გარდა, ნათარგმნი პოეტურ კრებულს არ გამოსცემს, რადგან წინასწარ იცის, რომ ვერ აანაზღაურებს იმ თანხასაც კი, რასაც საავტორო უფლების მოსაპოვებლად დახარჯავს. პეროიკული განწყობა უნდა ჰქონდეს გამომცემელს, პოეზიის თარგმანი რომ დაბეჭდოს. სხვათა შორის, „ინტელექტს“ აღმოაჩნდა ეს სულისკვეთება — განზრახული გვაქვს ერთად გამოვცეთ თომას სტერნზ ელიოტის კრებული „მოხუცი ოპოსუმის წიგნი პრაქტიკული კატების შესახებ“. ეს ლექსები, ერთი შეხედვით, საკმაოდ მსუბუქია — ელიოტმა თავის პატარა ნათლულებისთვის დაწერა; თუმცა სინადვილეში მწვავე სოციალური სატირაა, თხუთმეტი სხვადასხვანაირი ტიპაჟზე დაწერილი თხუთმეტი სხვადასხვანაირი ვერსი-ფიკაციის ლექსი. თხუთმეტივე მათგანი — რთული სათარგმნელი. გამომართლა, იმიტომ რომ, სულ ვოცნებობდი ისეთი წიგნი მეთარგმნა, რომელიც საშუალებას მომცემდა გამოვევლინა ჩემი ვერსიფიკაციული შესაძლებლობები და იუმორი. ამ წიგნში კი ბევრი იუმორი, ბევრი სატირა, ბევრი ირონია და მაინტერესებს, როგორ გავართმევ თავს. თხუთმეტიდან ოთხი ლექსი უკვე ვთარგმნე.

— **აბსოლუტურად განსხვავებული სამუშაო პროზისა და პოეზიის თარგმნა. როგორ ახერხებთ ორივე შემთხვევაში წარმატებული იყოთ?**

— ხშირად ხვდები, რომ პროზის „ორთოდოქს“ მთარგმნელებს არ მოსწონთ, პოეტური თარგმანის ხერხებს რომ ვიყენებ პროზის სათარგმნელად. სიტყვასიტყვით რომ არ ვადმოვცემ შინაარსს და უფრო მნიშვნელოვნად მიმართავ ორიგინალური ტექსტის ემოციური მახვილები თარგმანში ზუსტად გადმოვიტანო. ხშირად ამგვარი მახვილის დასმა დედნისეული ლექსიკური ერთეულებით არ გამოდის, ამიტომ მირჩევნია, შევცვალო ისინი, ოღონდ ემოცია შევინარჩუნო. სხვათა შორის, პოეზიის მთარგმნელების გარკვეული ნაწილიც მიიჩნევს, რომ მთარგმნელის მეტისმეტი ჩარევა ტექსტში ავტორის უფლებების შელახვაა. თუმცა არ მიმაჩნია, რომ ბევრ რამეს ვცვლი. გავიმეორებ ცნობილ ფრაზას — ზოგჯერ დედანს ვმორდები, რათა მივუახლოვდე.

— **რა გეგმები გაქვთ?**
— ახლა ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ელიოტის ანდა სექსტონის გამოცემაა. თუკი კიდევ რამდენიმე წელი გაივლის ისე, რომ პოეტურ ტექსტს ვერ გამოვცემ, ჩავთვლი, რომ მთარგმნელად ბოლომდე მაინც ვერ შევდექი; რომ ის, რასაც ჩემს ყველაზე მთავარი მოწოდებად მივიჩნევდი, გვერდზე დამრჩა.



ემილი დიკინსონი

ჩემს ბალის მინას სხვები ქელავენ

ჩემს ბალის მინას სხვები ქელავენ, სხვისი თითები არხევენ ბალახს და მაგალობელი მჯდარი თელაზე მარტოობისგან ატეხავს ჭახჭახს.

კორდზე თამაშობს სხვა ბავშვთა გროვა, სხვა დალილთ სძინავთ ნიაღში მოლის და გაზაფხული კვლავაც შემოვა და კვლავაც ზუსტი იქნება თოვლი!

დაღაგაგაულ ცის გაცრაცილ ფთილებს

დადაბლებულ ცის გაცრაცილ ფთილებს ჩამოცდენილი ყარბი ფიფქი შეჭოჭმანდება, საით გაფრინდეს — ნაურმალს მიღმა, თუ ბელის იქით.

მთელი დღე ქრის და ებზღუნება გამჭოლი ქარი გულცივ გარემოს, ასეა, კაცთა მსგავსად ბუნებას ნავასწრებთ ზოგჯერ უღიადემოს.

სასაფლაოზე შვიდა ჯაგვი

სასაფლაოზე შვიდა ჯაგვი, ჭირისუფლების შეჰყვა კორტეჟი, უცებ გაისმა საამო ჰანგი — ათრთოლებული ჩიტუნას ტრელი;

მცირე ხნით ჩიტის სტვენა მიჩუმდა, კვლავ აჟღერტულდა შეცვლილ ნოტებით, თითქოს მოვალე იყო ჩიტუნა ესტვინა — ნიშნად დამშვიდობების.

მე მოვიკრიბე ბოლო ძალები

მე მოვიკრიბე ბოლო ძალები და სამყაროსთან ომში ჩავები, ვიყავ დავითზე ღონით ნაკლები, მაგრამ მას ვჯობდი გულოვანებით.

გოლიათს ვტყორცნე კენჭი მიზანში, გარნა ნასროლმა მე წამაქცია; ის იყო ვეებერტულა ტანის, თუ მე ვიყავი ზომით პანია?

მე შევიცვლავი, თუკი მწვერვალებს

მე შევიცვლავი, თუკი მწვერვალებს დრო მოასწორებს რყევის შედეგად, შევყოყმანდები, თუ მზე ელვარე, თვის სიდიადეს ეჭვით შეხედავს —

და დავრწყულდები, თუ ნარცისები დარწყულდებიან ნამის წვეთებით, ბატონო, ვიცი დანამდვილებით — მე თქვენ მაშინაც არ მომბეზრდებით!

ღმერთის კბილაა ჭაშმარიტება

ღმერთის კბილაა ჭაშმარიტება, ტყუპისცალია მისი მეობის,

გასტანს, სანამდის იგი იქნება, თანატოლია ღვთის დღეგრძელობის

და მხოლოდ მაშინ გაუვა ყავლი — მოუსავლეთში დაეგანება, თუკი სამყაროს სრა-სასახლიდან გამოსვენდება მკვდარი ღვთაება.

წინდანინ ვწონით დროს, სანამ მოვა!

წინდანინ ვწონით დროს, სანამ მოვა! მძიმეა, მჩატეც ამასთანავე, როდესაც გავა, ცარიელობა ტვირთად გვანება და გვასავათებს.

გაზაფხულობით ტკივილები უფრო მძაფრდება

გაზაფხულობით ტკივილები უფრო მძაფრდება, მიუხედავად ჩიტთა სტვენის, გონის ნამღერის; შვებას ვერ მოგვცემს ნუთიერი შუქმფინარება და ვერც ქარებით განქარდება შავი ნაღველი.

რასაც უმღერდნენ, როდესაც მას დროება მოწყლავს, ლურჯი ფრინველი ამღერდება ნეტავი როდის — რადგან, მანამდე დაყოვნდება აღდგომის მოსვლა, არ დაიძვრება ვიდრე მათგან საფლავის ლოდი.

მიდი სიკვდილო, გახსენ ლაბახს

მიდი სიკვდილო, გახსენ ლაბახს, ბაკში შევალე ფარა დალილი, რომელმაც უკვე მოიბალახა და არც ილაჯი შერჩა ბლავილის,

უნყნარეს ღამით ანიჭებ შვებას, შენ ფლობ ყველაზე უსაფრთხო ფარებს, არ საჭიროებ სათლით ძიებას, შენს სინაზესაც ენა ვერ აღწერს!

ფუტკარს მიემგვანება

ფუტკარს მიემგვანება — დაბზუილობს დიდება, შეუძლია დანესტვრა, თანაც გაგიფრინდება.

თუ შეიტყობდა მოკვდავი ბაგე

თუ შეიტყობდა მოკვდავი ბაგე პირზე მომდგარი სათქმელის ტვირთი სიმძიმით მის მთქმელს რაოდენ გასრესს — არ იქნებოდა დამძვრელი სიტყვის.

ტყვეებისთვის მიძღვნია ჩემი თაიგულები

ტყვეებისთვის მიძღვნია ჩემი თაიგულები, რომ გვიმზერენ ჩამქრალი, მომლოდინე თვალებით, თითებით ვერ იჭერენ ყვავილთ გათანგულები და სამოთხეს ელიან თმენით — შესაბრალებნი.

თუკი თავი ექნათ და რამე ნაიჭურჩულეს — ალბათ მხოლოდ დილაზე, ველზე სარეველების, რადგან სიქა გაცლიათ სხვა საქმისთვის, უძღურებს, როგორც მე აღარ შემწევს ძალი სხვა სავედრებლის.

მოიცავს მოკლე სანუთრო ესე

მოიცავს მოკლე სანუთრო ესე ხანდახან ისეთ ჯადოსნურ წამებს, მიღმიერიდან როდესაც შეძლებს სული მდუმრიად სტუმრობას ღამე,

ისე, ვით მკაცრად ზრდილი ბალეები შვებას ჰპოვებენ ზღვისკენ გასხლტომით, რომლის უფსკრულნი, ლურჯი ტალღები ერწყმიან სამანთ მარადუამობის.


განაპირობებს სიცოცხლეს წინსვლა

განაპირობებს სიცოცხლეს წინსვლა, შეჩერდები და ბოლო სადგურიც ხახას დაალებს შავი მიწისა, ძულვით რომ შეცქერს სანუთროს მდგმური.

გვირაბში ნათლის სხივიც არ კრთება, უპრანია თუმც ეს შერობა და გაცილებით გვეჭვირფასება, ვიდრე საერთოდ არარსებობა.



ვლადას ბრაზიუნასი — ლიტერატურული პოეტი, მთარგმნელი, ესეისტი, ფოტოხელოვანი. ცხოვრობს და მოღვაწეობს ვილნიუსში. დაიბადა 1952 წელს. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო ვილნიუსის უნივერსიტეტის ჟურნალისტიკისა და ფილოლოგიის ფაკულტეტებზე. მუშაობდა უნივერსიტეტის ლიტერატურული გაზეთის რედაქციაში. თხუთმეტი წლის მანძილზე იყო გაზეთ „ლიტერატურისა და ხელოვნების“ მთავარი რედაქტორი. არის ერთ-ერთი დამფუძნებელი უნივერსიტეტის ფოლკლორული ექსპედიციისა, ლიტერატურული მთარგმნელთა ასოციაციისა, დამფუძნებელი და ორგანიზატორია საერთაშორისო სახელოვნებო საზოგადოების „Magnus Ducatus Poesis“-ისა. 1996 წლიდან თავისუფალი შემოქმედებით მოღვაწეობს ენევა. 30-ზე მეტი ლიტერატურული პრემიის ლაურეატია სამშობლოსა და მის ფარგლებს გარეთ. ამათგან უმნიშვნელოვანესია 2013 წელს ეროვნული კულტურისა და ხელოვნების სახელმწიფო პრემია, ხოლო 2017 წელს — ბალტიის ასამბლეის ლიტერატურული პრემია. ოცდაერთი პოეტური კრებულის ავტორი და მრავალი ნაწარმოების მთარგმნელია. 70-80-იანი წლების დასაწყისში იყო ერთადერთი პოეტი, რომელიც ეწეოდა ქართული პოეზიის პოპულარიზაციას. თარგმნიდა როგორც ქართული ლიტერატურის კლასიკოსებს, ასევე თანამედროვე პოეტებსაც.



მთარგმნელი

ვლადას ბრაზიუნასი

დღის გახსნა

მზე აფორაჯებს ჩრდილებს ბალებში. კოლოებს ნირი სისხლზე დაგეშავს. ვერ შეძლებს ძილს და ალბათ ღვიძილსაც კაცი თავისი ჩრდილის გარეშე.

ან სად იპოვი წინადადებას, სამშობლოს სევდას სრულად რომ ანდობ? კორომში ისმის პილიგრიმების ხმა. მზე ჩადის და ხნულსაც ათბობს.

ეამბორება, დაჩოქილი, ნეკერჩხლის ვარვარს ჩრდილდაკარგული ანგელოზის ბაგეთა ქარვა.

რომელ ხელსაწყოს შეუძლია გაზომოს მრუდი შენი სულის გაძლებებისა ამ ზიგზაგებზე, ამ ბორბლებზე, ასაქცევებზე, რამდენს გაუძლო, გაღეული როგორ დაბრუნდა ზუსტად იმავე ნათელთან სული იმავე ბოსტნის კიდეზე ზუსტად, შეშის საწყობის ოდნავ იქით, ლენცოფასა და საბოცერეს შორის, ხელოვნებას და შენს შორის ზუსტად, და იმ ჰაერის რხევათა შორის, რომელზეც თრთოლვით იჟღინთებინ ვარსკვლავების ჩუმი ტალღები მცხუნვარე მზეში, ისეთ მზეში, საჩეხის მინის იატაკიც რომ იწყებს ლლობას.

მთებს შეყუყულები მთიელების გრილ ქოხებში სინათლე კრთება, სავსეა მთები ღრუბლის ნუგბარით, ნისლად რომ დნება.

არ თოვს, ზაფხულის თოვლს სძინავს აქ ასწლიან ძილით. ძალღებიც ჰყეფენ უსაქმურად და ძალისძალით.

კარაქიანი პური

ვინმე ჩემს ნაცვლად რომ იყურებდეს, მე ვიყვირებდი ისე ხმამაღლა. შარშანდელ ფოთლებს მოგწყვეტი ბლუჯად მუნჯ ბალახს — უკვე თივად გადამხმარს. ინერებოდა ნუთუ ასლები უორგინლოდ, გაზაფხულები. და იყო ჩაი, სქელი და მკვრივი, კოვზს ძლივს ვურევდი.

ახლადგამომცხვარ ფურნის „ბუხანკას“ ჩამოვაჭრიდი დაბრანულ ყუას, ჩავიბღუჯავდი სულმოუთქმელად, ამოვივსებდი ჩემ ხელისგულებს. კარაქი ჩადნა კარგა ხნის წინათ, ხელებს კი დღემდე ყინულქვეშ სცივათ.

აღამიანი, რომელიც მისიზმრება

თავიანთ ენაზე ქრებოდნენ, საკუთარი მუხები ედგათ სალოცავებად, სულ უცრემლოდ უტიროდათ დედაკაცები.

ერთიმეორის მიყოლებით იხოცებოდნენ ჩემი თეთრი თმის ღერებში, ჭაღარის ფერფლი ეფინებოდა დასასკდომ კვირტებს, სიმშვიდეში მიატოვეს გიენებმა და ყვავ-ყორნებმა მათი გვამებიც.

საკუთარ გულზე დარჭობილი ისვენებდნენ მღუმარებაში იმათი ომის ღმერთები და მონები და მარყუჟები სახრჩობელების.

იმ მიწვრებაში

უკიდევანოდ გაშლილსა და უზადოდ სწორ იმ ჩვენ მიწვრებაში, ნაცრისფერი ხნულის ზოლებით, აქა-იქ რომ შემოდგომის ნათესების ამონანვერი აჩნდა ლაქებად, ოდესღაც რომ საფლავეები და ქოხები იყო მიმოფანტული, მოფრინდებოდნენ ალბათ ჩემთვისაც და ბუდეებს გააკეთებდნენ სამრეკლოების ჭილყავებში უცხო მხრისანი.

რას, რას იტყოდნენ, ჩვენებურად იჩხავებდნენ თუ ნაცნობი მხოლოდ სიტყვებიღა გადარჩებოდა აქაური მარადიული სიჩუმესავით.

ფოთლების შრიალი. ნაპირი ფრიალო. გულიდან აიღე ხელი, რომ გაიმბო

ამ რუხი ფერფლის და დამწვარი ნამქერის, ნარშავა ცახცახებს, ხელისგულს ნაჩვევი.

ყვავილებს ვარდისას ვერაფრით დაისხამს, ეკალი ძეძვნარად იქცევა გაისად

და კიდეც მიყვარდი ლამაზად გაშლილი და ნაზი იყავი,

როგორც მთა ზღვაზე და ამ მთაზე ცაცხვები — გიხსენებ, მიწვევდი, მტუქსავდი, მარცხენდი.

გაცვლა

იცის, უცილოდ, არ ეშლება, სად ვცხოვრობ, სადაც მოვა, რომ დღეც და მოვა, რომ ღამეც წაილოს უკან, აცნობებენ რომ, არ ვარ, წავსულვარ, მივუყვები ქუჩას, შესახვევს,

თან მთლად მეც არ ვარ... ცივდება ჩემი ნაკვალევი ნამლევი-ნავალიც, ქუჩაც თან მიმაქვს, ქალაქიც მიმაქვს არც თუ წვალებით მე ატანილს გაცვლა-გადაცვლა-გარდაცვალებით.

ფანჯარასთან

როცა დილის ფერმკრთალი შუქი თვალებს დაგინამავს მლაშე წვიმის წვეთებით, საყვარლის სხეულს ნამავდეს თითქოს მარილით, ჰაერს იწოვ და ისე სუნთქავ, აბზინდის ღვინის არომატი გგონია, მძაფრი. ვცდილობდი ამ მოგონებებთან მიახლოებას, ატუზვას, მიკვრას,

ისინი კი გვერდს მივლიდნენ მე უცნობივით, შიშითაც კი მშორდებოდნენ, როგორც ველურ მხეცს უსხლტებიან ან გაყინულ შუბლს — ხელისგულები. ეს ხელი იყო, ძარღვთა ნაკადს და სქელ მორევს რომ ერეკებოდა, შიშის თაბაშირს აკრავდა და ქვავდებოდა დილაობით, თუმც არც სხვა დროის ვიცოდი რამე, რა უნდა მექნა. სანამ ერთხელაც, მატარებლის ვაგონში მიჯრით ჩარიგებულ სკამების რიგში არ შევნიშნე ერთი ასაკში შესული ქალი.

შავ მინაზე საფეთქელით თავმიდებული იქნებ თვლემდა სიზმრის ბურანში, იქნებ ლექსებსაც კითხულობდა, იქნებ ითვლიდა სისხლის ბოლო წვეთის გადასვლას და ხელახლა და მერამდენედ მხოლოდ მზერითა ეხებოდა ნავლ-ნაკვერჩხალს და აღვივებდა.

შევიცანი დასავით და ტყუპისცალივით, თვითონ ვერც მიცნო. მხოლოდ ხელები.

გადამღერებელი ჩვენი ღამეები, გამოძინებული ჩვენი დღეები, ფრთა ქარს ასკდება, ქარი ფრთას და იწყებს გალობას ძველი ფლუგერი, იკეცება იალქნები, თევზი ყურდება, ანგელოზთა საყვირები იცვლიან ღერძებს, იმანჭება გახსნილი ბაგე გაუგებრად და უსამართლოდ.

დაიხრჩობოდი და აღსდგებოდი. ბოლოყამის ბოლო დღეს ალბათ გაცხადდებოდა, რომ მოკვდავი გაცილებით ხანგრძლივად კვდება.

ერთნაირად მარადიული და სწორი

ჭიანჭველასაც არ დაადგამ ფეხს, აუგს არ იტყვი დეფოს კულულა პარიკების პუტავს პოლკი ნისლს, სიზმარულ ცხვრებს სინამდვილე დასცინის და სჯობს არც ათხოვო ყური ამას, სჯობს არც ისმინო, როგორ ბლავიან, საფეთქლებზე აიფარო ხელისგულები. ილაპარაკე, თავი არ გასცე, თქვი რომ, დიახაც სამართლიანი გახლავს და როგორ?!

რომ პურს შენ არ გთხოვს, არ შეუძლია თავის თავს ავნოს, რომ სინამდვილე გზააბნეული კოჭლი ცხვარია.

მორჩა, დამთავრდა, აღარასდროს გამოიცვლება, ეს შენ იყავი, რომ იცვლებოდი ხშირად და ისიც უარესობისკენ.

ნუ დაიდარდებ, ყველაფერი გაივლის და საერთოდაც, რომ ვთქვათ, გაქრება.

ამითღა თუ დაგამშვიდებ, საზრუნავგამქრალს და შემოღეულს, შენ არავინ ხარ, გენაცვალე, დამიჯერე, სულ არავინ, უიმისოდ შენც დამფრთხალი ხარ, შემიწებულნი, როგორც ის თავად.

უანგი ჭამს ბორკილს ხარბად, გრეხს ხუნდის ნაცვეთ სალტეს. კანის შილიფი კაბა გემოსა სულზე მარტო,

სხვა არაფერი, თვალთ მოუხელთები ღმერთი. მტვრიან ფოტოზე შოთხვის ყვავილთა ნაზი ხელრთვა.

ფურცლებს ღიმილიც შვენით, არც რა აქვთ დასამალი, თოვლის კი არა, შენი ძილის სითეთრის გავლით.

ჭაობებში მრეცხავს ალქაჯს ჯოხი ურტყამს დამფრთხალი სინათლისთვის, ჯოჯოხეთს რაც დასხლტომია, აქ ქცეულა სამლოცველოს სანთლად.

ნათლის ქმნით ქანცს ვინყვეტ, ვკვდები. რისი ბრაზი, შიში. თითებიდან — უფლის თევზებს, ყურებიდან ტოროლების გუნდს ზეცამდე ვიშლი.

სისხლისგან კი გაიზარდა კოლო, ბევრზეც მეტი, უძინარი — შენი დაცვით მოვაჭრენი — ნუილისგან მესხმებოდა რეტი.

ჩალიჩობდნენ, დაბზოუნდნენ ფუტფუტებდნენ ოხრად ფერიები,



მესიები, მასხარები,
გეების და გენიოსთა მოდგმა.

გროვდებოდნენ სცენა — კუნძის.
ამტკიცებდნენ მართალს
სიმართლისას.
უსუსური ცოდვის შეგრცხვა,
ვალიაროთ, — შენ აქ მგონი არც ხარ.

ვინ ძილიდან და ვინ არსაიდან
გამოღვიძებას ცდილობს,
როცა ვერ არკვევს, სილა თუ თოვლი
ფარავს საფლავთა ჭრილობს.

ანკარას ზურგზე გაყურულ ქარში,
გამლხვარ ყინულის ცოცვა
ჭყაპში გრძელდება ძველ ყორღანამდე
სიმარტოვის ჩუმ ლოცვად.

წვენი უდგება ზროს და ზუზუნით
სნორს ეძებს ხოჭოც მერქნის.
ყინულის ბალსაც მზე ალუბლების
თეთრ ყვავილობად ეთქმის.
გესმის, ხის მჭრელო, ხმა ჟუნურუკების
ზანზალაკის და მერცხლის?

წყლების ჩურჩულიც ჩხრიალებს, განა
უკანასკნელად, ღმერთო?!
ქვებიც ხმაურობს ღამის სიღრმეში,
სიცოცხლის სიზმარს ვერ თმობს.
წვება ცულის და ნაფოტების ხმა
ტყისმჭრელის უნდო სმენას,
მესმის წვრილ ქუსლზე მოპაკიპუკე
ანგელოზების ენაც.

შეღარაბითი გრამატიკა

ნელი დრო ნიკნიკებს ჩემს ენაში,
სწრაფი და მოუხელთებელი დრო — შენსაში,
ბალტიელი მხედრები დნებარს გაღმა გაიფანტენ,
ნარშავას დაემსგავსა ბაბილონის არდილიც,
ზედ აიკრა ჩვენებურ ტოპონიმთა ბირკა და თესლი.

ცისფერი მთვარეა
ყოველ მეშვიდე წელს ანდალუზიაში, დაჭრილი
ყვავი, განთიადისპირს
ჯერ მძინარე პატარა ქალაქში გამოსული,
ჟიჟობიანდზე, შეშლილი
სავსემთვარეობა, დანაპირების ასრულების წამს,
მირაჟის ციალისას.

არათანაბრად დაყოფილი, ნაბიჯების ექო
წინ უსწრებს თავად ნაბიჯებს,
საკუთარ სიკვდილსაც კი ვერ ჩაუსაფრდები,
ვერ განვრთნი ძალღვივით, შეუცნობელია თესლი
შენი, ქარის ყვავილები, თუმცა ქარი ისევ ისეთია,
აზიის ტრამალს როგორც ახლდა.

და ისეთი ძლიერია, შეუძლებელია წარმოთქვა
სიტყვა, ვსხედვართ ბალახზე სახლის უკან და
ხმას არ ვიღებთ.
განვიკურნებოდი, რომ მოვეშინაურებინე ვინმეს,
ვისწავლიდი
გადმოგდებული ნასროლი ძვლების დაჭერას,
მივბაძავდი ერთბაშად ყველა ენაში გაფანტულ ხმებს,
მაგრამ დრო.

დამარცხებულა დროსთან ჭიდილში ორობითი
მრავლობითის ლეგიონებიც,
ლექსიკონებში ჩანოლილი ისვენებენ
სმაგაკმენდილი ჯარისკაცები,
რკინის ორკესტრისთვის სიჩუმის
საიდუმლოს პარტიტურებს
ერთი ამოსუნთქვით წერს კონტრუზიანი კომპოზიტორი.

დრო, მოთამაშე ცელქი ბავშვი, ბრმად ისვრის
ირგვლივ ელვის ისრებს,
მათი ბალახივით ხასხასა ენები სპილენძისფერ
ველებზე იფანტება,
დაჟანგებული საპარსი დაუნდობლად სხეპს
ლესური ნვიმისგან გამოცოცხლებულ
ფესვებიდან ამონაყარ დიალექტებს.

იქ, ფესვების გულში, ზანტად მაინც ფეთქავს ძარღვი
ჩურჩულით ამოზრდილი კილოების და კილოკავების,
ლაგაზიდან სინათლისაკენ
ცვივიან ქვები ქვიშაში, ცვივიან და
მოთამაშე პატარა ბიჭს საათის ქვიშის
მარცვლებიც მიზანში ამოუღია.

თან თეთრ ძირხვენებს აგროვებს მიწაში, ცდილობს,
დამარცვლით ილაპარაკოს,
ძალას იკრებს, ევოლუციურად იზრდება და
ზეცას ასკდება თავით.

თარგმნის მარიამ ნიკლაშვილი და ნანა დევიძე



იოსიფ ბროდსკი

ტიბერიუსის ბიუსტი

ორი ათასი წელი გვაშორებს, მოგესალმები.
საერთო გვაქვს არც ისე ცოტა.
ჩემი მეუღლე, როგორც შენი, ისევე სცოდავს.
გარშემო შენი ქალაქია, ის დღესაც ფასობს,
ვიგინდარების შპრიცებს ითვლის აქ სადარბაზო.
და... ნანგრევები ენამზებოვენ.
ერთი ყარიბი მოგზაური გითვლის სალამს
უკაცრიელ გალერეაში,
დამტვერილ ბიუსტს არ შემეწენის ქუჩის ხმაური.
ეჰ, ტიბერიუს!

აქ ოცდაათი წლისაც არა ხარ,
თავდაჯერებას ამჟღავნებენ უფრო კუნთები,
ვიდრე სახე — სამომავლო არდაბრუნების.
თავმოკვეთილი მოქანდაკის ხვედრი ქადაგებს
ძალაუფლების ზეობაზე.

ნიკაპს ქვემოთ იკვეთება რომის ზნეობა:
პროვინციები, სოფდაგრები, მძლე კოჰორტები
და მგლის მკლავებში მომწყვედი უმანკო ყრმები:
რომულ და რემი!
იქნებ შედეგზე დაფიქრება ჩვენ ახლა გვმართებს;
შენი ბიუსტი სიმბოლოა ტვინის, რომელიც
შეუთანხმებლად გაემიჯნა სხეულის ხლართებს,
საკუთარ თავს და იმპერიულ წესს გამოეყო.
რომ გაგერისკა და შეგექმნა ავტოპორტრეტი,
ჯვარს გაცვამდა ხარვეზთა ექო!

ოცდაათიც არ შეგსრულდება.
ვერავინ ბედავს შეგაჩვიოს თამამი მზერა.
და შენი მტკიცე გამოხედვაც არ საჭიროებს
ოდნავ შეყოვნდეს, მზერა წამით გაიხანგრძლივოს
ვინმეს სახეზე. შეისვენოს, ვინმე შენიშნოს,
არც კლასიკური პეიზაჟის ხიბლი შეიშროს.
ეჰ, ტიბერიუს!

შენს საარაკო სისასტიკეზე
სვეტონიუსი და ტაციტუსი ამაოდ ბჭობდნენ,
ფუჭად ეძებდნენ მის წარმომქმნელ ათასგვარ საბაბს.
თურმე ამქვეყნად არ არსებობს ცალკე მიზეზი,
ხმას იმადლებს მხოლოდ შედეგი
და მის მსხვერპლად ქცეული ხალხი.
განსაკუთრებით იმ ჯურღმულეებში,
სად უანგაროდ მოგიყვებიან,
რომ ტანჯვის ხარჯზე გამოძალულ ჭეშმარიტებას
ის ფასი ადევს, რაიც სიყრმის დროს აღსარებას.
საუკეთესო გამოსავალი?
აარიდე თავი სიმართლეს,
ჭეშმარიტება არავისაც არ აამაღლებს,
მით უფრო — ცეზარს.

ისეთი სახით შემოგვცქერო,
უმალ მზად ხარ
აბაზანის ქაფში თავი ჩაიხრჩო,
ოლონდ უკვდავი აზრის ტალღა გულში ჩაიხშო.

იქნებ სულაც სისასტიკე დაჩქარებაა
ყველა საგნის აღსასრულისა?



თავისუფალი ვარდნა სხეულის, ვაკუუმში,
სადაც ყოველთვის აღმოჩნდები ძირს დაშვებისას.
იანვარია. ნაზამთრ ქალაქს ღრუბლების წყება
თავს აბეზრებს, როგორც ზემდეტი მარმარილო,
სინამდვილისგან თავდაღწეული მღელვარებს ტიბრი,
შადრევენებმა გაიცეკვეს თითქოს წარსული,
მას აღარავინ ითვალისწინებს.
ახლა სხვა დროა. აღრენილ მგელს ვერ შეაკავებ,
თითქოს ყველაფერ ამქვეყნიურს გადასძვრა ლიბრი.
ეჰ, ტიბერიუს!
ჩვენ ვინ ვართ, შენ რომ გაგასამართლოთ?
რაც მართალია, ურჩხული იყავ,
მხოლოდ ურჩხული, გულგრილობას ვინც ინარჩუნებს
და ასეთ ურჩხულს — და არა მსხვერპლს —
თავის ყალიბზე გულმოდგინედ ძერწავს ბუნება.
არჩევანზე თუ მიდგა საქმე, გაცილებით მშობლიურია,
ჯოჯოხეთურ ალში დაინვა,
ვიდრე გერქვას ნევრასთენიკი...

ოცდაათიც არ შეგსრულდება, ქვის სახიანო!
ქვის სახეს აჩენ, საგანგებოდ გამოფენ, რათა
ორი ათასი წლის შემდეგაც დაგამახსოვრონ.
განადგურების ბუნებრივი მანქანა გეთქმის
და არა ვნების მორჩილი ან რწმენის ქადაგი.
გამოგონილი სამყაროდან
შენს დაცვას ვლამობ ტყუილ-უბრალოდ,
ეს იგივეა, ხე დაიცვა ფოთლებისაგან
შეუსაბამო კომპლექსებით გადახუნძლული.
გაუგებარ ფესტს ტაშს დაუკრავს უმრავლესობა.
უკაცრიელი გალერეა, მქრქალი შუადღე,
ზამთრის სინათლით შედღვებილი უტყვი სარკმელი
არ ეპუება ქუჩის ხმაურს...

სივრცის ხარისხზე ახლა ბიუსტი არ აგებს პასუხს.
უგრძობელობას შენსა მანც ვერ დავიჯერებ,
მეც ხომ შენსავით სინამდვილეს გამოვექეცი,
თავანყვეთილი მივეგლავდი, სანამ ერთხელაც
სულ მთლად უდაბურ კუნძულად არ გადავიქეცი.
მე ღამის შუქზე ჩემს თვითნაკეთ პროფილს დავეჯერდი,
როგორ ვერ ხვდები, ჰაერიც კი არა მყავს გვერდით!
რა მოვუხერხო ამ ჩემს სათქმელს, რა გზას დავადგე?
ვის სჭირდება დღეს ჩემი სიტყვა!
ამგვარ შედეგთა შეჯამება ისტორიის დაჩქარებაა,
წარმატებული მცდელობაა,
როცა შედეგი წინ უსწრებს მიზეზს
აბსოლუტური ვაკუუმის გულგრილ ნიაღში.
მოვინანიო?

რომ იტყვიან, კარტი ავრიო?
გადავშალო ბედის სამანი?
მაგრამ არა ღირს, ვინ დაგვწყევლის ხეირიანად,
მთვარე? სატანად გარდაქმნილი მუტაციისგან
თუ დაჩქარებული თავის ქალის მქონე ტერმიტი?
ის ჩვენს ნიაღში წაანყვება რალაც მკვრივ მასას,
ღრიალს შეწყვეტს და ოდნავ მაინც დაფრთხება,
„— ბიუსტი!“ — იტყვის ნანგრევების უწყვეტ ენაზე,
„— ხედავთ, ბიუსტი!“ —
და კუნთებიც უბრად დაწყდება.

თარგმნი იკა ქადაგიძე



ვლადიმირ მაიაკოვსკის ზედაპირული, „პოეტური ფასადის“ განსაკუთრებული პროპაგანდის წყალობით, კომუნისტებმა მისი ნამდვილი სახე ლამის მე-20 საუკუნის ბოლომდე დამალეს. მსოფლიო მასშტაბის პოეტის „სავიზიტო ბარათად“ მთელი სამოცდაათი წელიწადი პასპორტზე დაწერილი ლექსი ითვლებოდა. მთარგმნელებიც შექმნილ ვითარებას უხდინდნენ ხარკს — ძირითადად „მუშა“ ლექსებს თარგმნიდნენ...

ვითარების შეცვლა გასული საუკუნის სამოცდაათიანი წლების დასაწყისიდან დაიწყო, რომელსაც დასაბამი პოეტის პოემების ვახტანგ ჯავახაძისეულმა თარგმანებმა დაუდო. მიქელ პატარიძის, დავით გაჩეჩილაძისა და კიდევ რამდენიმე სხვათა მიერ ქართულად შედარებით უკეთ „მოხმობილი“ მაიაკოვსკი ამ თარგმანებმა ახალ სიმაღლეზე აიყვანა. ეს ფაქტი შეუმჩნეველი არ დარჩენილა — გზადაგზა მიმდევრებიც გაიჩინა. შესაძლოა, ჩვენი წათამამებაც ამ კვალზე იყოს შემდგარი...

19 ივლისს 125 წელი უსრულდება პოეტს. გთავაზობთ მაიაკოვსკის დღემდე ნაკლებად გახმაურებული ლექსების ჩვენებულ თარგმანებს...

მთარგმნელები

ვლადიმირ მაიაკოვსკი

დაიბნე...

ჩაშლილი ქუჩა — სიფილისტიანის ცხვირი ნამდვილი. მდინარე — ავხორცობის პირნერწყვი ნაღები. მიყარ-მოყარეს თეთრეული — ფოთლები ამ დილით, ივნისში ბილნად ჩანვენ ბაღები.

მე გამოვედი მოედანზე, დამწვარი კვარტალი — ცეცხლის პარიკი — ჩემს პროფილს ამთავრებს. ხალხი დავაფეთე — თუ გინდათ მართალი — პირიდან ყვირილი დაუღეჭავ ფეხებს აფართხალებს.

მაგრამ არ გამსჯიან, ღრენას არ მკადრებენ, პირიქით — წინ ვარდებს მიფენენ ყოველთვის, როგორც რო მესიას — მიზეზი ლექსია — ეამაყებათ თავიანთი პოეტი.

რა სამიკიტნო, რა სამსჯავრო — სამანებს ვერ ვშლი! ცეცხლოდებული შენობიდან შეძლებენ გათრევის მეძაგები და წმინდანით აყვანილს ხელში ღმერთთან წარმადგენენ საკუთარი თავის მართლებად.

და ღმერთიც ატირდება ჩემ წიგნზე! ღანვით სიტყვების შედეგებულ კურცხლებს აგროვებს; მერე ზეცაში ფურცელ-ფურცელ და თან ზედიზედ სულმოუთქმელად ნაუკითხავს თავის ახლობლებს.

კარგი დამოკიდებულება ცხანებთან

ფლოქეების ხმაური, სიმღერა ხმიანი, თრაქ, თრუქ, თრაქ, თრუქ, ქართი გაღეშილი ყინულის ფესხაცმელებიანი. მოცურდა ქუჩაში და გავაზე დაეცა ცხენი. უმაღლე შარვალმოფარფატი მოსიერიე-უსაქმურები-კუხნეცკი მთელი, შეგროვდა. ასეთ ბრბოს დამცინავი ხარხარი შვენი: — ცხენი დაეცა! — დაეცა ცხენი! — იმათ ხარხარში და ყმუილში ერთი ჩქამიც არ არის ჩემი. მივუახლოვდი ნაქცეულ ცხენს უსიტყვოდ, მუნჯად, თვალში თავდაღმა დამხობილი ვიხილე ქუჩა, ხოლო სახეზე წვეთწვეთობით მოცურავს ცრემლი და იკარგება ჟღალ ბენებში ზედ დრუნჩებს ზევით. ასეთ დროს ტანმა, ცხოველური, ზიარი ტკენა იგრძნო და ჩუმად, უკითხავად აჩქამდა ენა: — ცხენო, არ გინდა, მომისმინე, არ დადო ზავი, არ გევალება მათ წინაშე დახარო თავი. ბავშვო, ყველანი ჩვენ ცოტათი გავჩნდით ცხენებად, ყოველ ჩვენგანში ცოცხლობს ცხენი, გვიყვარს ჭენება, — ზოგში ბებერი, — გადია რომ აღარ სჭირდება, ზოგიც კვიცია, ძალუძს ქარის გამოკიდება.

აღარ ინება ცხენმა მეტი, ჩემი მოსმენა, ნამოდგა ფეხზე — ვხედავ შორშორს მიიტყორცნება. ჰაერს მიაპობს კუდქიცინა მწითური ბავშვი, მივა თავლაში, ალბათ მალე — საკუთარ სახლში და მერე მჯერა, ჩათვლემილი ნახავს ჩვენებას — კვიცია ისევე, მთა და ბარის ხიბლავს შევენება... ღირდა სიცოცხლე, ღირდა შრომა, ღირდა ჭენება.

კიდევ პეტარგურები

თბილი მეჯლისის ნაფლეთები ჩარჩა ყურებში, ჩრდილოეთური ფანტლები ახლაც შრიალებს. და კანიბალურ სახით ნისლი, ნამნაკურები, ლეჭავს უგემურ ადამიანებს.

საათებია ისე მძიმე, ლამის გავხედე, ექვსს ევალება ხუთის მერე თავი გვაჩვენოს. ციდან გვიცქერის ამ დროს ერთი ვინმე თავხედად, ლევ ტოლსტოვივით დიდებული და თვალსაჩინო.

ლილიჩკა

წერილის მაგიერ

თამბაქოს ბოლი ამძიმებს ჰაერს, ოთახი ტანზე კრუნინისხის წყვილადის მოსხმა. მახსოვს — პირველად მიგიყვანე სარკმელთან აქ, მე და მერე ხელზე გაშმაგებით დაგინყე კოცნა.

დღეს ზიხარ კუმტად, რკინის გული სითბოთი ვერ ძგერს. ვიცი, საცაა გამომადგებ, ლანძღვაც მეყოფა, მღვრიე წინკარში მოცახცახე დიდხანს ვერ შევძლებ მნატე პიჯაკის სახელოში ხელის შეყოფას.

გამოვვარდები და ჩემ სხეულს დავავადებ გზაზე, დავკარგავ ჭკუას მე ველური — უფსკრულის კერძი; არა, არ გვინდა ეს, ძვირფასო, ნუ ვიზამთ ასე, მშვიდად დავმორდეთ დღეს ერთმანეთს, ამასაც შევძლებთ,

ეს სიყვარული, სულ ერთია, ტვირთია შენთვის, თავს ვერ დაიძვრენ, ნუ გარბიხარ — ნაგყვება ყველგან; ხმის დაკარგვამდე ვიღრიალებ, რაც სიტყვით ვერ ვთქვი და ამოვანთხევ საყვედურებს, გულში რომ ფეთქავს,

ხარი რომ შრომით დაიქანცება, ტბორებს დაეძებს — ჩანება და შეებას ნახულობს, შენს გარდა არ მაქვს სხვა გასაქცევი და შენს სიყვარულს ტირილითაც ვერ ვიმსახურებ.

ბებერი სპილოც თვალს მოატყუებს, — ვარვარა მზის ქვეშ



ცხელ ქვიშაზე გაიშობება, შენს გარდა სხვა მზე მე არ მბრუებს, მაგრამ არ ვიცი ვისთან ხარ და მიწვეს გოდება.

ბევრი პოეტი ამ წამებას გვერდს აუვლიდა და საყვარელ ქალს დიდებაზე, ფულზე გაცვილიდა. მე კი არ მჯერა, შენს გარეშე შევება თუ არის, რომც არსებობდეს — მაინც არ მინდა.

უარი ხრამში გადაჩეხვას, შხამსაც ასევე და საფეთქელთან რევოლვერის სასხლეტს უარი; შენ, შენ მბრძანებლობ მხოლოდ ჩემზე და თვალს ასველებ. სხვა იარაღის შიში ცრუ არის.

ხვალ დაივინყებ, რომ გვირგვინი თავად დაგადგი, ავარვარებულ სიყვარულის ფერფლად დამტოვე; ატაცებული კარნავალის დღეთა ნავარდი ჩაანაკუნებს ჩემს წიგნებში ჩემს სიმარტოვეს,

ჩემი სიტყვების მშრალი ფოთლები გიმძიმებს სუნთქვას? — ჩერდები და ზეცას შეჰყურებ; და ფურცელ-ფურცელ გიახლოვდები და ვეფინები შენს ნაფეხურებს.

ფრაგმენტები

I ვუყვარვარ? არა? — ვემკითხავები ჩემ თავს და ვიმტვრევ თითებს და იქით-აქით ვისვრი; და მიხაკები მაისის თვეში თენთავს ვარდის გვირგვინებს შეტბორებულებს ნისლით. მინდა ჭაღარა აღმოაჩინოს ჩემი დალაქის ხელმა — დგას საამისო ჟამი; ვინ მომაშავეებს ახლა ამნაირ ზეიმს და საორჭოფო გონიერების ამინდს.

II უკვე ღამის ორია, დანექი და იძინებ, ცაში ირმის ნახტომი ვერცხლისფერი თვალია; მე შენ არ შეგაშინებ ტელეგრაფის ციმციმით — შენი გამოღვიძება ცოდვაა და ბრალია. „ინციდენტი დამთავრდა,“ ამ დროს ასე იტყვიან, ნავი შეყვარებულთა უკვე დამსხვრეულია; ანგარიში გასწორდა, შუბლზე სიმწრის ხეთქია და ნუხილის ყულაბა მოტირალი გულია. გინდა ახლა სამყაროს დუმილს ყური ათხოვო, ღამე ცაზე ვარსკვლავებს მიჯრით ჩამოარიგებს; ძილ-ბურანშიც საუბრობ და სიტყვით იახლოვებ ჩავლილ საუკუნეებს და მტვერნაყრილ თარიღებს.

III ვიცი სიტყვების ძალა, სიტყვების ნობათს მივყვები, ამ სიტყვებს ვერ ეკარება ახლო ლოყების ტაში; მუხის კუბოებს მოთხრიან ხშირად ასეთი სიტყვები და მერე მუხის ფეხებით დააბიჯებენ ხალხში. ხანდახან იჭვით უმზერენ გამომცემელი მამები, მაგრამ არც ამას შეიმჩნევს, თავს აამგზავრებს მითებს; გადაიტანა რამდენი გაუსაძლისი წამები — კვლავ პოეზიას ულოკავს მახოლებიან თითებს. დროდადრო მართლა აკლდება ძალა და უფერულდება და ჩამოვარდნილ ფოთოლად ფეხში გასრესა ელის, მაგრამ კვლავ უნარჩუნდება თავდაპირველი უფლება ადამიანის ტუჩებით, სულით, სხეულით, ხელით.

თარგმნეს ზაალ ებანოიძემ და კონსტანტინე კიკნაძემ

ლიტერატურული გაზეთი
საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრო
საქართველოს მწერალთა სახლი
რედაქტორი ირაკლი ჯავახაძე
რედაქტორის მოადგილე უჩა შერაზადიშვილი
ფურნალისტი თამარ ყურული
მობ. ტელ.: (577)742277; (599)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com
ISSN 2346-7940
9 772346 794004